

სასწავლო ლიტერატურა

სახელმძღვანელო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების

სტუდენტებისა და ექიმებისათვის

ნ. სააკაშვილი, ი. თარხან-მოურავი, მ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე

საქართველოს კურორტოგრაფია

და

საკურორტო თერაპია

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

თბილისი 2011

უაკ 615.834 (075.8)

ს.323

რეცენზენტები:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. კაკულია

მედიცინის აკადემიური დოქტორი ნ. ჯაკობია

ნ. სააკაშვილი, ი. თარხან-მოურავი, მ. ტაბიძე, ნ. ქუთათელაძე – საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია. – თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2011.–184 გვ.-11 ცხრილი. - 4 სურათი.

სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს კურორტული ფაქტორები, მათი გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები; მოცემულია კურორტების და საკურორტო ადგილების კლასიფიკაცია, მათი დახასიათება და კურორტული მკურნალობის პრონციპები. წიგნი განკუთვნილია სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტების, ექიმების, კურორტებზე მომუშავე სამედიცინო პერსონალისა და კურორტული მკურნალობით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ყურადღება!

საავტორო უფლებები დაცულია. ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს კოპირებული ან გამრავლებული ნებისმიერი სახით (ელექტრონული, ფოტოგრაფიული, სკანირებული და ა.შ.) ავტორისა და გამომცემლობის წერილობითი თანხმობის გარეშე.

აღნიშნული ქმედებები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საავტორო უფლებების დარღვევა, ყველა გამომდინარე შედეგით.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

ISBN 978-9941-0-3275-2

შესავალი

საქართველო კურორტებისა და საკურორტო ადგილების ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთ ძირითად საკურორტო ფაქტორს წარმოადგენს მისი ჰავა. კლიმატის მრავალფეროვნება განპირობებულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით და შავი ზღვის არსებობით, ამიტომ კლიმატური პირობები გამოირჩევა გამოხატული თერა-პიული თვისებებით და გამოიყენება მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ. კლიმატური მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია ზღვისპირა, დაბალი და საშუალო მთის ქვედა სარტყლის პირობებში.

ასევე მრავალფეროვანია ქვეყნის ჰიდრომინერალური რესურსები. საქართველოში მოიპოვება 2000-ზე მეტი მინერალური წყალი, რომელთაგან 1700-ზე მეტს ბუნებრივი გამოსავალი აქვს, ხოლო 300-ზე მეტი მიიღება ჭაბურღილებიდან. აღნიშნული მინერალური წყლების ქიმიური და ფიზიკური თვისებურებები მიაწინებს ამ წყლების უმრავლესობის სამკურნალო თვისებებზე.

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 103 კურორტი და 167 საკურორტო ადგილი. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში მრავლადაა სამკურნალო ჰავისა და სამკურნალო მინერალური წყლების მქონე დასახლებული პუნქტი, შესაძლებელია, საკურორტო ადგილების რიცხვმა ათასსაც გადააჭარბოს.

საქართველოში აგრეთვე მოიპოვება და ეფექტურად გამოიყენება სამკურნალო ტალახები – პელოიდები. ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები (ჰავა, მინერალური წყლები) ან სათანადოდ არ გამოიყენება, ან მათი ათვისება ხდება არასწორად, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე.

წიგნი «საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია» ქართულ ენაზე გამოცემული პირველი სახელმძღვანელოა, სადაც კომპლექსურადაა განხილული საქართველოს საკურორტო ფაქტორები, მათი გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები; წარმოდგენილია საქართველოს კურორტებისა და საკურორტო

ადგილების კლასიფიკაცია, მათი დახასიათება და კურორტული მკურნალობის პრინციპები.

ვფიქრობთ, აღნიშნული სახელმძღვანელოს გაცნობა ხელს შეუწყობს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების სწორ, რაციონალურ გამოყენებას და საკურორტო საქმის აღორძინებას.

თავი I. საქართველოს საკურორტო ფაქტორები, მათი გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები

საკურორტო ფაქტორები, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისთვის, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან და ადამიანის ორგანიზმზე ახდენენ კომპლექსურ ზემოქმედებას. ეს ფაქტორები, ძირითადად, გამოიყენება ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურის, დიეტოთერაპიისა და მკურნალობის სხვა მეთოდებთან ერთად.

1.1. კლიმატური სამკურნალო ფაქტორები

კლიმატი წარმოადგენს მოცემული გარემოს ამინდის მრავალწლიან რეჟიმს, რომელსაც ძირითადად განსაზღვრავს მზის გამოსხივების ზონალური განაწილება, საერთო ატმოსფერული ცირკულაცია, მიწის საფარი (მთა, ზეგანი, ზღვის სანაპირო და სხვ.), რომლებიც უმნიშვნელოდ იცვლებიან დროთა განმავლობაში (მაკროკლიმატი).

სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით მნიშვნელოვანია მიკროკლიმატიც, რომელიც დამახასიათებელია დედამიწის შედარებით მცირე ტერიტორიისთვის. მიკროკლიმატს განსაზღვრავს დედამიწის ზედა ფენისა და რელიეფის თავისებურებები (კარსტული მღვიმეები, რეგიონის გარკვეული უბანი და სხვ.).

საქართველოში, სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, გამოიყენება ველის (სტეპის), მთისა და შავი ზღვის სანაპირო კლიმატი.

კლიმატური სამკურნალო ფაქტორები, ძირითადად, წლის თბილ პერიოდში გამოიყენება.

1.1.1. ველის (სტეპის) ჰავა

ველის ჰავა წლის თბილ პერიოდში ხასიათდება ჰაერის მაღალი ტემპერატურით (35°C -მდე), მზის ინტენსიური რადიაციით და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის შედარებით დაბალი სიდიდეებით (25%-მდე).

საქართველოში, ველის ჰავის პირობებში მკურნალობენ პიელონეფრიტს (ქრონიკული სტადია, რემისიის ფაზა, პათოლოგიის ლატენტური ფორმა, მეორადი აზოტგამომყოფი ფუნქციის დარღვევისა და ჰიპერტენზიის გარეშე მიმდინარე), მწვავე ანთებითი პროცესის ჩაცხრობიდან არანაკლებ 3 თვისა; ნეფრიტებს (ქრონიკული სტადია, აზოტგამომყოფი ფუნქციის დარღვევისა და ჰიპერტენზიის გარეშე მიმდინარე) და ქრონიკულ ცისტიტებს (არატუბერკულოზური წარმოშობის).

ველის ჰავის პირობებში კლიმატური მკურნალობის უკუჩვენებებია: ფილტვების ტუბერკულოზი (გამოხატული სუბკომპენსაციით, სხეულის სუბფებრილური და ფებრილური ტემპერატურით, გამოხატული სისუსტით, მკვეთრი ქოშინით, პროცესის პროგრესირების ტენდენციით, სისხლიანი ნახველით); ნეფროზული სინდრომი და ქრონიკული გლომერულონეფრიტი (სისხლის მიმოქცევის ორგანოების თანმხლები დაავადებებით, გულის უკმარისობის I-II ფუნქციური კლასით (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია) და სუნთქვის ორგანოების დაავადებებით); ქრონიკული პიელონეფრიტი, გართულებული სიმპტომური ჰიპერტენზიით.

1.1.2. მთის ჰავა

მთის კლიმატისათვის დამახასიათებელია დაქვეითებული ატმოსფერული წნევა, ჰაერის ტემპერატურისა და აბსოლუტური ტენიანობის შედარებით დაბალი სიდიდეები, სუფთა ჰაერი, ულტრაიისფერი სხივების და მსუბუქი უარყოფითი აეროიონების მაღალი კონცენტრაცია.

განასხვავებენ დაბალი მთის (სიმაღლე ზღვის დონიდან 400 მ-დან 1000 მ-მდე), საშუალო მთის ქვედა სარტყლის (სიმაღლე ზღვის დონიდან 1000 მ-დან 1500 მ-მდე),

საშუალო მთის ზედა სარტყლის (სიმაღლე ზღვის დონიდან 1500 მ-დან 2000 მ-მდე), მაღალი მთის (სიმაღლე ზღვის დონიდან 2000 მ. და მეტი) კლიმატს.

საქართველოში, სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, გამოიყენება დაბალი და საშუალო მთის (სიმაღლე ზღვის დონიდან 400 მ-დან 2000 მ-მდე) კლიმატი.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე (რომლებიც ეხებოდა აბორიგენებში და ჩასულ პირებში სხვადასხვა სიმაღლეზე წარმოქმნილი ფიზიოლოგიური ცვლილებების გამოვლენას) მიზანშეწონილად მივიჩნიეთ **მთის კლიმატის დაყოფა მაღლივ სარტყლებად**. გამოვყავით I (სიმაღლე ზღვის დონიდან 400 მ-დან 700 მ-მდე), II (სიმაღლე ზღვის დონიდან 700-დან 1000 მ-მდე), III (სიმაღლე ზღვის დონიდან 1000-დან 1500 მ-მდე) და IV (სიმაღლე ზღვის დონიდან 1500-დან 2000 მ-მდე) მაღლივი სარტყლების კლიმატები.

საქართველოში I და II მაღლივი სარტყლების პირობებში (დაბალი მთა) კლიმატოთერაპია ნაჩვენებია შემდეგი პათოლოგიების დროს:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ესენციური ჰიპერტენზიის I-II სტადია (ჯანმო-ს კლასიფიკაციით); გულის იშემიური დაავადების დამაბვის სტაბილური სტენოკარდიის I-II ფუნქციური კლასი (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაციით); ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, სტენოკარდიის იშვიათი, მსუბუქი შეტევებით, გულის რითმისა და გამტარებლობის დარღვევის გარეშე; სხვადასხვა გენეზის მიოკარდიოდისტროფიები; გულის სარქველების შექმნილი მანკები, მარცხენა ვენური ხვრელის და აორტის სტენოზის გარეშე, აქტიური რევმატიული პროცესის ჩაცხრობიდან 6-8 თვის შემდეგ) გულის უკმარისობის I-II ფუნქციური კლასით (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაციით).

სუნთქვის სისტემის დაავადებები (ქრონიკული ობსტრუქციული და არაობსტრუქციული ბრონქიტები (რემისიის ფაზაში); მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმა (რემისიის ფაზაში); მშრალი და ექსუდატური პლევრიტები; პლევრიტის გადატანის შემდგომი ნარჩენი მოვლენები; გახანგრძლივებული პნევმონიები; პნევმოსკლეროზი; ფილტვებზე ეფექტური ოპერაციების გადატანიდან 6-

8 თვის შემდეგ), სუნთქვის უკმარისობის I-II ხარისხით (ა. დემბოს კლასიფიკაციით) ან ფილტვ-გულის უკმარისობის I ხარისხით და მათ გარეშე.

III მაღლივი სარტყლის პირობებში (საშუალო მთის ქვედა სარტყელი) კლიმატოთერაპია ნაჩვენებია შემდეგი დაავადებების დროს:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია; ესენციური ჰიპოტენზია; გულის იშემიური დაავადების დამაბვის სტაბილური სტენოკარდიის I ფუნქციური კლასი; სხვადასხვა ეტიოლოგიის მიოკარდიო-დისტროფიები; გულის სარტყელების შემენილი მანკები, მარცხენა ვენური და აორტის ხვრელების სტენოზის გარეშე, რევმატიული პროცესის ჩაცხრობიდან 6-8 თვის შემდეგ) გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით ან მის გარეშე;

სუნთქვის სისტემის პათოლოგიები (ობსტრუქციული და არაობსტრუქციული ქრონიკული ბრონქიტები (რემისიის ფაზაში); მსუბუქი მიმდინარეობის ბრონქული ასთმა (რემისიის ფაზაში), I ხარისხის სუნთქვის უკმარისობით ან მის გარეშე;

რკინადეფიციტური ანემია.

IV მაღლივი სარტყლის პირობებში (საშუალო მთის ზედა სარტყელი) კლიმატოთერაპია ნაჩვენებია III სარტყლისთვის ნებადართული პათოლოგიების დროს, გულის, სუნთქვისა და ფილტვ-გულის უკმარისობის გარეშე.

მთის პირობებში კლიმატოთერაპიის უკუჩვენებებია:

გულის მიტრალური მანკი, მარცხენა ატრიოვენტრიკულური ხვრელის სტენოზის უპირატესობით; კომბინირებული მიტრალურ-აორტული გულის მანკი; გულის თანდაყოლილი მანკები, მიტრალური კომისუროტომიის შემდგომი მდგომარეობა; პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი; მიოკარდიუმის ინფარქტი; მიოკარდიტის გადატანის შემდგომი მდგომარეობა; ენდოკარდიტი;

ესენციური ჰიპერტენზიის III სტადია და გულის იშემიური დაავადების III-IV ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია (I-II მაღლივ სარტყელში კლიმატური მკურნალობისას);

ესენციური ჰიპერტენზიის II სტადია და გულის იშემიური დაავადების II ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია (III მაღლივ სარტყელში კლიმატური მკურნალობისას);

გულის უკმარისობის III-IV ფუნქციური კლასი, II ხარისხის ფილტვ-გულის უკმარისობა (I-II მაღლივ სარტყელში კლიმატური მკურნალობისას);

გულის უკმარისობის II ფუნქციური კლასი, სუნთქვის უკმარისობის II ხარისხი და ფილტვ-გულის უკმარისობა (III მაღლივ სარტყელში კლიმატური მკურნალობისას);

გულის უკმარისობა და სუნთქვის უკმარისობა (IV მაღლივ სარტყელში კლიმატური მკურნალობისას);

გახანგრძლივებული პნევმონიები (III-IV მაღლივ სარტყელში კლიმატური მკურნალობისას);

ბრონქული ასთმა, მძიმე მიმდინარეობით;

ფილტვის რეზექციის შემდგომი მდგომარეობა;

ნეფრიტი და ნეფროზი;

თირეოტიკოზი;

მკვეთრად გამოხატული ნევრასთენია და ორსულობა (III და IV მაღლივ სარტყელში კლიმატური მკურნალობისას).

1.1.3. შავი ზღვის სანაპიროს ჰავა

შავი ზღვის სანაპიროს ჰავა ხასიათდება ჰაერის ტემპერატურის სადღე-ღამისო და თვიური მერყეობის დაბალი ამპლიტუდით, ჰაერის მომატებული ტენიანობით, რომელიც არ შეიცავს პათოგენურ მიკრობებს, მაგრამ გაჯერებულია უარყოფითი აეროიონებით, ზღვის მარილების კრისტალებით და ფიტონციდებით; მზის ინტენსიური და, უპირველეს ყოვლისა, ულტრაიისფერი რადიაციით. **შავი ზღვის სანაპიროს კურორტების პირობებში კლიმატოთერაპია ნაჩვენებია შემდეგი პათოლოგიების დროს:**

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ათეროსკლეროზული კარდიო-სკლეროზი, სტენოკარდიის იშვიათი და მსუბუქი შეტევებით, გულის რითმის და გამტარობის დარღვევის გარეშე; თანდაყოლილი მანკები, ენდოკარდიტის ნიშნების

გარეშე; მიოკარდიუმის ინფარქტი (გაურთულებელი ფორმა), სტენოკარდიის იშვიათი შეტევებით, რეაბილიტაციის პერიოდში (გადატანიდან 1,5-2 თვის შემდეგ); გულის იშემიური დაავადების I-II ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია; სხვადასხვა ეტიოლოგიის მიოკარდიოდისტროფიები; პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, სტენოკარდიის იშვიათი და მსუბუქი შეტევებით, ინფარქტის გადატანიდან არაუადრეს ერთი წლისა; გულის შეძენილი მანკები, მარცხენა ვენური ხვრელისა და აორტის გამოხატული სტენოზის გარეშე, აქტიური რევმატიული პროცესის ჩაცხრომიდან 6-8 თვის შემდეგ, მიტრალური კომისუროტომიის შემდგომი მდგომარეობა, ოპერაციიდან 6-8 თვის შემდეგ; მიოკარდიტის გადატანის შემდგომი მდგომარეობა, მწვავე და ქვემწვავე ანთებითი მოვლენების გადატანიდან 6-8 თვის შემდეგ; ენდოკარდიტი, პირველადი ან შებრუნებითი, გახანგრძლივებული ან ლატენტური მიმდინარეობით, რევმატიული პროცესის მინიმალური აქტივობით; I-II სტადიის ესენციური ჰიპერტენზია) გულის უკმარისობის I-II ფუნქციური კლასით ან მათ გარეშე;

სუნთქვის სისტემის დაავადებები ობსტრუქციული სინდრომის გარეშე (შშრალი და ექსუდაციური პლევრიტები; გადატანილი პლევრიტის ნარჩენი მოვლენები; გახანგრძლივებული პნევმონიები; ფილტვებზე ეფექტური ოპერაციის შემდგომი პერიოდი, ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ; პნევმოსკლეროზი; ქრონიკული არაობსტრუქციული ბრონქიტი, რემისიის ფაზაში) სუნთქვის უკმარისობის I-II ხარისხით ან ფილტვ-გულის უკმარისობის I ხარისხით ან მის გარეშე; რკინადეფიციტური ანემია.

შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე კლიმატური მკურნალობის უკუჩვენებებია:

პირველადი ან შებრუნებითი რევმატიული ენდოკარდიტი აქტიურ ფაზაში; ხშირად მორეციდივე რევმოკარდიტი;

III-IV ფუნქციური კლასის გულის უკმარისობა;

ესენციური ჰიპერტენზიის III სტადია;

გულის იშემიური დაავადების დამაბვის სტაბილური სტენოკარდია, III ფუნქციური კლასის;

მაობლიტირებელი თრომბანგიიტი (ენდარტერიტი) გენერალიზაციისა და გამწვავებისკენ მიდრეკილებით, ან თანმხლები მიგრირებული თრომბოფლებიტი,

მყარი ვაზომოტორული დარღვევებით, ახალი წყლულებით ან განგრენით, სეპტიური ტრომბოფლებიტის შედეგები, თრომბოემბოლიური დაავადება;

სუნთქვის უკმარისობა III ხარისხის ან ფილტვ-გულის უკმარისობა II ხარისხის; ბრონქული ასთმა;

ბრონქოექტაზიები და ქრონიკული აბსცესები პაციენტთა მკვეთრი გამოფიტვით, მომატებული ტემპერატურით, რასაც თან ახლავს ჩირქიანი ნახველის უხვი გამოყოფა;

სპონტანური პნევმოთორაქსი;

ფილტვებში და პლევრის ღრუში ტრაქეობრონქული ფისტულის და ჩირქოვანი პროცესების არსებობა.

1.1.4. კარსტული გამოქვაბულის მიკროჰავა

ჩვეულებრივი კარსტული მღვიმის მიკროკლიმატი ხასიათდება ჰაერის სისუფთავით და მასში ნახშირორჟანგის მომატებული შემცველობით; ტემპერატურის და აბსოლუტური ტენიანობის შედარებით დაბალი მაჩვენებლებით; რამდენადმე მომატებული, მაგრამ ორგანიზმისთვის უსაფრთხო რადიაქტივობით; მღვიმის ჰაერში არსებული მსუბუქი დადებითი და უარყოფითი აეროიონების დიდი რაოდენობით და მაღალდისპერსიული სპელეოაეროზოლით, რომელიც შეიცავს ჰიდროკარბონატის, კალციუმისა და მაგნიუმის იონებს, ზოგჯერ ქლორსაც კი, ხმაურისა და ჰაერის შესაგრძნობი მოძრაობის არარსებობით.

კარსტული მღვიმის პირობებში კლიმატოთერაპია ნაჩვენებია შემდეგი პათოლოგიების დროს:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, სტენოკარდიის იშვიათი და მსუბუქი შეტევებით, გულის რითმის დარღვევების გარეშე; გულის იშემიური დაავადების დამაბვის სტაბილური სტენოკარდია I-II ფუნქციური კლასის; სხვადასხვა გენეზის მიოკარდიოდისტროფიები; გულის შეძენილი მანკები მარცხენა ვენური ხვრელის და აორტის გამოხატული სტენოზის გარეშე, აქტიური რევმატიული პროცესის ჩაცხრობიდან 6-8 თვის შემდეგ;

ესენციური ჰიპერტენზიის I-II სტადია; ესენციური ჰიპოტენზია) გულის უკმარისობის I-II ფუნქციური კლასით ან მათ გარეშე.

სუნთქვის ორგანოების დაავადებები (ობსტრუქციული და არაობსტრუქციული ქრონიკული ბრონქიტები; მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმა; გახანგრძლივებული პნევმონია, პნევმოსკლეროზი) სუნთქვის უკმარისობის I-II ხარისხით ან ფილტვ-გულის უკმარისობის I ხარისხით ან მათ გარეშე;

ნევრასთენია, ნევროზები;

მსუბუქი და საშუალო სიმძიმის თირეოტოქსიკოზი.

კარსტული მღვიმის პირობებში კლიმატოთერაპია უკუნაჩვენებია შემდეგი დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობების დროს:

გულის იშემიური დაავადების III-IV ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია;

ესენციური ჰიპერტენზიის III სტადია,

ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, სტენოკარდიის ხშირი და მძიმე შეტევებით;

III-IV ფუნქციური კლასის გულის უკმარისობა;

III ხარისხის სუნთქვის უკმარისობა ან II ხარისხის ფილტვ-გულის უკმარისობა.

1.2. ბალნეოლოგიური სამკურნალო ფაქტორები

ბალნეოთერაპია გულისხმობს, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით, ბუნებრივი მინერალური წყლების ან მათი ხელოვნურად დამზადებული ანალოგების გამოყენებას. ბალნეოთერაპიას მიეკუთვნება ზოგადი და ადგილობრივი აბაზანები, ბანაობა, ცურვა მინერალური წყლით სავსე აუზში და ა. შ. ბალნეო-თერაპიის განუყოფელი ნაწილია მინერალური წყლების შინაგანი წესით მიღების პროცედურები: დალევა, კუჭის ამორეცხვა, დუოდენალური დრენაჟი, ნაწლავების გამორეცხვა, ინჰალაციები და სხვ. მათი ჩატარებისათვის, ძირითადად, იყენებენ ბუნებრივ მინერალურ წყლებს.

სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისათვის გამოსაყენებელ მინერალურ წყლებს ახასიათებთ მინერალური და ორგანული კომპონენტების, აირების მომატებული შემცველობა, ან რაიმე განსხვავებული თავისებურებები (მომატებული რადიაქტივობა, pH და ა.შ.), ან მათში ბიოლოგიურად აქტიური მიკროკომპონენტების (ბრომი, იოდი, რკინა, სპილენძი, დარიშხანი და სხვ.) განსაზღვრული რაოდენობით არსებობა.

მინერალური წყლების ძირითად ბალნეოლოგიურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება საერთო მინერალიზაცია, იონური შემადგენლობა, აირებისა და ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტების შემცველობა, რადიაქტივობა, pH და ტემპერატურა.

საერთო მინერალიზაციის მაჩვენებელი, გამოხატული გ/დმ³ –ში, გვიჩვენებს წყალში გახსნილი ყველა იონისა და არადისოცირებული მოლეკულების რაოდენობას.

საერთო მინერალიზაციის (სმ) მიხედვით გამოყოფენ სუსტი მინერალიზაციის (სმ-1 გ/დმ³ -დან 5 გ/დმ³-მდე), დაბალი მინერალიზაციის (სმ-5 გ/დმ³- დან 10 გ/დმ³-მდე), საშუალო მინერალიზაციის (სმ-10 გ/დმ³ -დან 15 გ/დმ³-მდე), მაღალი მინერალიზაციის (სმ-15 გ/დმ³-დან 35 გ/დმ³-მდე), სუსტ მარილიან (სმ-35 გ/დმ³ -დან 70 გ/დმ³-მდე), მარილიან (სმ-70 გ/დმ³ -დან 150 გ/დმ³-მდე) და ზემარილიან (სმ-150 გ/დმ³ და მეტი) წყლებს.

მინერალურ წყლებს მიეკუთვნებიან ის წყლებიც, რომელთა მინერალიზაცია 1 გ/დმ³-მდეა, მაგრამ შეიცავენ აირებს ან ბიოლოგიურად აქტიურ ელემენტთა განსაზღვრულ (სტანდარტით დადგენილ) რაოდენობას, ან ორივე კომპონენტს, ან აქვთ მტკნარი წყლისაგან განსხვავებული ფიზიკური თვისებები (მაგ. მჟავა-ტუტოვანი მაჩვენებელი).

საქართველოში **სასმელად**, ძირითადად, გამოიყენება სუსტი, დაბალი და საშუალო მინერალიზაციის მინერალური წყლები. გამონაკლისს წარმოადგენს მინერალური წყალი «ლუგელა», რომლის საერთო მინერალიზაცია 40-60 გ/დმ³-ის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოში **აბაზანებისა და სხვა ბალნეოპროცედურებისათვის** გამოიყენება როგორც 1 გ/დმ³-მდე საერთო მინერალიზაციის მქონე მინერალური, ასევე სუსტი, დაბალი, საშუალო და მაღალი მინერალიზაციის მქონე წყლები.

pH-ის სიდიდის მიხედვით, მინერალური წყლები იყოფა ძლიერ მჟავე (pH < 3,5), მჟავე (pH - 3,5-დან 5-მდე), სუსტად მჟავე (pH - 5-დან 6,8-მდე), ნეიტრალურ (pH – 6,8-დან 7,2-მდე), სუსტი ტუტე (pH – 7,2-დან 8,5-მდე) და ტუტე (pH - 8,5 და მეტი) წყლებად.

მინერალური წყლების ყველაზე სრულყოფილ კლასიფიკაციას, რომელიც ითვალისწინებს წყლების დაყოფას ქიმიური შემადგენლობისა და მათში არსებული აირების მიხედვით, წარმოადგენს მ. ნოდის (1978) მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყოფილია მინერალური წყლების 9 კლასი:

- I – ჰიდროკარბონატული;
- II – ქლორიდული;
- III – სულფატური;
- IV – ნახშირმჟავა;
- V – გოგირდწყალბადის (სულფიდური);
- VI – რადონის (რადიოაქტიური);
- VII – წყლები ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით (რკინა, დარიშხანი, ბრომი, იოდი და სხვ.);
- VIII – აზოტიანი, მეთანიანი, აზოტიან-მეთანიანი, კაჟმჟავა წყლები და ორგანული ნივთიერებების შემცველი წყლები;
- IX – რთული შემადგენლობის წყლები, რომლებიც შეიცავენ რამოდენიმე ტიპის ანიონს, კათიონს და ქიმიური შემადგენლობით არ მიეკუთვნებიან ზემოთ აღნიშნული კლასების მინერალურ წყლებს.

ყოველ კლასში გამოყოფენ ამა თუ იმ ტიპის მინერალურ წყალს.

საქართველოში ყველაზე ხშირად ვხვდებით VIII და IX კლასების მინერალურ წყლებს – აზოტიანს, მეთანიანს, აზოტიან-მეთანიანს, კაჟმჟავა წყლებს და ორგანული ნივთიერებებისა და რთული იონური შემადგენლობის წყლებს. შედარებით იშვიათად გვხვდება IV და V კლასების – ნახშირმჟავა და გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლები. გამოვლენილია და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენება სხვა კლასის მინერალური წყლებიც – ჰიდროკარბონატული,

ქლორიდული, სულფატური და ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების შემცველი მინერალური წყლები.

საქართველოში ზოგადი და ადგილობრივი აბაზანებისთვის გამოიყენება მინერალური წყლები, რომლებიც მოიპოვება შემდეგ კურორტებზე და საკურორტო ადგილებზე: აბანო (აგარაკი – აბანო), აბასთუმანი, ასპინძა, ახალდაბა, ბესლეთი, ბია, ბიისი, ბიჭვინთა, ბუგეული, გაგრა, განთიადი, გორიჯვარი, გორმაღალა, დვირი, ეშერა, ზინობიანი, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, თეთრი წყლები, თორღვას აბანო, კვალითი, კვერეთი, კინდლი, კოდიბინი, კოჯორი, კურსები, ლაგოდები, ლამგვერია, ლესელიძე, ლისის ტბა, მალთაყვა, მახინჯაური, მენჯი, მუაში-წურნაში, ნაგუთნი, ნოქალაქევი, ნუნისი, სადგერი, სულორი, სურამი, სუფსა, სუჯა, ტყვარჩელი, ქვიშხეთი, ქობულეთი, შაქრიანი, ყანჩავეთი, ცაიში, ციხისჯვარი, წყალტუბო, წყნეთი, ჭოკიანი, ხიდიკარი და ხოვლე.

დასაღვეად გამოიყენება მინერალური წყლები, რომლებიც მოიპოვება შემდეგ კურორტებზე და საკურორტო ადგილებზე: ავადხარა, ბაბანური (შუახევის რაიონი, სოფ. ვანი), ბაგიათი, ბოლნისი, დმანისი, ვარდევანი, ვარძია, ვეზური, ზვარე, კობი, კოკოტაური, ლასკადურა, ლესე, ლეზარდე, ლუგელა, მაჭარწყალი, მესტია, მიტარბი, მუაში, საირმე, სიონი, ტიმოთეს უბანი, ძულური და წაღვერი.

როგორც სასმელად, ასევე აბაზანებისთვის გამოიყენება მინერალური წყლები, რომლებიც მოიპოვება შემდეგ კურორტებზე და საკურორტო ადგილებზე: ამალღება, ახალციხე, ახალჭალა, ბორჯომი, ვაჟას წყარო, ვარძია, ლაშიჭალა, ნაბეღლავი, ნასაკირალი, ნაქალაქევი, ნემვი, სამტრედია, სიმონეთი, სქური, სორტუანი, სტეფანწმინდა, უდაბნო, ურაველი, უწერა, ფასანაური, ფლატე, შოვი, წინუბანი და ჯავა.

ინჰალაციების სახით გამოიყენება მინერალური წყლები შემდეგ კურორტებზე – ბორჯომი, წყალტუბო, საირმე და სხვ.

ნაღვლის ბუშტისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გამორეცხვებისათვის გამოიყენება შემდეგი კურორტების მინერალური წყლები: ამალღება, ახალციხე, ბორჯომი, ნაქალაქევი, სიმონეთი და სხვ.

საქართველოში სასმელი მინერალური წყლები წარმატებით გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქრონიკული გასტრიტები, ქრონიკული ენტერიტები და კოლიტები, სანაღვლე გზებისა და ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, ქრონიკული პანკრეატიტი; კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება; პოდაგრა და შარდმჟავა დიათეზი.

სასმელი რკინის შემცველი წყლები გამოიყენება რკინადეფიციტური ანემიის სამკურნალოდ.

გამოვლენილია ქლორიდულ-კალციუმიანი მინერალური წყლების დადებითი მოქმედება ფილტვების ქრონიკული არასპეციფიური დაავადების მქონე პაციენტებზე.

სასმელი მინერალური წყლების მიღება დაუშვებელია შემდეგი დაავადებების დროს: კუჭის და ნაწლავების ქრონიკული დაავადებების გამწვავებების დროს, რომლებსაც თან ახლავს ღებინება, ფაღარათი, სისხლდენა, მკვეთრი ტკივილის სინდრომი; კალკულოზური და არაკალკულოზური ქოლეცისტიტები, რომლებიც საჭიროებენ ქირურგიულ მკურნალობას; საყლაპავის და პილორუსის სპაზმი; კუჭის გამოხატული დაწევა; გულის უკმარისობის III-IV ფუნქციური კლასები; ნეფროზული სინდრომი; თირკმლის უკმარისობა, ღვიძლის ციროზი.

აზოტანი, მეთანიანი, აზოტან-მეთანიანი, კაჟმჟავა და გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) მინერალური წყლები, ძირითადად, გამოიყენება ზოგადი და ადგილობრივი აბაზანების სახით.

აღნიშნული წყლების აბაზანების ან ნახევარაბაზანების სახით გამოყენება ნაჩვენებია შემდეგი პათოლოგიების დროს: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, სტენოკარდიის იშვიათი და მსუბუქი შეტევებით, გულის რითმის დარღვევისა და გამტარებლობის დარღვევების გარეშე; I სტადიის ესენციური ჰიპერტენზია; გულის იშემიური დაავადების I ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია; მიოკარდიოდისტროფია; გულის სარქველების შემენილი მანკები, მარცხენა ვენური ხვრელისა და აორტის გამოხატული სტენოზის გარეშე, მწვავე რევმატიული პროცესის ჩაცხრობიდან 6-8 თვის შემდეგ; მიტრალური კომისუროტომიის შემდგომი მდგომარეობა, ოპერაციიდან 6-8 თვის შემდეგ; მწვავე მიოკარდიტის გადატანის შემდგომი პერიოდი მწვავე და

ქვემწვავე ანთებითი მოვლენების გაქრობის შემდეგ; პირველადი ან შებრუნებითი ენდოკარდიტი, გახანგრძლივებული ან ლატენტური მიმდინარეობით, რევმატიული პროცესის მინიმალური აქტივობით; ვენების ვარიკოზული გაგანიერება კომპენსაციის სტადიაში; კიდურების მათლიტირებელი ათეროსკლეროზი, პროგრესირებადი იშემიისა და განგრენის გარეშე; ენდარტერექტომიისა და თრომბოინტიმოექტომიის შემდგომი მდგომარეობა, ოპერაციიდან 6-8 თვის შემდეგ, გართულებების არარსებობის პირობებში; თრომბოფლებიტი და ფლებიტები, მწვავე პროცესის ჩაცხრობიდან 2-4 თვის შემდეგ) გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით ან მის გარეშე; ძვალ-სახსართა სისტემის დაავადებები (რევმატიოიდული პოლიართრიტი (ართრიტი) მინიმალური აქტივობის ფაზაში ან აქტივობის გარეშე; ინფექციური პოლიართრიტი (ართრიტი), დაავადების აქტივობის ნიშნების გარეშე; ოსტეოართრიტი (ართრიტი); დისტროფიული კეთილთვისებიანი ოსტეოართროზი, ნივთიერებათა ცვლის და ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციების მოშლის შედეგად განვითარებული მეორადი სინოვიტით; სპონდილოზი და სპონდილოართროზი, ხერხემალში მოძრაობის გამოხატული შეზღუდვების გარეშე; მანკილოზებელი სპონდილოართროზი, პროცესის აქტივობის I და II ხარისხით (არაუმეტეს II ხარისხისა); სპონდილიტი და ოსტეოქონდრიტი (არატუბერკულოზური) ინფექციური წარმოშობის; ტრავმული სპონდილოპათია; მიოზიტები, ფიბროზიტები, პერიართრიტები, ეპიკონდილიტები; სხვადასხვა ეტიოლოგიის სახსრების კონტრაქტურები ქრონიკულ სტადიაში); შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები (ქრონიკული არატუბერკულოზური ცისტეტი; ქრონიკული არატუბერკულოზური პროსტატიტი, რემისიის ფაზაში, საშარდე გზებში ცვლილებებისა და ნარჩენი შარდის გარეშე).

აზოტოვანი, მეთანიანი, აზოტოვან-მეთანიანი, გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) და კაჟმჟავა მინერალური წყლებით მკურნალობის უკუჩვენებები ზოგადად წყლით მკურნალობისთვის განსაზღვრული უკუჩვენებების მსგავსია, კერძოდ:

მწვავე ანთებითი პროცესი;

ესენციური ჰიპერტენზიის II-III სტადია;

გულის იშემიური დაავადების II-III ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია;

გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა მიმედ მიმდინარე დაავადებები;
გულის უკმარისობა II-IV ფუნქციური კლასის;
სუნთქვის უკმარისობა II-III ხარისხის ან ფილტვ-გულის უკმარისობა I ხარისხის;
შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები თანმხლები თირკმლების ქრონიკული უკმარისობით;

კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი წარმონაქმნები;

აქტიური ტუბერკულოზური პროცესი;

სისხლის დაავადებები მწვავე სტადიაში;

ინფექციური დაავადებები;

პროგრესირებადი გლაუკომა;

ორსულობის II ნახევარი;

ცერებრული სისხლძარღვების გამოხატული ათეროსკლეროზი;

ღვიძლის დაავადებები ფუნქციის დარღვევით;

ბრონქული ასთმა;

ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი;

ჰიპერთირეოზი;

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება გამწვავების

სტადიაში;

ეპილეფსია ხშირი შეტევებით.

ნახშირმჟავა მინერალური წყლების აბაზანების მიღება ნებადართულია შემდეგი პათოლოგიების დროს: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (გულის იშემიური დაავადების I ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია; სხვადასხვა ეტიოლოგიის მიოკარდიოდისტროფია; პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, მსუბუქი და იშვიათი სტენოკარდიული შეტევებით, მიოკარდიუმის ინფარქტის გადატანიდან 1 წლის შემდეგ; გულის სარქველების შემენილი მანკები მარცხენა ვენური ხვრელის და აორტის გამოხატული სტენოზის გარეშე, აქტიური რევმატიული პროცესის ჩაცხრობიდან 6-8 თვის შემდეგ; გულის თანდაყოლილი მანკები ენდოკარდიტის ნიშნების გარეშე; ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია; ესენციური ჰიპოტენზია) გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით ან მის გარეშე; სუნთქვის

სისტემის პათოლოგიები (ბრონქული ასთმა, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის, რემისიის სტადიაში; ქრონიკული ობსტრუქციული და არაობსტრუქციული ბრონქიტები რემისიის სტადიაში; გახანგრძლივებული პნევმონია; პნევმოსკლეროზი; გადატანილი პლევრიტის ნარჩენი მოვლენები; მშრალი და ექსუდაციური პლევრიტები) სუნთქვის უკმარისობის I-II ხარისხით და მის გარეშე; ძვალ-სახსართა სისტემის დაავადებები (რევმატოიდული პოლიართრიტი (ართრიტი) პროცესის მინიმალური აქტივობის ფაზაში ან აქტივობის გარეშე; ინფექციური პოლიართრიტი (ართრიტი) პროცესის აქტივობის ნიშნების გარეშე; ოსტეოართრიტი, არასპეციფიური, სხვადასხვა ეტიოლოგიის; დისტროფიული კეთილთვისებიანი ოსტეოართროზი, მეორადი სინოვიტით, რომელიც განვითარდა ნივთიერებათა ცვლისა და ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის დარღვევების შედეგად; სპონდილოზი და სპონდილოართროზი (ხერხემალში გამოხატული მოძრაობის შეზღუდვის გარეშე); მანკილოზებელი სპონდილოართროზი, პროცესის აქტივობის არაუმეტეს II ხარისხისა; ინფექციური წარმოშობის სპონდილიტი და ოსტეოქონდრიტი (არატუბერკულოზური); ტრავმული სპონდილოპათია; მიოზიტი, ფიბროზიტი, პერიარტრიტი, ეპიკონდილიტი, სახსრების კონტრაქტურები, სხვადასხვა ეტიოლოგიის) რემისიის ფაზაში.

ნახშირმჟავა წყლების აბაზანების მიღების უკუჩვენებები, ძირითადად, ისეთივეა, როგორც აზოტიანი, მეთანიანი, აზოტ-მეთანიანი აბაზანების მიღების დროს. გარდა ამისა, ნახშირმჟავა წყლების აბაზანების მიღება უკუნაჩვენებია შემდეგი დაავადებების დროს:

ესენციური ჰიპერტენზიის II-III სტადია;

გულის იშემიური დაავადების II-IV ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია;

სუნთქვის უკმარისობა III ხარისხის;

სუსტი რადიოაქტიური რადონული მინერალური წყლის აბაზანების მიღება მიზანშეწონილია გულ-სისხლძარღვთა, ძვალ-სახსართა სისტემისა და შარდ-სასქესო სისტემის დაავადებების დროს (იხ. ჩვენებები აზოტოვანი, სულფიდური მინერალური წყლებისთვის). უნდა აღინიშნოს, რომ ამ აბაზანების მიღება აგრეთვე ნებადართულია

I-II სტადიის არტერიული ჰიპერტენზიის, გულის იშემიური დაავადების I-II ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენო-კარდიისა და გულის უკმარისობის I-II ფუნქციური კლასის დროს. ამ მინერალური წყლების გარეგანი გამოყენების უკუჩვენებებიც მსგავსია აზოტიანი და სულფიდური მინერალური წყლებისთვის დადგენილი უკუჩვენებებისა. დამატებითი უკუჩვენებაა ლეიკოპენია და სხივური დაავადების ყველა სტადია.

სუსტი რადიოაქტიური რადონული მინერალური წყლები ხშირად გამოიყენება ინჰალაციების სახით ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების დროს (ქრონიკული ობსტრუქციული და არაობსტრუქციული ბრონქიტები რემისიის ფაზაში; მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმა), სუნთქვის უკმარისობის I ხარისხით ან მის გარეშე.

ბრომიანი (იოდობრომიანი) მინერალური წყლების აბაზანების მიღება მიზანშეწონილია შემდეგი პათოლოგიების დროს: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი იშვიათი და მსუბუქი სტენოკარდიული შეტევებით, გულის რითმისა და გამტარებლობის დარღვევების გარეშე; გულის იშემიური დაავადების I-II ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია; სხვადასხვა ეტიოლოგიის მიოკარდიოდისტროფიები; პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზი, მსუბუქი და იშვიათი სტენოკარდიული შეტევებით, მიოკარდიუმის ინფარქტის გადატანიდან 1 წლის შემდეგ; ესენციური ჰიპერტენზიის I-II სტადია), გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით ან მის გარეშე.

ბრომიანი (იოდობრომიანი) მინერალური წყლების გარეგანი გამოყენების უკუჩვენებები სუსტი რადიოაქტიური რადონული მინერალური წყლების აბაზანებისთვის დადგენილი უკუჩვენებების მსგავსია.

რკინიანი მინერალური წყლების გარეგანი გამოყენება მიზანშეწონილია გულ-სისხლძარღვთა სისტემის შემდეგი დაავადებების დროს (გულის სარქველების შემენილი მანკები, მარცხენა ვენური ხვრელის და აორტის გამოხატული სტენოზის გარეშე, აქტიური რევმატიული პროცესის ჩაცხრობიდან 6-8 თვის შემდეგ; მიტრალური კომისუროტომიის შემდგომი მდგომარეობა ოპერაციიდან 6-8 თვის შემდეგ; გულის იშემიური დაავადების I ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია;

ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია) გულის უკმარისობის I ხარისხით ან მის გარეშე; რკინადეფიციტური ანემია.

რკინიანი მინერალური წყლების გარეგანი გამოყენების უკუჩვენებები აზოტიანი და სულფიდური მინერალური წყლების აბაზანებისთვის განკუთვნილი უკუჩვენებების მსგავსია.

ქლორიდული, ჰიდროკარბონატული და სულფატური მინერალური წყლების აბაზანების მიღების ჩვენებები და უკუჩვენებები აზოტოვანი და სულფიდური მინერალური წყლების აბაზანებისთვის დადგენილი უკუჩვენებების მსგავსია. გარდა ამისა, ქლორიდული მინერალური წყლების აბაზანები დადებითად მოქმედებს ესენციური ჰიპოტენზიის მქონე პაციენტებზე, მაგრამ მათი მიღება აკრძალულია ჰიპოთირეოზის დროს.

1.3 სამკურნალო ტალახები (პელოიდები)

სამკურნალო ტალახები (პელოიდები) წარმოადგენენ ბუნებრივ ერთგვაროვან წვრილდისპერსიულ პლასტიკურ მასას, რომელიც წარმოიქმნა გეოქიმიური, კლიმატური, ბიოლოგიური და სხვა ბუნებრივი პროცესების შედეგად. ისინი პროცედურებისთვის გამოიყენება შემთბარ მდგომარეობაში.

წარმოშობის მიხედვით, სამკურნალო ტალახები იყოფა 4 ძირითად ჯგუფად: ლამის (სულფიდური), ტორფის, ვულკანური (სოპკის) და საპროპელის.

ლამის სულფიდური ტალახი (მარილიანი წყალსაცავების ლამი) შედარებით ღარიბია ორგანული ნივთიერებებით, მაგრამ მდიდარია რკინის სულფიდებით და წყალში ხსნადი ნივთიერებებით. ისინი შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ფერმენტებს, ჰორმონისმაგვარ შენაერთებს, მიკროელემენტებს, გოგირდ-წყალბადსა და სხვ.

ტორფის ტალახი – ორგანოგენური ჭაობის დანალექია, რომელიც წარმოიქმნა უმარტივესი მცენარეების ნაწილობრივი ბაქტერიოლოგიური ხრწნის შედეგად, ჭარბი ტენისა და ჟანგბადის სუსტი მიწოდების პირობებში. მათ შემადგენლობაში შედიან

ცილები, ჰუმინური მჟავები, ბიტუმები, ცხიმები, ფენოლები, კოლოიდური და კრისტალური ნივთიერებები.

ვულკანური (სოპკის) ტალახი ტალახოვანი ვულკანებისა და სოპკების მოქმედების პროდუქტია. ისინი რუხი ფერის დაქუცმაცებული, ნახევრად თხევადი თიხის წარმონაქმნებია, რომლებიც შეიცავენ მცირე რაოდენობით ორგანულ ნივთიერებებსა და დიდი რაოდენობით მიკროელემენტებს.

საპროპელის ტალახი – მტკნარი წყალსაცავების ლამი ხასიათდება ორგანული ნივთიერებების და წყლის მაღალი შემცველობით, რომელიც წარმოიქმნა წყალმცენარეებისა და უმარტივესი ცხოველების მრავალწლიანი მაკრო და მიკრობიოლოგიური გადამუშავებით. მათ შემადგენლობაში შედიან ფერმენტები, ვიტამინები, ჰორმონები და ანტიბიოტიკების მსგავსი ნივთიერებები.

საქართველოში ვულკანური ტალახი არის კურორტ ახტალაში, ლამის (სულფიდური) – კუმისში, საპროპელის და ტორფის – გაგრასა და ბიჭვინთაში.

სამკურნალო ტალახები, ძირითადად, გამოიყენება ქრონიკულად მიმდინარე ანთებითი ხასიათის დაავადებების სამკურნალოდ.

მკურნალობა უფრო ეფექტურია ქვემწვავე სტადიის ქრონიკულში გადასვლის ზღვარზე.

პელოიდოთერაპიის (ზოგადი აბაზანების სახით) გამოყენება ნაჩვენებია შემდეგი პათოლოგიების დროს: ძვალ-სახსართა სისტემის დაავადებები (რევმატოიდული პოლიართრიტი (ართრიტი), მინიმალური აქტივობის ან არააქტიურ ფაზაში; ინფექციური პოლიართრიტი (ართრიტი) პროცესის აქტიურობის გარეშე; სხვადასხვა ეტიოლოგიის არასპეციფიური ოსტეოართრიტი; დისტროფიული, კეთილთვისებიანი ოსტეოართროზი მეორადი სინოვიტით, განვითარებული ნივთიერებათა ცვლის და ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციების დარღვევის ფონზე; სპონდილოზი და სპონდილოართროზი, ხერხემალში მოძრაობის გამოხატული შეზღუდვის გარეშე; მანკილოზებელი სპონდილოართროზი, პროცესის აქტიურობის I და II ხარისხით; ინფექციური სპონდილიტი და ოსტეოქონდრიტი (არატუბერკულოზური), ტრავმული სპონდილოპათია; მიოზიტი, ფიბროზიტი, პერიართრიტი, ეპიკონდილიტი, სახსრების კონტრაქტურები, სხვადასხვა ეტიოლოგიის, ქრონიკულ სტადიაში; შარდსასქესო

სისტემის დაავადებები (ლატენტური ფორმის ქრონიკული პიელონეფრიტი, რემისიის ფაზაში; მეორადი პიელონეფრიტი აზოტგამომყოფი ფუნქციის დარღვევისა და ჰიპერტენზიის გარეშე, მწვავე პერიოდის ჩაცხრობიდან არანაკლებ 3 თვისა; არატუბერკულოზური ცისტიტი; არატუბერკულოზური პროსტატიტი, რემისიის ფაზაში, შარდგამომყოფ სტრუქტურებში ცვლილებების და ნარჩენი შარდის გარეშე); კუჭ-ნაწლავისა და ჰეპატობილიარული სისტემის დაავადებები (ქრონიკული გასტრიტები, შენარჩუნებული და მომატებული კუჭის წვენის სეკრეციით; კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულები, სისხლდენისადმი მიდრეკილების გარეშე და ოპერაციიდან არაუადრეს 2 თვისა; კოლიტი და ენტეროკოლიტი, ქრონიკული, სხვადასხვა ეტიოლოგიის (ტუბერკულოზურის, ბაქტერიულის და მასტენოზირებელის გარდა); ინფექციური ჰეპატიტი და მისი ნარჩენი მოვლენები, მწვავე პროცესის გადატანიდან 1-2 თვის შემდეგ, ღვიძლის ფუნქციების უმნიშვნელო ცვლილებებით; ქრონიკული ჰეპატიტი, სხვადასხვა ეტიოლოგიის, ღვიძლის ფუნქციების უმნიშვნელო ცვლილებებით; სხვადასხვა ეტიოლოგიის ქოლეცისტიტი და ქოლანგიტი, ქრონიკული მიმდინარეობის, იშვიათი შეტევებით (ოპერაციიდან 4-5 თვის შემდეგ), გამწვავების პერიოდის გარეშე; გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ესენციური ჰიპერტენზიის I სტადია; გულის იშემიური დაავადების I ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია) გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით ან მის გარეშე; გახანგრძლივებული პნევმონია, სუნთქვის უკმარისობის I ხარისხით ან მის გარეშე.

პელოიდოთერაპიისათვის უკუნაჩვენებია:

- მწვავე ანთებითი პროცესები,
- კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები;
- სისხლის დაავადებები;
- სისხლდენები და მათდამი მიდრეკილება;
- ტუბერკულოზი;
- ესენციური ჰიპერტენზიის II-III სტადია;
- ესენციური ჰიპოტენზია;

გულის იშემიური დაავადების დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის II-IV ფუნქციური კლასი;

გულის უკმარისობა II-IV ფუნქციური კლასის;

სტენოზით მიმდინარე გულის კომბინირებული მანკები;

აორტისა და გულის ანევრიზმები;

ვენების ვარიკოზული გაგანიერება;

ათეროსკლეროზის გამოხატული ფორმები;

ენდოკრინული დაავადებები.

ორსულობის, ფსიქიური დაავადებების, ეპილექსიის, ღვიძლის ციროზის, კახექსიის, მწვავე ინფექციური დაავადებების და ინდივიდუალური აუტანლობის შემთხვევებში.

1.4. სანაპირო ქვიშა

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, ხშირად გამოიყენება წვრილმარცვლოვანი სანაპირო ქვიშა. ძირითადად, იგი ჩვეულებრივი ქვიშაა. ურეკში, სამკურნალო მიზნით, გამოიყენება მაგნეტიტური ქვიშა. სანაპირო ქვიშის გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები ისეთივეა, როგორც ტალახით მკურნალობისას.

თავი II კურორტები და საკურორტო ადგილები, ტიპები და ქვეტიპები. საქართველოს საკურორტო რესურსები

კურორტი ეწოდება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით (მინერალური წყალი, ტალახი, განსაკუთრებული კლიმატი) მდიდარ ადგილს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა დასვენებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისთვის აღნიშნული ფაქტორების გამოსაყენებლად.

საკურორტო ადგილი ეწოდება ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით (მინერალური წყალი, ტალახი, განსაკუთრებული კლიმატი) მდიდარ ადგილს, რომელსაც არა

აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა დასვენებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისთვის აღნიშნული ფაქტორების გამოსაყენებლად.

სამკურნალო ფაქტორები განაპირობებენ კურორტებისა და საკურორტო ადგილების არსებულ ან მომავალ პროფილს.

ძირითადი საკურორტო ფაქტორების გათვალისწინებით განასხვავებენ კურორტებისა და საკურორტო ადგილების **სამ ძირითად ტიპს**: ბალნეოლოგიურს, კლიმატურსა და პელოიდოთერაპიულს (ტალახით მკურნალობა). ერთსა და იმავე კურორტზე და საკურორტო ადგილზე ხშირად არსებობს რამდენიმე სამკურნალო ფაქტორი, ამიტომ კურორტებისა და საკურორტო ადგილების ძირითადი ტიპები შეიძლება დაიყოს ქვეტიპებად.

ქვეტიპის სახელწოდებაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის სამკურნალო ფაქტორი, რომელიც არსებობს მოცემულ კურორტზე ან საკურორტო ადგილზე. სახელწოდებაში თავდაპირველად აღინიშნება ამ კურორტის ან საკურორტო ადგილის ძირითადი სამკურნალო ფიზიკური ფაქტორი. მაგალითად, «ბალნეო-კლიმატური კურორტი» გულისხმობს, რომ ამ კურორტზე ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყალი (ბალნეოლოგიური ფაქტორი), ხოლო ნაკლებად მოქმედია ჰავა, რომელიც პაციენტზე მოქმედებს პასიური კლიმატოთერაპიის სახით (დასვენება აივანზე, ძილი ღია ფანჯრების პირობებში).

2.1. საქართველოს ბალნეოლოგიური კურორტები და საკურორტო ადგილები

ამ ტიპის კურორტებისთვის და საკურორტო ადგილებისთვის დამახასიათებელია ისეთი ბუნებრივი მინერალური წყლების არსებობა, რომლებიც გამოიყენება ბალნეოლოგიური პროცედურების სახით (აბაზანები, ბანაობა აუზში, მინერალური წყლის დალევა, ინჰალაციები მინერალური წყლით და ა.შ.). ამ ტიპის კურორტებზე უნდა არსებობდეს ბალნეოსამკურნალო შენობა (სააბაზანო), ბიუვეტები და სასმელი წყლის გალერეები (თუ მინერალური წყალი გამოიყენება სასმელად), საინჰალაციო ოთახები (ემანატორიები) და სხვ.

ბალნეოლოგიურ საკურორტო ადგილებში არსებობს მინერალური წყლები, მაგრამ არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა მათი გამოყენებისათვის.

საქართველოს ბალნეოლოგიური კურორტები და საკურორტო ადგილებია (ჩამოთვლილია ანბანური თანმიმდევრობით): ამაღლება, გორმაღალა, კვალითი, კურსები, მენჯი, მუხური (ლუგელა), ნასაკირალი, ნოქალაქევი, სამტრედია, სიმონეთი, სულორი, შაქრიანი, ცაიში, წყალტუბო, ჭოკიანი.

2.2. საქართველოს კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები

კლიმატური ეწოდება კურორტის ან საკურორტო ადგილის იმ ტიპს, რომელშიც ბუნებრივი ფაქტორებიდან სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, გამოიყენება ჰავა.

კლიმატურ კურორტებზე კლიმატური პროცედურების ჩასატარებლად უნდა არსებობდეს სპეციალური ნაგებობები: კლიმატოპავილიონები, აივნები, გალერეები – დღე-ღამის განმავლობაში ჰაერზე ყოფნისთვის, სოლარიუმები, აერარიუმები, სამკურნალო პლაჟები (წყალსაცავებზე), სპეციალური მარშრუტები სეირნობისთვის და ა.შ.

ზოგჯერ გამოიყენება რომელიმე მიკროკლიმატური თავისებურება (მაგ., კარსტული მღვიმის მიკროკლიმატი).

კლიმატურ საკურორტო ადგილებს ახასიათებთ სამკურნალო ჰავა, მაგრამ მისი გამოყენება, როგორც წესი, ხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მედიკოსთა რეკომენდაციების გარეშე.

კლიმატური კურორტებიდან და საკურორტო ადგილებიდან გამოყოფენ მთის, ზღვის, ტყის, ტყე-სტეპის, სტეპის ზონის და უდაბნოს კლიმატის კურორტებსა და საკურორტო ადგილებს.

საქართველოში, ძირითადად, მთის და ზღვის კურორტებია.

2.2.1. საქართველოს მთის კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები

მთის კლიმატურ კურორტებსა და საკურორტო ადგილებს მიეკუთვნება ის ადგილები, რომლებშიც სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, გამოიყენება მთის ჰავის თავისებურებები. მთის პირობებში ორგანიზმზე სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი. მათ შორის: დაქვეითებული ატმოსფერული წნევა და შესაბამისად ჟანგბადის დაქვეითებული პარციული წნევა; შედარებით დაბალი ტემპერატურის სუფთა და მშრალი ჰაერი; ულტრაიისფერი სხივების და მსუბუქი უარყოფითი აეროიონების მაღალი კონცენტრაცია.

მთის კლიმატური კურორტებისა და საკურორტო ადგილების უმრავლესობა საქართველოში მდებარეობს I, II და III სარტყლების ფარგლებში, ე.ი. ზღვის დონიდან 400 მ-დან 1500 მ-მდე სიმაღლეზე. ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მაღლა კურორტი და საკურორტო ადგილი არ არის.

საქართველოს მთის კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები, ძირითადად, მდებარეობენ II, III და IV მაღლივ სარტყლებში, ანუ, დაბალი და საშუალო მთის პირობებში.

კერძოდ, II მაღლივ სარტყელში მდებარეობს: არხილოსკალო, ბაზალეთის ტბა, დაბა, ოქროყანა, რიწა, საგურამო (ზედაზენი), ჩითახევი, წავკისი და წოდორეთი.

საქართველოს III მაღლივ სარტყელში მდებარეობენ შემდეგი კურორტები და საკურორტო ადგილები: გომბორი, თეთრი წყარო, კიკეთი, ლიბანი, მზეთამზე, პატარა ცემი, ტბა, ცემი, ცივი კოდა, ცხრაჯვარი.

საქართველოს IV მაღლივ სარტყელში განლაგებულია: ბაკურიანი, ბახმარო, ბეშუმე, გომის მთა.

2.2.2. საქართველოს ზღვისპირა კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები

ზღვისპირა კლიმატური კურორტი და საკურორტო ადგილი ეწოდება იმ კურორტებსა და საკურორტო ადგილებს, რომლებშიც სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენება ზღვის ჰაერის, ზღვის კლიმატისა და ზღვის წყლის სამკურნალო ფაქტორები.

მთავარი განმასხვავებელი ნიშნები, რითაც ზღვის კლიმატი განსხვავდება სხვა კლიმატური ზონებიდან, არის მაღალი ატმოსფერული წნევა და, შესაბამისად, ჟანგბადის მაღალი პარციალური წნევა; ტემპერატურის სადღეღამისო რხევის უმნიშვნელო ამპლიტუდა; ჰაერი, რომელიც გამოირჩევა სისუფთავითა და უარყოფითი აეროიონებით, ასევე როგორც ზღვის, ისე მცენარეული წარმოშობის (იოდის, ბრომის, ქლორის და ა.შ.) მიკროელემენტებისა და მინერალური მარილების დიდი კონცენტრაციით; მაღალი ტენიანობა; ოზონისა და მზის რადიაციის სიუხვე.

ზღვის წყალი შეიცავს მასში გახსნილი მიკრო და მაკროელემენტების შემცველ ნივთიერებათა დიდ რაოდენობას, რომლებიც კანზე მოხვედრისას იწვევენ განსაზღვრულ სამკურნალო ზემოქმედებას.

ზღვისპირა კლიმატურ კურორტებსა და საკურორტო ადგილებს მიეკუთვნებიან: აგუძერა, ანაკლია, ახალი ათონი, ახალი კინდლი, ბათუმი, გრიგოლეთი, გუდაუთა, გულრიფში, გუმისთა, მიუსერა, მწვანე კონცხი, ოქროს ნაპირი, სოხუმი, ურეკი, ქობულეთი, შეკვეთილი, ციხისძირი.

უნდა აღინიშნოს, რომ ურეკი-გრიგოლეთის ზღვისპირა სანაპირო ზოლის ქვიშა შეიცავს მაგნეტიტს. მზის სხივებით გამთბარი მაგნეტიტური ქვიშის აბაზანებს აქვთ სამკურნალო ეფექტი ნერვული, ძვალ-სახსროვანი, სუნთქვის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მრავალი დაავადების მკურნალობისას.

2.3. საქართველოს ბალნეო-კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები

ბალნეო-კლიმატური კურორტი და საკურორტო ადგილი ეწოდება იმ ბალნეოლოგიური კურორტისა და საკურორტო ადგილის ქვეტიპს, რომელშიც, სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, ძირითადად, გამოიყენება იქ არსებული მინერალური წყლები და ნაკლებად – კლიმატოთერაპიული პროცედურები.

ბალნეო-კლიმატურ კურორტებზე უნდა იყოს შენობა-ნაგებობები ბალნეოთერაპიული და კლიმატოთერაპიული პროცედურების ჩასატარებლად. ბალნეო-კლიმატურ საკურორტო ადგილზე სამკურნალო ბუნებრივი ფაქტორები გამოიყენება სათანადო ინფრასტრუქტურისა და ექიმთა რეკომენდაციების გარეშე.

საქართველოში ბალნეო-კლიმატური კურორტები და საკურორტო ადგილები, ძირითადად მდებარეობენ დაბალი და საშუალო მთის ქვედა სარტყლის პირობებში.

კერძოდ, საქართველოში **I მაღლივ სარტყელში** მდებარეობენ შემდეგი კურორტები და საკურორტო ადგილები: ბუგეული, გორიჯვარი, ზვარე, ზინობიანი, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, კვერეთი, კოკოტაური, ლაგოდეხი, ლამგვერია, ნაბელავი, სქური, ტყვარჩელი, ხიდიკარი.

II მაღლივ სარტყელში განლაგებულია: ახალციხე, ბორჯომი, ვაჟას წყარო, ზეკარი, ლაშიჭალა, ნუნისი, საირმე, უჯარმა, ყანჩავეთი, ხოვლე.

III მაღლივი სარტყლის ფარგლებში მდებარეობენ: ასპინძა, ბაგიათი, ვარძია, ვეზური, კოდიბინი, ლასკადურა, ლესე, მუაში, ნაგუთნი, ნაქალაქევი, ურაველი, ჯავა.

IV მაღლივ სარტყელში განლაგებულია თორღვას აბანო და უწერა.

2.4. საქართველოს კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტები და საკურორტო ადგილები

კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი და საკურორტო ადგილი ეწოდება კლიმატური კურორტის ან საკურორტო ადგილის იმ ქვეტიპს, რომელშიც, ძირითადად,

სამკურნალო-პროფილაქტიკურ ფაქტორს წარმოადგენს კლიმატი და მინერალური წყალი.

ამ ტიპის კურორტებზე, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნით, ძირითადად, გამოიყენება კლიმატი და ნაკლებად ბალნეოთერაპია.

კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტზე უნდა არსებობდეს კლიმატოთერაპიული და ბალნეოთერაპიული პროცედურების ჩასატარებლად აუცილებელი შენობანაგებობანი.

საქართველოში აღნიშნული ქვეტიპის კურორტებს მიეკუთვნებიან:

შავი ზღვის კურორტებიდან: ბესლეთი, განთიადი, ეშერა, კინდლი, ლესელიძე, მალთაყვა, მახინჯაური, სუფსა, ქობულეთი.

კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტებიდან და საკურორტო ადგილებიდან **I მაღლივ სარტყელში** მდებარეობს ბოლნისი და ლისის ტბა.

II მაღლივ სარტყელში განლაგებულია: ახალდაბა, დვირი, სორტუანი, სურამი, ქვიშხეთი.

II მაღლივი სარტყლის კურორტებს მიეკუთვნება ასევე კურორტ წყნეთის ქვედა ნაწილი (მდებარეობს ზღვის დონიდან 800-1000 მ. სიმაღლეზე), მაშინ, როდესაც კურორტის ზედა ნაწილი მდებარეობს III მაღლივ სარტყელში (ზღვის დონიდან 1000-1100 მ. სიმაღლეზე).

III მაღლივი სარტყლის კურორტებსა და საკურორტო ადგილებს მიეკუთვნება: აბასთუმანი, ბიისი, დმანისი, ვანი (შუახევის რაიონი, სადაც მოიპოვება მინერალური წყალი ბაბანური), ვარდევანი, თეთრი წყლები, კოჯორი, მიტარბი, მაჭარწყალი, ფასანაური, ფლატე, ძულური, წაღვერი.

IV მაღლივ სარტყელში განლაგებულია: ავადხარა, ახალჭალა, კობი, ლებარდე, მესტია, სიონი, სტეფანწმინდა, ტიმოთეს უბანი, შოვი, ციხისჯვარი, წინუბანი.

2.5. საქართველოს პელოიდური (სამკურნალო ტალახის მქონე)

კურორტები და საკურორტო ადგილები

პელოიდური კურორტი ან საკურორტო ადგილი ეწოდება იმ კურორტს ან საკურორტო ადგილს, რომელშიც სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს პელოიდი (სამკურნალო ტალახი). მას, ძირითადად, იყენებენ აპლიკაციების, აბაზანების, ტამპონების და სხვა სახით. ასეთ კურორტებზე უნდა იყოს მოწყობილი ტალახის (ტორფის) სამკურნალოები ან ტალახით მკურნალობის კაბინეტები.

საქართველოში სამკურნალო ტალახის კურორტები მდებარეობენ დაბალი მთის ან შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

დაბალი მთის პირობებში მდებარეობს კურორტი ახტალა და საკურორტო ადგილი კუმისი. ახტალაში, სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით, უფრო მეტად გამოიყენება სამკურნალო ტალახი, ნაკლებად კლიმატური ფაქტორები. ამიტომ, ასეთი ტიპის კურორტი მიეკუთვნება პელოიდურ-კლიმატურ კურორტებს. ამავე დროს, კუმისის ტალახი, ძირითადად, გამოიყენება თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე, მაგრამ აღნიშნული საკურორტო ადგილის მდებარეობა დაბალი მთის ზონაში და სამკურნალო ტალახის არსებობა კუმისის ტბაში შესაძლებლობას გვაძლევს ეს ადგილი ჩავთვალოთ პირველი მაღლივი სარტყლის პელოიდო-კლიმატურ საკურორტო ადგილად.

ახტალაში მოიპოვება ვულკანური (სოპკის) ტალახი, კუმისში კი ლამის სულფიდური ტალახი.

2.6. საქართველოს კლიმატურ-ბალნეო-პელოიდური კურორტები

საქართველოში კლიმატურ-ბალნეო-პელოიდურ კურორტებს მიეკუთვნებიან ბიჭვინთა და გაგრა, სადაც სხვა ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებთან ერთად გამოიყენება ტორფი და საპროპელები.

თავი III. კურორტული მკურნალობის პრინციპები

კურორტული მკურნალობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია სხვადასხვა სახეობის ბუნებრივი ფიზიკური ფაქტორების კომპლექსური გამოყენება ფიზიოთერაპიასა, სამკურნალო ფიზკულტურასა და დიეტოთერაპიასთან ერთად.

კლიმატური ფაქტორები, მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახი შეიძლება ხელოვნურადაც შეიქმნას. კერძოდ, შესაძლებელია, მივიღოთ ხელოვნურად იონიზირებული ჰაერი, ხელოვნური მზის გამოსხივება და ა.შ. ასევე, შესაძლებელია ხელოვნურად მოვამზადოთ მინერალური წყალი და სამკურნალო ტალახი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კურორტზე მკურნალობა უფრო ეფექტურია, ვიდრე კურორტგარეშე პირობებში. ეს იმით აიხსნება, რომ ყოველი კურორტული ფაქტორის მოქმედებას ორგანიზმზე ემატება კურორტის ბუნებრივი პირობების კომპლექსური გავლენა. ამასთანავე მკურნალობის პერიოდში პაციენტი იცვლის ჩვეულ საყოფაცხოვრებო გარემოს, თავისუფლდება დატვირთვის, ყოველდღიური საზრუნავისა და გამაღიზიანებელი ფაქტორების ზეგავლენისგან, რომლებიც, უმეტესად, განაპირობებენ ან ხელს უწყობენ მის ავადმყოფობას.

კურორტზე პაციენტი ხანგრძლივად ან მუდმივად იმყოფება სუფთა ჰაერზე, რომელიც გაჯერებულია აეროიონებით და ფიტონციდებით, იგი განიცდის ირგვლივ არსებული ლანდშაფტის ზემოქმედებას და სხვ.

კურორტული მკურნალობის ერთ-ერთი მიზანია ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის ნორმალიზაცია, რაც ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემების მოქმედების, ნივთიერებათა ცვლის პროცესებისა და სხვათა მოწესრიგებას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოძრაობის რეჟიმს, მოსვენების და დოზირებული მოძრაობების მონაცვლეობას, სეირნობას, ექსკურსიებს. კურორტზე მკურნალობის აუცილებელი ელემენტებია სამკურნალო ვარჯიში, ტერენკური (დოზირებული სეირნობა სპეციალური მარშრუტით), სპორტული თამაშობები და სხვა.

კურორტული მკურნალობის ეფექტურობის ამაღლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთო-კურორტული, სანატორიული და ინდივიდუალური რეჟიმის დაცვას.

საერთო კურორტული რეჟიმი ვრცელდება კურორტის მთელ ტერიტორიაზე და რეგლამენტირებულია აღნიშნულ კურორტზე დამტკიცებული შიდაგანაწესით, რომელიც მოიცავს საერთო საკურორტო, სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშაობის რეჟიმს, ასევე ხმაურის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებებს.

სანატორიული რეჟიმი არის პაციენტის ცხოვრების განაწესი და რიტმი, რომელიც განსაზღვრავს სამკურნალო ღონისძიებების ზემოქმედების პერიოდულობას. სანატორიულ რეჟიმში გათვალისწინებულია, როგორც საერთო განაწესი ყველა პაციენტისთვის, ასევე მკურნალი ექიმის მიერ დანიშნული ცალკეული მითითებები და რეკომენდაციები, რომელიც ეხება პაციენტის დღის რეჟიმსა და სამკურნალო პროცედურების თანმიმდევრობას.

ინდივიდუალური რეჟიმი ენიშნება თითოეულ პაციენტს ინდივიდუალურად და განისაზღვრება მკურნალ ექიმთან პირველი გასაუბრების შემდეგ, რომელიც ტარდება პაციენტის კურორტზე ჩასვლის პირველი დღე-ღამის განმავლობაში. იგი განისაზღვრება ავადმყოფობის ხასიათისა და პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით და შეიძლება იყოს მატრენირებელი (როდესაც ინიშნება პროცედურების ინტენსიური ზემოქმედება) და დამზოგველი (როდესაც ინიშნება პროცედურების შეზღუდული რაოდენობა და ინტენსივობა).

აკლიმატიზაციის პერიოდში (რომელიც გრძელდება 2-3 დღე განსხვავებული კლიმატური ზონიდან ჩამოსულთათვის) დღის რეჟიმი იგეგმება ისე, რომ ორგანიზმი უფრო იოლად შეეგუოს განსხვავებულ გარემო პირობებს. პირველი 2-3 დღის მანძილზე პაციენტს არ ენიშნება სამკურნალო პროცედურები. რეკომენდირებულია ინდივიდუალურად დოზირებული აქტიური დასვენება. მკურნალი ექიმი პაციენტს შეურჩევს სამკურნალო ღონისძიებათა ჩატარების თანმიმდევრობას, დროს, პირობებს და პროცედურის ხანგრძლივობას. საჭიროების შემთხვევაში უთავსებს მას

სამკურნალო ფიზკულტურას, ვარჯიშს და მასაჟს. ექიმი განსაზღვრავს პაციენტის ფიზიკური აქტივობის საზღვრებსაც.

კურორტული მკურნალობის ნებისმიერი კურსი აგებულია ფიზიოლოგიური ფუნქციების ტრენირების პრინციპზე, როდესაც მინიმალური ზემოქმედებიდან თანდათანობით მატულობს დატვირთვის ინტენსივობა პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად.

პირველი დღეების დამზოგველი რეჟიმი, ექიმის მითითებით, რამდენიმე დღის შემდეგ იცვლება მატრენირებელი რეჟიმით, რომელიც გულისხმობს უფრო ინტენსიურ დატვირთვებს და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. კურორტზე ყოფნის ბოლო 2-3 დღის განმავლობაში პაციენტს თანდათანობით უმცირდება მომატებული დატვირთვა. მკურნალობის აუცილებელი პირობაა არ გადაიტვირთოს ორგანიზმი ზედმეტი პროცედურებით.

ამგვარად, კურორტული მკურნალობა შეიძლება დაიყოს **სამ ძირითად პერიოდად**:

- ა) საწყისი (ადაპტაციის) პერიოდი, რომელიც მოიცავს დამზოგველ რეჟიმს და რომლის განმავლობაშიც მთელი ინტენსივობით არ ინიშნება სამკურნალო პროცედურები. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა პაციენტის გამოკვლევის პერიოდს და გრძელდება 2-3 დღე;
- ბ) ძირითადი სამკურნალო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მთლიანად წარმოებს სამკურნალო კომპლექსის რეალიზება (საშუალოდ 14-16 დღე);
- გ) დამამთავრებელი პერიოდი (2-3 დღე), როდესაც კვლავ გამოიყენება დამზოგველი რეჟიმი.

თავი IV. კურორტული ფაქტორების გამოყენება

სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე კლიმატოთერაპია მოიცავს აეროთერაპიას, ჰელიოთერაპიას და ძილს ზღვის ნაპირზე. ასევე ხშირად გამოიყენება ზღვაში ბანაობა.

საქართველოს მთის კურორტებზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის, კერძოდ, სოლარიუმებისა და აეროსოლარიუმების არარსებობის გამო, ძირითადად, გამოიყენება აეროთერაპიული პროცედურები. კლიმატოთერაპიული პროცედურების ჩატარების მეთოდები ერთნაირია როგორც ზღვისპირა კურორტებზე, ასევე მთაში.

4.1. აეროთერაპია

აეროთერაპია წარმოადგენს ღია, სუფთა ჰაერის ზემოქმედების გამოყენებას დასვენების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით. იგი კლიმატური მკურნალობის საფუძველია და მოიცავს სადღეღამისო აეროთერაპიას – ხანგრძლივ ყოფნას (ძილსაც) ღია ვერანდებზე, აივნებზე ან სპეციალურ კლიმატოპავილიონებში (აერარიუმებში, აეროსოლარიუმებში) და ჰაერის აბაზანებს, ანუ სუფთა ჰაერის ზემოქმედებას მთლიანად ან ნაწილობრივ გაშიშვლებული ადამიანის ორგანიზმზე.

აეროთერაპიის ჩატარებისას პაციენტი დაცული უნდა იყოს წვიმისა და მზის ზემოქმედებისგან. გარემოს ტემპერატურისა და სიცივისადმი ინდივიდუალური მგრძობელობის გათვალისწინებით, აეროთერაპიის დოზირება წარმოებს ზემოქმედების ხანგრძლივობის და იმ ტემპერატურული საზღვრების ცვლილებებით (შემცირებით ან გაფართოებით), რომელთა ფარგლებშიც ტარდება პროცედურა.

აეროთერაპიის ჩვენებების და დოზების განსაზღვრისთვის აუცილებელია, გავითვალისწინოთ არა მარტო ჰაერის ტემპერატურა, არამედ ჰაერის გამაგრილებელი თვისებების განმსაზღვრელი ისეთი პარამეტრებიც, როგორებიცაა ჰაერის ფარდობითი ტენიანობა და ქარის სიჩქარე. აღნიშნული მეტეოროლოგიური პირობების ინტეგრალური მაჩვენებელი არის ე.წ. **ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურა (ეეტ)**. იგი განისაზღვრება ნომოგრამებით (სურათები 1 და 2).

ამისთვის უნდა ვიცოდეთ ტემპერატურის მონაცემები მშრალ, სველ თერმომეტრებზე და ქარის სიჩქარე.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია, ე.წ., კომფორტის ზონა, რომელიც ხასიათდება სუბიექტურად სასიამოვნო სითბოს შეგრძნებით, ოფლის არარსებობით, გადამეტცივების (შემცივნება, პილომოტორული რეფლექსი და ა.შ.) ან


გადამეტხურების (კანის მკვეთრი გაწითლება, ოფლდენის გაძლიერება და ა.შ.) რეაქციების არარსებობით. კომფორტის ზონა გახდილი ადამიანისთვის, ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის მიხედვით, საშუალოდ მერყეობს 17,3°C - 21,6°C-ის ფარგლებში, ხოლო ჩაცმულისთვის 16,8°C-20,8°C-ის ფარგლებში.

არსებობს სადღეღამისო აეროთერაპიის 3 რეჟიმი: სუსტი, ზომიერი და ინტენსიური (ცხრილი 1).

ცხრილი 1
სადღეღამისო აეროთერაპიის ჩატარების რეჟიმები

სადღეღამისო აერო-თერაპიის ჩატარების რეჟიმები	პროცედურების ხანგრძლივობა (საათებში) ჰაერის სხვადასხვა ტემპერატურის დროს	
	10°C-მდე	10°C-ზე და ზევით
I – სუსტი	1-დან – 3-მდე	2-დან – 6-მდე
II – ზომიერი	3-დან – 6-მდე	2-დან – 6-მდე
III – ინტენსიური	6-დან – 12-მდე	სადღეღამისო


საქართველოს შავი ზღვისპირა სანაპირო კურორტებზე სადღეღამისო აეროთერაპიის სუსტი რეჟიმი ენიშნებათ პაციენტებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის



სურათი 1. გახდილი ადამიანისთვის ძირითადი სკალით ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურების განმსაზღვრელი ნომოგრამა (ვ. იაკოვენკო, 1927)

პათოლოგიით, გულის უკმარისობის II ფუნქციური კლასით და სუნთქვის სისტემის დაავადებებისას, სუნთქვის უკმარისობის II ხარისხით ან ფილტვ-გულის უკმარისობის I ხარისხით.

სადღეღამისო აეროთერაპიის ზომიერი რეჟიმი ენიშნებათ პაციენტებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს, გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით, ასევე სუნთქვის სისტემის დაავადებებისას, სუნთქვის უკმარისობის I ხარისხით.



სურათი 2. ჩაცმული ადამიანისთვის ნორმალური სკალით ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის განმსაზღვრელი ნომოგრამა (ვ. იაკოვენკო, 1927)

სადღელამისო აეროთერაპიის ინტენსიური რეჟიმი ენიშნებათ 55 წლამდე ასაკის პაციენტებს (პათოლოგიური პროცესის კომპენსაციის პირობებში, სუნთქვის, ფილტვ-გულის და გულის უკმარისობის გარეშე)..

I და II მაღლივი სარტყლის კურორტების პირობებში (დაბალი მთის კურორტები) გამოიყენება სადღელამისო აეროთერაპიის სუსტი, ზომიერი და ინტენსიური რეჟიმი. სადღელამისო აეროთერაპიისათვის ჩვენებები დაბალი მთის კურორტების პირობებში ისეთივეა, როგორც საქართველოს შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე.

III მაღლივი სარტყლის კურორტების პირობებში გამოიყენება სადღელამისო აეროთერაპიის სუსტი და ზომიერი რეჟიმი.

სუსტი რეჟიმი გამოიყენება გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასის ან სუნთქვის უკმარისობის I ხარისხის დროს, ხოლო ზომიერი რეჟიმი- პათოლოგიური პროცესის კომპენსაციის სტადიაში (გულის, სუნთქვის და ფილტვ-გულის უკმარისობის გარეშე).

IV მაღლივი სარტყლის კურორტების პირობებში გამოიყენება სადღელამისო აეროთერაპიის სუსტი რეჟიმი, პათოლოგიური პროცესის კომპენსაციის პერიოდში (გულის, სუნთქვის და ფილტვ-გულის უკმარისობის გარეშე).

მკურნალობის კურსი მოიცავს სადღელამისო აეროთერაპიის 12-16 პროცედურას.

ჰაერის აბაზანები ტარდება აერარიუმში, აეროსოლარიუმში, ვერანდაზე, აივანზე, ღია ფანჯრებიან პალატაში, პარკში, დილის ჰიგიენური ვარჯიშის, სპორტული თამაშობების და სეირნობის დროს. მათი მიღება შესაძლებელია დღის ყოველ მონაკვეთში, მაგრამ არაუადრეს საუზმიდან ერთი საათისა და სადილის შემდეგ.

სხეულის გაშიშვლების ხარისხიდან გამომდინარე, განასხვავებენ ჰაერის საერთო აბაზანას (სხეულის მთლიანი გაშიშვლება) და ნახევარაბაზანას (სხეულის სხვადასხვა უბნების გაშიშვლება). ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის გათვალისწინებით, ჰაერის აბაზანები იყოფა ცივ (ტემპერატურა 1°C-დან 9°C-მდე), ზომიერად ცივ (9°C-დან 17°C-მდე), გრილ (17°C-დან 21°C-მდე), ინდიფერენტულ (21°C-დან 23°C-მდე) და თბილ (23°C და მეტი) აბაზანებად.

ცივ, ზომიერად ცივ და გრილ ჰაერის აბაზანებს უთავსებენ ფიზიკურ ვარჯიშებს (ცხრილი 2).

ცივი, ზომიერად ცივი და გრილი ჰაერის აბაზანების მიღების პროცესში რეკომენდებული ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი

ვარჯიშის №	საწყისი მდებარეობა	შესრულების მეთოდიკა
1	2	3
1	გამართული ხელები მკერდის წინ, მტევნები მუშტებად შეკრული, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1 – სრული აქნევა ხელებით ზურგს უკან – ამოსუნთქვა; 2 – აქნევა გამართული ხელებით განზე – ჩასუნთქვა
2	ზევით აწეული ხელები, ხელის მტევნები მუშტებად შეკრული, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1-2 – სრული აქნევა გამართული ხელებით განზე და ქვემოთ – ამოსუნთქვა; 3-4 – გადაჯვარედინებული ხელების აწევა ზევით – ჩასუნთქვა.
3	ხელები გამართულია მკერდის წინ, მუშტებად შეკრული ხელის მტევნები, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1 – სრული ჩაჯდომა, ტერფების მოუცილებლად იატაკიდან, ბოლომდე ხელის განზიდვით – შესუნთქვა; 2 – დამატებითი ჩაჯდომით (ბუქნით) – ამოსუნთქვა; 3-4 – გამართვა სხეულის გასწორებამდე, ხელების ზევით აწევა და განზე გაშლა – შესუნთქვა

ცხრილი 2 (გაგრძელება)

№	2	3
4	ხელის გულები კეფაზე, იდაყვების გვერდზე განზიდვა, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1-2 – იდაყვების გვერდზე გაშლით და ფეხის წვერებზე აწევით, განხეკვა – შესუნთქვა; 3-4 – იდაყვების წინ წამოწევით, ტერფებზე ჩაჯდომა, თავი დახრილი – ამოსუნთქვა.
5	ხელის გულები კეფაზე, იდაყვების განზიდვა გვერდზე, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1-2 – სხეულის გადახრა მარცხნივ და ქვემოთ, ხელის გულით მუხლების შეხება – ამოსუნთქვა; 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება – შესუნთქვა, იგივე საწინააღმდეგო მხარეზე.
6	იგივე, რაც მე-5 პუნქტში	1-2 – სხეულის მობრუნება მარცხნივ, მარცხნივ ხელის განზიდვით – შესუნთქვა; 3-4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება – ამოსუნთქვა; იგივე საწინააღმდეგო მხარეს.
7	ხელების განზიდვა გვერდზე, ხელის გულები ზევით, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1-2 – სხეულის წინ გადახრა, ხელებით ტერფების შეხება დამატებითი ზამზარისებრი მოძრაობით – ამოსუნთქვა.
8	ხელები წელზე, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1-2 – თითის წვერებზე წამოწევით და სხეულის განხეკვით, იდაყვების განზიდვა უკან – შესუნთქვა; 3-4 – იდაყვების მოზიდვა წინ, უმნიშვნელოდ დახრა წინ – ამოსუნთქვა.
9	ძირითადი დგომა	1-2 – ხელების და მარცხენა ფეხის უკან განზიდვა ფეხის წვერზე დადგომა, განხეკვა-შესუნთქვა; 3 – ფეხის მკვეთრად აწევა წინ და ზევით, ტაში მუხლქვემოთ – ამოსუნთქვა; 4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

10	ხელების მოხრა იდაყვებში, მკერდზე მიბჯენით, ხელის გულებით ქვემოთ, ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად	1 – იდაყვების მკვეთრად გვერდზე განზიდვა; 2 – ამ მოძრაობის გამეორება; 3 – ხელების გვერდზე განზიდვა; 4 – საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.
11	ძირითადი დგომი	ადგილზე სიარული – 20 წმ; ადგილზე ხტომები – 20 წმ.
12	ძირითადი დგომი	1-2 – ხელების აწევა ზევით და განზე განზიდვა – ღრმა შესუნთქვა; 3-4 – ხელების დაშვება ქვევით, გადაჯვარედინება, სხეულის და ხელების წინ დახრა – ამოსუნთქვა.

ცივი ჰაერის აბაზანების მიღების დროს ზემოაღნიშნული კომპლექსის ყოველი ვარჯიში მეორდება რვაჯერ, ზომიერად ცივი ჰაერის აბაზანების მიღებისას – ექვსჯერ და გრილი ჰაერის აბაზანებისას – ოთხჯერ.

ჰაერის აბაზანების დოზირება ხორციელდება სიცივით დატვირთვის სიდიდის გათვალისწინებით. ეს სიდიდე ტოლია ორგანიზმის სითბოს გაცემასა და სხეულის ზედაპირის ერთეულზე სითბოს წარმოქმნას შორის სხვაობის გაანგარიშებით. სიცივით დატვირთვა სითბოს გაცემის ის ნაწილია, რომელმაც სიცივითი პროცედურის პერიოდში ვერ მოასწრო სითბოს წარმოქმნით კომპენსაცია და წარმოადგენს სიცივითი დატვირთვის აქტივობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს.

გამოყოფენ ჰაერის აბაზანების სიცივის **ზემოქმედების 4 ტიპს**: სუსტს, სითბოს დეფიციტით არა უმეტეს 75 კჯ/მ² (18 კკალ/მ²-მდე), ზომიერს – 75-დან 150 კჯ/მ²-მდე (18-დან 36 კკალ/მ²-მდე), ძლიერს – 150-დან 225 კჯ/მ²-მდე (36-დან 54 კკალ/მ²-მდე) და ზღვრულს – 225-დან 301 კჯ/მ²-მდე (54-დან 72 კკალ/მ²-მდე).

ჰაერის აბაზანების პროცედურების დანიშვნისას ექიმმა უნდა მიუთითოს აბაზანის საწყისი დოზა (კკალ/მ² ან კჯ/მ²), დღეების მიხედვით დოზის ზრდის სქემა, საბოლოო დოზა და ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურა, რომლის დროსაც შესაძლებელია პროცედურების მიღება. პროცედურის ხანგრძლივობას კი განსაზღვრავენ სპეციალური დოზიმეტრული ცხრილებით.

სიცივის ზემოქმედების ინტენსივობიდან გამომდინარე, გამოიყენება ჰაერის აბაზანების მიღების რამდენიმე რეჟიმი: სუსტი, ზომიერი და ინტენსიური (ცხრილი 3).

ცხრილი 3

ჰაერის აბაზანების მიღების რეჟიმი

ჰაერის აბაზანების მიღების რეჟიმი	სიცივით დატვირთვა, კჯ/მ ²		სიცივით დატვირთვის ზრდა	ექტ (°C) არანაკლებ
	საწყისი	მაქსიმალური		
I – სუსტი	30-40	100	20 კჯ/მ ² -ით ყოველ 3-5 დღეში	17-18

II – ზომიერი	60	140	20 კჯ/მ ² -ით ყოველ 2-3 დღეში	12-15
III–ინტენსიუ-რი	100	180	20 კჯ/მ ² -ით ყოველ 1-2 დღეში	10-12

ჰაერის აბაზანების მიღების რეჟიმები ზღვისპირა და მთის კურორტების პირობებში ისეთივეა, როგორც სადღეღამისო აეროთერაპიის დანიშვნისას.

მკურნალობის კურსი, ძირითადად, მოიცავს 15-20 პროცედურას. მკურნალობის პროცესში, სუბიექტური და ობიექტური მონაცემების გაუმჯობესების საფუძველზე, შესაძლებელია, სადღეღამისო აეროთერაპიისა და ჰაერის აბაზანების მიღების დანიშნული რეჟიმი ექიმმა შეცვალოს უფრო ინტენსიური რეჟიმით.

ორგანიზმის სისტემატური გაკაჟების მიზნით, თავდაპირველად, რეკომენდებულია ჰაერის ნახევარაბაზანების მიღება (10 წუთის განმავლობაში), შემდეგ კი გადასვლა ოთახის ჩვეულებრივი ტემპერატურის (20°C-22°C) ჰაერის საერთო აბაზანებზე.

პირველი აბაზანის ხანგრძლივობა 10 წუთია. ყოველდღიურად ემატება 5-5 წუთი, ჰაერის აბაზანის მაქსიმალური ხანგრძლივობა 35-40 წუთია. იმ პაციენტებს, რომლებიც შენობაში იწყებენ გამაგრილებელი პროცედურების მიღებას, მაგრამ არ არიან საკმარისად გაკაჟებულნი, ჰაერის საერთო აბაზანა ენიშნებათ გარემოს არანაკლებ 16°C ტემპერატურის პირობებში (ცხრილი 4).

16°C-19°C ჰაერის ტემპერატურის ან 4 მ/წმ სიჩქარის ქარის დროს ჰაერის აბაზანის მიღების ხანგრძლივობა ორჯერ მცირდება.

ძლიერი სიცივით დატვირთვის ჰაერის აბაზანები, ისევე როგორც აბაზანების მიღების ინტენსიური რეჟიმი, არ ენიშნებათ პაციენტებს 55 წლის ზევით.

ცხრილი 4

ჰაერის აბაზანების მიღების ხანგრძლივობა წუთებში

ტემპერატურა, °C	პროცედურის რიგითი ნომერი																			
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX
16-დან 19-მდე	2	4	6	8	10	12	14	16	18	20	22	24	26	28	30	32	34	36	38	40
19-დან 21-მდე	3	6	9	12	15	18	21	24	27	30	33	36	39	42	45	48	51	54	57	60
22-დან 25-მდე	5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95	100
25-დან 27-მდე	20	30	40	50	60	70	80	90	100	110	120	130	140	150	160	170	180	190	200	210

აერთერაპიის მეთოდებს მიეკუთვნება ზღვისპირას ყოფნა და ძილი. იქ მყოფი ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, აერთერაპიის ეს სახეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მკურნალობის დამოუკიდებელი მეთოდი.

ზღვის ჰაერი საგრძნობლად სუფთა და გამჭვირვალეა, ვიდრე ხმელეთისა, იგი უფრო ადვილად ატარებს მზის სხივებს, გაჯერებულია ზღვის მარილებით, რომლებიც შეიცავენ ნატრიუმს, კალციუმს, ბრომს და იოდს და ზღვის წყალმცენარეების ფიტონციდებით, დამახასიათებელია ჰაერის მომატებული იონიზაცია (განსაკუთრებით ზღვის დელვის დროს), წლის თბილ პერიოდში უარყოფითი იონების სიჭარბით. ზღვის სანაპირო გიგანტური ინჰალატორია, სადაც ადამიანი ღებულობს ბუნებრივ მარილიან, აეროიონიან და ჰიდროიონიან ინჰალაციებს.

დამის ძილი ზღვის ნაპირზე ნებადართულია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის (I-II სტადიის ესენციური ჰიპერტენზია; გულის იშემიური დაავადება, I-II ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია; ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი; მიოკარდიოდისტროფიები, გულის სარქველების შეძენილი მანკები (მარცხენა ვენური ხვრელისა და აორტის სტენოზის უპირატესობის გარეშე, ჩამცხრალი რევმატიული პროცესით), გულის უკმარისობის I-II ფუნქციური კლასით ან მის გარეშე.

4.2. ჰელიოთერაპია (მზის აბაზანებით მკურნალობა)

ჰელიოთერაპია არის მზის სხივების გამოყენება პროფილაქტიკური და სამკურნალო მიზნებისთვის. ჰელიოთერაპიის ძირითადი ფაქტორია მზის გამოსხივების 290-3000 ნმ დიაპაზონის მქონე ტალღების ელექტრომაგნიტური (ოპტიკური) ენერგია, რომელიც მოიცავს მზის რადიაციის ნაკადის ძირითად ნაწილს და ატმოსფეროში გავლით შესუსტებული სახით აღწევს დედამიწის ზედაპირს. საერთაშორისო კლასიფიკაციით ამ დიაპაზონის გამოსხივება იყოფა 3 ნაწილად – ულტრაიისფერი (ტალღის სიგრძით 400 ნმ და ნაკლები), ხილული (ტალღის სიგრძით 400-დან 760 ნმ-მდე) და ინფრაწითელი (ტალღის სიგრძე 760 ნმ და მეტი). თავის მხრივ, ულტრაიისფერი რადიაცია შედგება გრძელტალღოვანი – ულტრაიისფერი A (ტალღის

სიგრძე 315-ნმ-დან 400 ნმ-მდე), საშუალოტალღოვანი – ულტრაიისფერი B (ტალღის სიგრძე 280-დან–315 ნმ-მდე) და მოკლეთალღოვანი – ულტრაიისფერი C (ტალღის სიგრძე 280 ნმ და ნაკლები) ნაწილებისგან.

ბიოლოგიურად ყველაზე აქტიურია ულტრაიისფერი C რადიაცია, რომელიც შლის ცილის მოლეკულებს და საშიშროებას უქმნის ყველაფერ ცოცხალს. თუმცა იგი მთლიანად შთაინთქმება ატმოსფეროში, რომელიც ასრულებს ბუნებრივი დამცველი ფაქტორის როლს და ვერ აღწევს დედამიწამდე.

დედამიწის ზედაპირთან მზის რადიაციის ინტენსივობა და სპექტრული შემადგენლობა დამოკიდებულია მზის დგომის სიმაღლეზე და ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე. რაც უფრო მაღლა დგას მზე ჰორიზონტზე, მით მეტია ამ რადიაციის ინტენსივობა და იგი მეტად მდიდარია ულტრაიისფერი სხივებით.

გასათვალისწინებელია მზის გამოსხივების სპექტრული სიმკვრივის სეზონური რიტმები. მაგ., კურორტ ურეკში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ულტრაიისფერი რადიაცია უფრო სუსტია, ვიდრე გაზაფხულ-ზაფხულზე.

ჰელიოთერაპიის დროს ადამიანის სხეულზე მოქმედებს მზის რადიაცია, რომელიც გამოსხივდება ან უშუალოდ მზიდან (პირდაპირი რადიაცია), ან სხვადასხვა სხეულების ზედაპირიდან (არეკლილი რადიაცია). ამ რადიაციათა ჯამს, რომელიც ეცემა ჰორიზონტალურ ზედაპირზე (ჰელიოთერაპიის თვალსაზრისით – ადამიანზე, რომელიც ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია), ეწოდება ჯამური რადიაცია.

მზის სხივებით განათების პირობების გათვალისწინებით, მზის აბაზანები იყოფა: ჯამური, გაფანტული, პირდაპირი და შესუსტებული რადიაციის აბაზანებად. გარდა ამისა, გამოყოფენ მზის საერთო და ადგილობრივ აბაზანებს.

მზის ინტერმიტირებული (წყვეტილი) აბაზანები საერთო დასხივების სახესხვაობას წარმოადგენენ. ამ პროცედურის მიღებისას გამოსხივების დაგეგმილი ხანგრძლივობა 2-3-ჯერ წყდება 10-20 წუთით ან მეტით.

წყვეტილი დასხივება, უწყვეტთან შედარებით, ორგანიზმზე უფრო დამზოგველად მოქმედებს.

ინტერმიტირებული აბაზანების ჩასატარებლად გამოიყენება ამოჭრილი მოძრავი ტენტები.

შესუსტებული მზის რადიაციის საერთო აბაზანები ტარდება საჩრდილობლის ან ეკრანის ქვეშ, რომელიც ამცირებს პაციენტზე მოხვედრილი მზის გამოსხივების ინტენსივობას.

გაფანტული რადიაციის მზის აბაზანების მოქმედება უფრო რბილი და დამზოგველია, რადგან მზის პირდაპირი სხივების სითბური ეფექტი ან გამორიცხულია, ან საგრძნობლად შესუსტებულია, ხოლო გაფანტული რადიაციით მიღებული ულტრაიისფერი სხივების ბიოლოგიური ზემოქმედება ისეთივეა, როგორც მზის პირდაპირი რადიაციის დროს.

მზის ადგილობრივი აბაზანების დროს (საერთოსგან განსხვავებით), მზის სხივების მოქმედება ვრცელდება სხეულის მხოლოდ ცალკეულ უბნებზე. ცალკეული უბნების იზოლირებული განათება შესაძლებელია პაციენტის გასაწევი ინდივიდუალური საჩრდილობლის ქვეშ მოთავსებით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საჭირო შუქჩრდილის შექმნა. არსებობს ადგილობრივი აბაზანების რამდენიმე სახეობა: საყელოს ზონის, გავა-წელის, ზემო და ქვემო კიდურების მიდამოების და ა.შ.

მზის ადგილობრივი აბაზანები ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმზე შემცირდეს საერთო სხივური დატვირთვა და ასევე, მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს მოქმედება რეფლექტორული ზონის დაზიანებულ სეგმენტებზე (მაგ., გავა-წელის არეზე, რადიკულიტიისა და ქრონიკული გლომერულონეფრიტის დროს და ა.შ.).

მზის ადგილობრივი აბაზანები ინიშნება მზის საერთო აბაზანების მიღებამდე.

მზის აბაზანების ჩატარების ძირითადი ადგილია აეროსოლარიუმი, ხოლო ზღვისპირა კურორტებისთვის – სამკურნალო პლაჟი.

ვინაიდან მზის ნებისმიერი აბაზანის მიღების დროს ადამიანი განიცდის არა მხოლოდ მზის რადიაციის, არამედ ჰაერის ზემოქმედებასაც (ტემპერატურა, ტენიანობა, მოძრაობის სიჩქარე და სხვ.), მართებულია, ამ აბაზანებს ეწოდოს ჰაერ-მზის აბაზანები.

მზის აბაზანების მისაღებად იდგმება ხის საწოლები (სიმაღლით 40-50 სმ), რომლებიც აღჭურვილნი არიან თავქვეშ ამოსადებით. პროცედურის მიღების დროს თავი უნდა იყოს ჩრდილში, ხოლო თვალები – მზის სათვალით დაცული.

მზის სხივებით მკურნალობა უნდა ჩატარდეს საკვების მიღებიდან 1 სთ-ის შემდეგ.

მკურნალობის კურსი მოიცავს 12-24 პროცედურას.

ჰელიოთერაპიის ჩატარებისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია მეტეოროლოგიური პირობები, რისთვისაც იყენებენ რადიაციულ ეკვივალენტურ-ეფექტურ ტემპერატურას. ამ მონაცემის განსაზღვრისთვის, იმ მეტეოლოგიური მონაცემების გარდა, რომლებიც შედიან ეკვივალენტურ-ეფექტურ ტემპერატურაში (ტემპერატურის ჩვენებები მშრალ და სველ თერმომეტრებზე და ჰაერის მოძრაობის სიჩქარე), მხედველობაში მიიღება მზის რადიაციაც.

რადიაციული ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის განსაზღვრის ყველაზე მარტივი მეთოდია ი. ბუტიევას (1968 წ.) მიერ შემოთავაზებული ფორმულა: $რეეტ=0,83$ ეეტ ძირითადი $+ 12^{\circ}C$, სადაც, რეეტ არის რადიაციული ეკვივალენტურ-ეფექტურ ტემპერატურა. ეეტ ძირითადი არის ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურა გახდილი ადამიანისთვის.


გ. შელეიხოვსკის მიერ (1948 წ.) შედგენილ იქნა რადიაციული ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის განმსაზღვრელი ნომოგრამა, რომელიც ხშირად გამოიყენება კურორტულ პრაქტიკაში (სურათი 3).

მზის აბაზანების მიღებისას გამოიყენება სამი რეჟიმი: სუსტი, ზომიერი და ინტენსიური.

სანაპირო კურორტების პირობებში განასხვავებენ მზის აბაზანების მიღების სამ ძირითად რეჟიმს: სუსტს, ზომიერსა და ინტენსიურს.

მზის პროცედურების მიღების სუსტი რეჟიმის დროს რადიაციული ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურა უნდა იყოს $17^{\circ}C$ -დან $23^{\circ}C$ -მდე, ზომიერის დროს – $23^{\circ}C$ -დან $26^{\circ}C$ -მდე ფარგლებში, ინტენსიურის დროს კი – $26^{\circ}C$ და მეტი.

ცნობილია მზის აბაზანების დოზირების რამდენიმე მეთოდი. ყველაზე ძველი და ხელმისაწვდომია პროცედურის ხანგრძლივობის დოზირება წუთებში. მზის დასხივების ამ მეთოდის დროს აუცილებელია წლის პერიოდსა და გეოგრაფიულ განედზე შესწორების შეტანა (შესაბამისი ცხრილების მიხედვით).



სურათი 3. რადიაციული ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის განმსაზღვრელი ნომოგრამა. ეეტ – ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურაა;

ρ – შთანთქმული რადიაციაა, კალ/სმ²წთ. ($\rho = (1 - \alpha) \times \rho$, სადაც α – ტანსაცმლის ან შიშველი სხეულის ალბედოა, ρ – პერპენდიკულარულ ზედაპირზე პირდაპირი რადიაციის სიდიდე. პიგმენტირებული კანისთვის $\alpha = 0,11$, არაპიგმენტირებული კანისთვის $\alpha = 0,28$)

ზაფხულის პერიოდში მზის დასხივების **სუსტი რეჟიმის** დროს ჰელიოთერაპიის საწყისი დოზა იწყება 5 წუთიდან (2,5 წუთი სხეულის წინა და უკანა ზედაპირზე). ყოველ ორ დღეში დოზა იზრდება 5 წუთით. პროცედურის მაქსიმალური ხანგრძლივობა 20-25 წუთია. მზის აბაზანების დოზირების **ზომიერი რეჟიმის** დროს, ზაფხულის პერიოდში, ჰელიოთერაპიას ვიწყებთ 5 წუთიდან, ისევე როგორც სუსტი რეჟიმის დროს. ყოველ 24 საათში დოზას ვზრდით 5 წუთით. პროცედურის მაქსიმალური ხანგრძლივობა 30-35 წუთია. მზის აბაზანების **ინტენსიური რეჟიმის** დროს, ზაფხულის თვეებში, ჰელიოთერაპია იწყება 10 წუთიდან, ყოველდღე ემატება 5 წუთი. მაქსიმალური ხანგრძლივობაა 40 წუთი. მზის აბაზანების ჯამური რადიაციის უფრო ზუსტი დოზირება ტარდება გამოსხივების ენერჯის სიმკვრივის (კ/ჯოულ/მ²)


მიხედვით. საწყისი დოზა (რომელსაც, პირობითად, უწოდებენ სამკურნალოს) შეადგენს 210 კჯოულ/მ²-ს (ცხრილი 5).

ცხრილი 5

მზის აბაზანების მიღების რეჟიმი

რეჟიმი	ენერგიის სიმკვრივე, კ/ჯოული/მ ²		ენერგიის სიმკვრივის გაზრდა
	საწყისი	მაქსიმალური	
I – სუსტი	210	840	210 კ/ჯოული/მ ² -ით ყოველ 48 საათში
II – ზომიერი	210	1680	210 კ/ჯოული/მ ² -ით ყოველ 24 საათში
III- ინტენსიური	210-დან 400-მდე	2400-დან 4800-მდე	210 კ/ჯოული/მ ² -ით ყოველ 24 საათში

მზის დასხივების ჩატარების დროს შეიძლება გამოვიყენოთ მზის ჯამური რადიაციის ბიოლოგიური დოზირება. ბიოდოზის განსაზღვრისთვის იყენებენ ი. გორბაჩოვის ბიოდოზიმეტრს (სურათი 4).



სურათი 4. გორბაჩოვის ბიოდოზიმეტრი

ბიოდოზიმეტრი წარმოადგენს ექვს სწორკუთხა ნახვრეტის ლითონის ფირფიტას (7მმX25მმ ყოველი მათგანი), რომლებიც იკეტება თავისუფლად მოძრავი ჩამკეტით. ბიოდოზიმეტრი, რომლის ყველა ნახვრეტი წინასწარ ჩაკეტილია, თავსდება გამომვლელ მუცელზე, შუა ხაზთან ახლოს, ჭიპთან.

კანის ის ნაწილი, რომელიც არ ექვემდებარება დასხივებას, იფარება ზეწრით. შემდეგ, ყოველი 30 წამის ინტერვალით, სათითაოდ იხსნება დოზიმეტრის ნახვრეტები და კანი სხივდება მათ ქვეშ. ამგვარად, პირველი ნახვრეტის (ლიობის) ქვეშ კანის ნაწილი სხივდება 3 წუთის განმავლობაში, ხოლო ბოლო ნახვრეტის ქვეშ – ნახევარი წუთი. დასხივებიდან 6-8-24 საათის შემდეგ, კანის ვიზუალური შემოწმებისას, აღინიშნება მსუბუქად გამოხატული ჰიპერემია (ვარდისფერი ზოლი ოთხი მკვეთრად გამოხატული კუთხით). სწორედ ამით განისაზღვრება ერთემის მისაღებად საჭირო დასხივების უმცირესი ხანგრძლივობა (ბიოდოზა). მაგ., თუ გამოვლინდა 5 ზოლი და ბოლო მათგანი, თავისთავად, სხივდებოდა 1 წუთი, შესაბამისად ბიოდოზა უდრის 1 წუთს.

ივლისში და აგვისტოში საქართველოს ზღვისპირა კურორტებზე ერთი ბიოდოზა მზის 20 წუთიანი დასხივების ტოლია.

დასხივების საწყისი დოზა – $\frac{1}{4}$ ბიოდოზაა, რომელიც, მიახლოებით, უდრის 210 კ/ჯოულ/მ²-ს ან 5 წუთის დასხივებას.

სუსტი რეჟიმის დანიშვნისას მზის პირდაპირი რადიაციის აბაზანების მიღება იწყება $\frac{1}{4}$ ბიოდოზიდან და ყოველ 2 დღეში ემატება $\frac{1}{4}$ ბიოდოზა. დასხივების მაქსიმალური სიდიდე – 1 ბიოდოზაა.

ზომიერი რეჟიმის დანიშვნისას, საწყისი დასხივების სიდიდე $\frac{1}{4}$ ბიოდოზაა. ყოველდღიურად ემატება $\frac{1}{4}$ ბიოდოზა. მზის დასხივების მაქსიმალური სიდიდე 2-3 ბიოდოზამდეა.

ინტენსიური რეჟიმის დანიშვნისას, საწყისი დასხივების სიდიდეა $\frac{1}{4}$ ან $\frac{1}{2}$ ბიოდოზა. მას ყოველდღიურად ემატება $\frac{1}{4}$ ბიოდოზა. მზის დასხივების მაქსიმალური სიდიდე 3-4 ბიოდოზამდეა.

გაფანტული რადიაციის მზის აბაზანების ხანგრძლივობა ორჯერ აღემატება პირდაპირისას. მზის ადგილობრივ დასხივებას ატარებენ თანდათან დოზების მატებით და იწყებენ 840 კ/ჯოულ/მ²-დან. მზის საერთო აბაზანის მიღების შემდეგ რეკომენდებულია 20-30 წუთით დასვენება ჩრდილში, შემდეგ გრილი დაზელვა, შხაპის მიღება ან ბანაობა ზღვაში.

4.3. კლიმატური ფაქტორების გამოყენების უკუჩვენებები

სადღეღამისო აეროთერაპიის და ჰაერის აბაზანების მიღების უკუჩვენებებია: მწვავე რესპირაციული დაავადებები, ცხელება; თირკმლის, სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავებები; გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, გულის უკმარისობის III-IV ფუნქციური კლასით (ნიუ-იორკის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია); მწვავე პნევმონია, ფილტვების აქტიური ტუბერკულოზი. აკრძალულია ამ პროცედურების დანიშვნა ფილტვებზე ოპერაციიდან 6 თვის განმავლობაში, სუნთქვის უკმარისობის III ხარისხით (ა.გ. დემბოს კლასიფიკაცია) და სიცივისადმი მომატებული მგრძობელობის დროს. ნებადართული არ არის საქართველოს ზღვისპირა კურორტებზე სადღეღამისო აეროთერაპიისა და ჰაერის აბაზანების მიღება ბრონქული ასთმის მქონე პაციენტებისთვის.

მთის კურორტების პირობებში აღნიშნული კლიმატოთერაპიული პროცედურების ჩატარების უკუჩვენებებია: ბრონქული ასთმა, სუნთქვის უკმარისობის II ხარისხით და ხშირი შეტევებით.

ჰელიოთერაპიისთვის უკუჩვენებებია: ყველა დაავადება მწვავე სტადიასა და გამწვავების პერიოდში, სისხლდენები, კახექსია, კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები, გულის იშემიური დაავადების III-IV ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია (კანადის კარდიოლოგთა ასოციაციის კლასიფიკაცია), ესენციური ჰიპერტენზიის III სტადია (ჯანმოს კლასიფიკაცია), ტუბერკულოზის პროგრესირებადი ფორმები, რევმატიზმი, სისტემური წითელი მგლურა, ბრონქული ასთმა, თირეოტოქსიკოზი და ენდოკრინული სისტემის სხვა დაავადებები – გამოხატული ფუნქციური დარღვევებით, სისხლის სისტემური დაავადებები, სირინგომიელია, გაფანტული სკლეროზი, ფოტოდერმატოზები, მალარია.

სამკურნალო მიზნით, სადღეღამისო აეროთერაპიის, ჰაერის აბაზანების, ჰელიოთერაპიის, ზღვაში ბანაობის და ზღვის სანაპიროზე ძილის გამოყენებას ეწოდა თალასოთერაპია. სხვაგვარად თალასოთერაპიას ზღვაში ბანაობასაც უწოდებენ.

4.4. ზღვაში ბანაობა

ზღვაში ბანაობის პირობების შეფასებისას ითვალისწინებენ არა მარტო ზღვის ტემპერატურას, არამედ ზღვის დელვასაც. გაუვარჯიშებელი პაციენტებისთვის ზღვაში ბანაობა დაშვებულია არაუმეტეს 1 ბალის წყლის დელვის პირობებში (ზღვა მშვიდია, შესაძლებელია მცირე ჭავლი, სიმაღლით 0,25 მ), ხოლო გავარჯიშებულისთვის არაუმეტეს 2 ბალის პირობებში (მსუბუქი დელვა, მოკლე ტალღები, მინისებრი ქაფი, ისმის მსუბუქი ერთგვაროვანი ხმაური). გარდა ამისა, ბანაობისას ვითვალისწინებთ ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის სიდიდეს, ვინაიდან ჰაერის სითბურ რეჟიმს შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზმზე ბანაობის დამთავრებისა და წყლიდან გამოსვლისას.

დაბალი ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურის დროს შესაძლებელია ორგანიზმის გადაცივება.

ზღვაში ბანაობა ინიშნება ადაპტაციის პერიოდის გავლის შემდეგ (საშუალოდ 3-5 დღე). ზღვაში ბანაობა მოიცავს თავისუფალი სტილით, ბრასით ან, ზურგზე ცურვას, მშვიდი, ნელი ტემპით (15-30 მოსმით 1 წუთში, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტრენირების გათვალისწინებით).

პაციენტები, რომლებმაც არ იციან ცურვა, ჩაიყურყუმელავებენ და გადაადგილდებიან ფსკერზე, იმიტირებენ ცურვას და მოცურავეებისათვის მითითებულ ტემპს. დღეში 2-3-ჯერ ჩატარებული ბანაობის ხანგრძლივობა 30 წამიდან 30 წუთამდეა. ბანაობის დოზირება ხდება სიცივით დატვირთვის სიდიდის მიხედვით (კ/ჯოულ/მ^2) (იხ. აეროთერაპია).

ბანაობის ხანგრძლივობა განისაზღვრება წყლის ტემპერატურის გათვალისწინებით. ამისათვის გამოიყენება სათანადო დოზიმეტრული ცხრილები.

დატვირთვის ინტენსივობის შესაბამისად, იყენებენ ბანაობის რამდენიმე რეჟიმს (ცხრილი 6).

ცხრილი 6

ზღვაში ბანაობის რეჟიმები.

რეჟიმი	სიცივით დატვირთვა, კჯოული/მ ²		წყლის ტემპერატურა არანაკლები	ეეტ არანაკლები
	საწყისი	მაქსიმალური		
I – სუსტი	60	100	20	22
II – ზომიერი	100	140	18	19
III– ინტენსიური	140	180	16	17

ზღვაში ბანაობის სუსტი რეჟიმი გამოიყენება შემდეგი პათოლოგიების დროს: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ესენციური ჰიპერტენზიის II სტადია; გულის იშემიური დაავადების II ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია; ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი; მიოკარდიოდისტროფიები; გულის სარქველების შეძენილი მანკები, მარცხენა ვენური ხვრელის და აორტის სტენოზის უპირატესობის გარეშე, ჩამცხრალი რევმატიული პროცესით; ტროფიკული წყლულები და განგრენის გარეშე მიმდინარე ქვემო კიდურების სისხლძარღვთა მაობლიტირებელი ათეროსკლეროზი; დაზიანებული კიდურების ფრჩხილის ფალანგებზე ნეკროზული უბნების გარეშე მიმდინარე მაობლიტირებელი ენდარტერიიტი; ქვემო კიდურების ქრონიკული ტრომბოფლებიტი, მწვავე პერიოდის ჩაცხრობიდან 6 თვის შემდეგ) გულის უკმარისობის II ფუნქციური კლასის არსებობისას; ფილტვების ქრონიკული არაობსტრუქციული დაავადებები (გახანგრძლივებული პნევმონია, ქრონიკული არაობსტრუქციული ბრონქიტი) სუნთქვის უკმარისობის I ხარისხით.

ზღვაში ბანაობის ზომიერი რეჟიმი ნებადართულია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზემოაღნიშნული დაავადებების მქონე პაციენტებისათვის, გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით.

ზღვაში ბანაობის ინტენსიური რეჟიმი ნებადართულია პაციენტებისთვის რომლებიც მიდრეკილი არ არიან გაცივებისადმი, ასევე პათოლოგიური პროცესის კომპენსაციის პერიოდში, ასევე მათ არ აღენიშნებათ სუნთქვის, ფილტვ-გულის და გულის უკმარისობა.

მკურნალობის კურსი მოიცავს 14-20 ბანაობას ზღვაში.

მკურნალობის პერიოდში (ზღვაში ბანაობის კარგი ამტანობისას) შესაძლებელია პაციენტის გადაყვანა ერთი რეჟიმიდან მეორეზე.

ბანაობის შემდეგ პაციენტები 20-30 წუთის განმავლობაში ისვენებენ ჩრდილში, სამკურნალო პლაჟის ტახტზე, კლიმატოპავილიონში ან აერარიუმში.

ზღვაში ბანაობის უკუჩვენებებია: ცხელება, დაავადებები მწვავე პერიოდში, ბრონქული ასთმა, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებისა და ტრავმების შედეგები, ეპილეფსია, ქსოვილებისა და ორგანოების დეკომპენსირებული მდგომარეობები.

4.5. მკურნალობა კარსტული მღვიმის პირობებში

კარსტულ მღვიმეში მკურნალობის კურსი მოიცავს ყოველდღიურ 3 საათიან 17-20 სპელეოპროცედურას.

4.6. მინერალური წყლებით მკურნალობა

4.6.1. სასმელი მინერალური წყლები

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეციული და მოტორული ფუნქციის გაძლიერების მიზნით, მიზანშეწონილია მინერალური წყლის მიღება ნელა, მცირე ყლუპებით.

კუჭის წვენის მომატებული სეკრეციისა და კუჭის მოტორიკის გაძლიერების შემთხვევაში მინერალური წყლის მიღება რეკომენდებულია სწრაფად, ერთიანად, დიდი ყლუპებით.

ყაზობისკენ მიდრეკილებისას რეკომენდებულია ცივი, ხოლო ფადარათისკენ მიდრეკილებისას – თბილი და ცხელი მინერალური წყლების მიღება (დალევა).

ჰიპოსეკრეციული მდგომარეობების დროს სასმელი მინერალური წყლები აუცილებლად ინიშნება, უშუალოდ, ჭამის წინ ან 20-30 წუთით ადრე ჭამამდე. ჰიპერსეკრეციის შემთხვევაში – ჭამამდე 1,0-1,5 საათით ადრე. ნორმაციდური მდგომარეობებისას რეკომენდებულია სასმელი მინერალური წყლის მიღება ჭამამდე 30-45 წუთით ადრე. გარდა ამისა, ჰიპოაციდური მდგომარეობისას რეკომენდებულია

ცივი მინერალური წყლების, ნორმაციდული მდგომარეობისას ოთახის ტემპერატურის მინერალური წყლის მიღება, ჰიპერაციდული მდგომარეობისას კი გამოიყენება თბილი ან ცხელი მინერალური წყლები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიღებული მინერალური წყლის რაოდენობას. მინერალური წყლების სუსტი, მცირე და საშუალო მინერალიზაციისას ერთჯერადად მიღებული მინერალური წყლის რაოდენობა, ძირითადად, 180-250 მლ-ია (3,0-3,3 მლ სხეულის 1 კგ წონაზე). მინერალური წყლის 3-4-ჯერადი მიღებისას, სადღეღამისო დოზა არის 540-1000 მლ. ნაკლები რაოდენობა ინიშნება კუჭიდან შენელებული ევაკუაციისა და კუჭის ატონიის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს, როდესაც ორგანიზმიდან სითხის გამოყოფა შეფერხებულია. ღვიძლისა და სანაღველე გზების, თირკმლებისა და საშარდე სისტემის დაავადებების დროს, პირიქით, მიღებული სითხის რაოდენობა იზრდება 1200-1500 მლ-მდე. თირკმლის და შარდის გამომყოფი სისტემის დაავადებების დროს მინერალური წყლის მიღება რეკომენდებულია დღე-ღამეში 6-8-ჯერ. გამონაკლისს წარმოადგენს მინერალური წყალი «ლუგელა». მისი მიღება რეკომენდებულია 3-ჯერ დღეში 15-20 მლ ოდენობით.

მინერალური წყლების მიღების კურსი შეადგენს 20-25 დღეს.

4.6.2. გარეგანი მოხმარების მინერალური წყლები

გოგირდწყალბადის (სულფიდური) აბაზანები

ზოგადი აბაზანის მიღებისას, გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) წყლის ტემპერატურა 35°C-37°C-ის ფარგლებშია. პროცედურის ხანგრძლივობა 8-12 წუთია, სულფიდების კონცენტრაცია წყალში 50-100-150 მგ/დმ³. აბაზანები ინიშნება დღეგამოშვებით ან 2 დღე ზედიზედ, მესამე დღეს რეკომენდებულია დასვენება. მკურნალობის კურსი მოიცავს 10-15 პროცედურას. ადგილობრივი ორ ან ოთხკამერიანი აბაზანები ტარდება 10-20 წუთის ხანგრძლივობით (წყლის ტემპერატურა 36°C-38°C). ადგილობრივი აბაზანები ინიშნება ყოველდღე ან დღე-გამოშვებით (კურსზე 12-20 აბაზანა).

სულფიდური აბაზანის მიღების შემდეგ პაციენტი ტანს შეიშრობს პირსახოცით (დაზელვის გარეშე) და აუცილებლად ისვენებს მწოლიარე მდგომარეობაში (არანაკლებ 20-30 წუთით), შემდგომ კი პალატაში (ან სახლში) აგრძელებს დასვენებას 1-1,5 საათის განმავლობაში.

აზოტოვანი, მეთანიანი და აზოტოვან-მეთანიანი მინერალური წყლების აბაზანები

ზოგადი აბაზანის მიღებისას აბაზანაში წყლის ტემპერატურა 36°C - 34°C -ის ფარგლებშია. პროცედურის ხანგრძლივობა 10-15 წუთია. პროცედურები ტარდება ყოველდღე ან დღეგამოშვებით.

ნახშირმჟავა მინერალური წყლის აბაზანები

მკურნალობის დასაწყისში წყლის ტემპერატურა აბაზანაში 35°C - 36°C უნდა იყოს. შემდგომ, მკურნალობის პროცესში, წყლის ტემპერატურას თანდათან ამცირებენ 32°C -მდე (იშვიათად 28°C -მდე). ტემპერატურის შემცირებასთან ერთად მატულობს პროცედურის ხანგრძლივობა, კურსის დასაწყისში 5-7 წუთიდან, ხოლო კურსის დასასრულს კი 12-15 წუთამდე. აბაზანები ინიშნება დღეგამოშვებით ან 2 დღე ზედიზედ, ყოველ მესამე დღეს რეკომენდებულია დასვენება. მკურნალობის კურსი მოიცავს 12-15 პროცედურას.

სუსტი რადიოაქტივობის რადონის წყლის აბაზანები და ინჰალაციები

ზოგადი აბაზანის მიღებისას აბაზანაში წყლის ტემპერატურა 35°C - 37°C -ის ფარგლებშია. პროცედურის ხანგრძლივობა 12-15 წუთია. აბაზანები ინიშნება ყოველდღე ან დღეგამოშვებით. მკურნალობის კურსი მოიცავს 12-15 პროცედურას.

სუსტი რადიოაქტივობის რადონის წყლის ინჰალაცია ტარდება ჰერმეტიკულ კაბინებში, სადაც მიეწოდება 43°C ტემპერატურის მქონე ჰაერ-რადონის ნარევი (გაწმენდილი რადონის დაშლის პროდუქტებისგან).

ბრომიანი (იოდობრომიანი) მინერალური წყლები

ზოგადი აბაზანის მიღებისას აბაზანაში წყლის ტემპერატურა 35°C-37°C-ის ფარგლებშია. პროცედურის ხანგრძლივობა 10-15 წუთია. აბაზანები ინიშნება დღეგამოშვებით ან ორი დღე ზედიზედ. ყოველ მესამე დღეს რეკომენდებულია დასვენება. მკურნალობის კურსი მოიცავს 10-15 პროცედურას.

ქლორიდული, ჰიდროკარბონატული და სულფატური წყლის აბაზანები

აღნიშნული წყლების აბაზანები ინიშნება 36°C-38°C ტემპერატურით, პროცედურის ხანგრძლივობა 10-20 წუთია. აბაზანები ინიშნება ყოველდღე ან 2 დღე ზედიზედ. მესამე დღეს რეკომენდებულია დასვენება. მკურნალობის კურსი მოიცავს 12-15 პროცედურას. აბაზანის მიღების შემდეგ პაციენტმა უნდა შეიშროს ტანი პირსახოცით (დაზელვის გარეშე) და დაისვენოს 15-20 წუთი.

აღსანიშნავია, რომ მინერალური წყლების გარეგანი დანიშვნის **ჩვენებები** მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ადგილმდებარეობის კლიმატურ თავისებურებებსა და სიმაღლეზე, სადაც ტარდება ბალნეოთერაპია, ასევე - პათოლოგიის სიმძიმეზე; გულის, სუნთქვის და ფილტვ-გულის უკმარისობის ხარისხზე (მაგ., ზღვის სანაპირო კლიმატობალნეოლოგიური კურორტის პირობებში აზოტიანი მინერალური წყლების აბაზანების მიღება ნებადართულია ესენციური ჰიპერტენზიის I-II სტადიის, გულის იშემიური დაავადების დაძაბვის სტაბილური სტენოკარდიის I-II ფუნქციური კლასისა და გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასის მქონე პაციენტებისთვის).

IV მაღლივ სარტყელში, ზღვის დონიდან 1600 მ-ზე მდებარე კლიმატო-ბალნეოლოგიურ კურორტ შოვის აზოტიანი მინერალური წყლების გარეგანი მიღება ნებადართულია ესენციური ჰიპერტენზიის I სტადიისა და გულის იშემიური დაავადების დამაბვის სტაბილური სტენოკარდიის I ფუნქციური კლასის მქონე პაციენტებისთვის, გულის უკმარისობის არარსებობის პირობებში.

ნახშირმჟავა მინერალური წყლის აბაზანების მიღება კურორტ ბორჯომის პირობებში (რომელიც II სიმაღლის სარტყელში, ზღვის დონიდან 800-1000 მ სიმაღლეზე მდებარეობს) ნებადართულია სუნთქვის უკმარისობის I ხარისხის ან მის გარეშე მიმდინარე მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმის მქონე პაციენტებისთვის.

იმავე წყლის აბაზანების მიღება კურორტ უწერის პირობებში (რომელიც იმყოფება III სიმაღლის სარტყელში, ზღვის დონიდან 1150 მეტრის სიმაღლეზე) ნებადართულია სუნთქვის უკმარისობის I ხარისხით ან მის გარეშე მიმდინარე მსუბუქი ბრონქული ასთმის მქონე პაციენტებისთვის.

4.7. ტალახით მკურნალობა (პელოიდოთერაპია)

განასხვავებენ ზოგად და ადგილობრივი ტალახის აპლიკაციებს და ტალახის განზავებულ აბაზანებს.

ზოგადი აპლიკაციის ჩატარების ტექნიკა ამგვარია: საპროცედურო ტახტზე დაფენილ თივთიკის (ბაიკის) საბანს ზემოდან აფარებენ მუშამბას, შემდეგ ზეწარს. ზეწარზე დებენ ტალახის ფენას, რომელიც წინასწარ შემთბარია ორთქლის აბაზანაზე (საჭირო ტემპერატურამდე). პაციენტს აწვენენ ამ ტალახზე, ზემოდან თითქმის მთელ სხეულზე უსვამენ ტალახის 5-6 სმ (ლამის და ვულკანური ტალახის შემთხვევაში) ან 6-8 სმ სისქის (ტორფიანი ან საპროპელური ტალახის შემთხვევაში) ფენას თითქმის მთელ სხეულზე, თავის, კისრის და გულის არის გარდა. შემდეგ პაციენტს შეფუთავენ ზეწარში, მუშამბაში და საბანში.

ადგილობრივი პროცედურების დროს ტალახს ათავსებენ პათოლოგიურ კერაზე ან (და) სეგმენტარულ ზონაზე. ლოკალიზაციის მიხედვით, განასხვავებენ ტალახის «მარვალს», «ტრუსებს», «ხელთათმანებს» და ა.შ. ტალახის აპლიკაციის სისქე 4-8 სმ-ია. ტალახის ტემპერატურა მერყეობს 37°C-დან 42°C-მდე. ტალახის უფრო მაღალი ტემპერატურა (42°C-46°C) ინიშნება დაავადების მწვავე და ქვემწვავე სტადიაში (ზომიერად ან სუსტად გამოხატული ტკივილის სინდრომის შემთხვევაში).

37°C-40°C ტემპერატურის ტალახი (მიტიგირებული პელოიდოთერაპია) გამოიყენება გამოხატული და ზომიერი ტკივილის სინდრომის შემთხვევაში. პროცესის მორეციდივე მიმდინარეობისას კურსზე ინიშნება 10-15 პროცედურა, დღეგამოშვებით ან 2-3 დღე ზედიზედ, შემდგომ შესვენების დღით.

პროცედურის დამთავრების შემდეგ პაციენტს აცილებენ ტალახს, რის შემდეგაც იგი იღებს თბილ შხაპს (36°C-37°C ტემპერატურის წყლით), იცვამს და 30-40 წუთის მანძილზე ისვენებს დასასვენებელ ოთახში ტახტზე.

ტალახის განზავებული აბაზანები მზადდება მინერალური წყლის აბაზანაში 2-3 სათლი ტალახის დამატებით.

აბაზანის მიღებისას ტალახის ხსნარის ტემპერატურა **40°C-42°C-ია**, პროცედურის ხანგრძლივობაა 10-15 წუთი. მკურნალობის კურსი მოიცავს 12-18 პროცედურას. პროცედურები ტარდება დღეგამოშვებით ან ორი დღე ზედიზედ, ყოველ მესამე დღეს რეკომენდებულია შესვენება.

პროცედურის ჩატარებისას მედდა ვალდებულია პერიოდულად შეამოწმოს პაციენტის მდგომარეობა, გააკონტროლოს გულისცემისა და სუნთქვის სიხშირე. ყურადღება უნდა მიექცეს წყლის, მარილებისა და ვიტამინების ცვლას.

სამკურნალო ტალახების მოქმედების ეფექტურობისა და მათში ქიმიური ფაქტორების როლის გაძლიერების მიზნით, მათ იყენებენ მუდმივ და იმპულსურ დენებთან ერთად (გალვანოტალახი, დიადინამოთერაპია და სინუსოიდურ-მოდულირებული დენები ტალახით), ასევე ინდუქტოთერმიას (პელოიდოინდუქტოთერმია), ულტრაბგერას (პელოფონოთერაპია) და ბაროთერაპიას (ვაკუუმპელოთერაპია).

4.8. ქვიშის აბაზანები

შავი ზღვის სანაპიროს პლაჟზე არსებული ბუნებრივად შემთბარი ქვიშა (ჩვეულებრივი და მაგნეტიტური) გამოიყენება მშრალ, მზიან ამინდში აბაზანებისა და ნახევარაბაზანების სახით, წლის თბილ პერიოდში – ივნისის II ნახევარში, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბრის I ნახევარში. აღნიშნული პროცედურების ჩასატარებლად გამოიყენება მაგნეტიტური ქვიშა, რომლის ტემპერატურაც 50 °C-57 °C-ია.

სხვადასხვა დაავადების დროს, დილის 6⁰-7⁰⁰ საათზე ქვიშის პროცედურების ჩასატარებლად, სანაპიროს ერთ-ერთ უბანს, ქარისაგან დაცვისა და უკეთესი გათბობის მიზნით, შემოსაზღვრავენ, დაახლოებით, 1 მეტრი სიმაღლის დასაკეცი ღობეებით. შემდეგ აღნიშნულ უბანზე თხრიან «მედალიონის» ფორმის ორმოებს, ზომით 2 X 1 მ-ზე. ყოველი მედალიონის ირგვლივ აკეთებენ 30 სმ სიმაღლის მორგებს.

მთლიანად ან ნაწილობრივ გამოშვლებულ პაციენტს 12⁰-13 სთ-ზე აწვენენ მედალიონ-ორმოში, დედამიწის მაგნიტური ველის ძალხაზების მიმართულებით (თავით ჩრდილოეთისკენ, ფეხებით სამხრეთისკენ). თავქვემ ამოუდებენ პარალონის ბალიშს ან დაკეცილ პირსახოცს და, მზისგან დაცვის მიზნით, თავს ზემოთ ამაგრებენ საჩრდილობელს.

ქვიშის აბაზანები გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიებისა და ფილტვების ქრონიკული არაობსტრუქციული დაავადებების დროს; ნახევარაბაზანები კი – საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის პათოლოგიების დროს.

ქვიშის აბაზანის მიღების დროს პაციენტს მთლიანად აყრიან გამთბარი ქვიშის 4-5 სმ სისქის ფენას. თავისუფალი რჩება მხოლოდ გულმკერდი. მაგნეტიტური ქვიშის ნახევარაბაზანის მიღებისას გამთბარი ქვიშის 4-5 სმ-იანი სისქის ფენით ვვარავთ დაზიანებულ უბნებს (სახსრებს, კიდურებს და ა.შ.).

მაგნეტიტური ქვიშის აბაზანის მიღებამდე პაციენტი 30 წუთი ისვენებს ნაპირზე, ჩრდილში. ამ დროის მანძილზე იგი ეგუება გარემოს თერმულ პირობებს იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ მანამდე არ ღებულობდა ჰაერის ან მზის აბაზანებს.

პროცედურის დამთავრების შემდეგ პაციენტი გადადის ქარისგან დაცულ საჩრდილობელში, სადაც მას აცილებენ მშრალ ან ნამიან ქვიშას, დასასვენებლად აწვენენ ტახტზე და აფარებენ ზეწარს.

ოფლდენის შემთხვევაში პაციენტი ისვენებს ოფლდენის სრულ შეწყვეტამდე, რის შემდეგაც ქვიშის ნარჩენებს თბილი შხაპით ჩამოირეცხავს.

თუ პაციენტს ოფლდენა არ აღენიშნება, მაშინ იგი ღებულობს თბილ შხაპს, აბაზანის ან ნახევარაბაზანის მიღებიდან 20-30 წუთიანი დასვენების შემდეგ. ამასთანავე პაციენტს ეძლევა რეკომენდაცია, 1-2 საათით გააგრძელოს დასვენება შენობაში.

პროცედურები ინიშნება ყოველდღე, კურსზე – მაგნეტიტური ქვიშის 12-15 საერთო აბაზანა ან ნახევარაბაზანა. ქვიშის აბაზანის ან ნახევარაბაზანის პროცედურის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გულის უკმარისობის არსებობაზე და მის ხარისხზე. კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონე პაციენტებს (არტერიული ჰიპერტენზიის II სტადია; გულის იშემიური დაავადება, II ფუნქციური კლასის დამაბვის სტაბილური სტენოკარდია; ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი; მიოკარდიოდისტროფიები; გულის სარქველების შეძენილი მანკები, მარცხენა ვენური ხვრელის და აორტის სტენოზის უპირატესობის გარეშე, ჩამცხრალი რევმატიული პროცესით), გულის უკმარისობის II ფუნქციური კლასის არსებობისას ენიშნებათ 8-10 წუთიანი აბაზანები.

პაციენტებს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზემოაღნიშნული დაავადებებით, გულის უკმარისობის I ფუნქციური კლასით ან მის გარეშე; ქრონიკული არაობსტრუქციული ბრონქიტით, სუნთქვის უკმარისობის I-II სტადიით, ალიმენტური სიმსუქნით, პერიფერიული ნერვული სისტემის პათოლოგიებით – პარეზების სახით (გენერალიზებული ნევრიტები და ნევრალგიები რეაბილიტაციის სტადიაში), ენიშნებათ მაგნეტიტური ქვიშის 15-20 წუთიანი აბაზანები.

ქვიშის ნახევარაბაზანის მიღების ხანგრძლივობა 40-50 წუთია. ივნისის II ნახევარში და სექტემბრის I ნახევარში ქვიშის აბაზანები და ნახევარაბაზანები ინიშნება 13⁰⁰ საათზე, ვინაიდან ამ დროს მაგნეტიტური ქვიშის ზედაპირული შრე თბება 50°C-მდე და ზოგჯერ მეტადაც. ივლისში და აგვისტოში აღნიშნული პროცედურები შეიძლება დაინიშნოს როგორც 13⁰⁰, ასევე 12⁰⁰ საათზე. აბაზანებისა და ნახევარაბაზანებისათვის ქვიშა იღება მორგვის ზედაპირიდან.

ქვიშის აბაზანების დანიშვნის უკუჩვენებებია: ფილტვების ტუბერკულოზი, III-IV ფუნქციური კლასის გულის უკმარისობა, III ხარისხის სუნთქვის უკმარისობა, II

ხარისხის ფილტვ-გულის უკმარისობა, ცხელებით მიმდინარე მწვავე დაავადებები, ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობები, სისტემური წითელი მგლურა, ბრონქული ასთმა, თირეოტოქსიკოზი და ენდოკრინული სისტემის სხვა დაავადებები, ფუნქციების მნიშვნელოვანი დარღვევით, სისხლის სისტემური დაავადებები, სირინგომიელია, გაფანტული სკლეროზი, კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები, ქრონიკული დაავადებები გამწვავების სტადიაში.

თავი V. საქართველოს ზოგიერთი კურორტისა და

საკურორტო ადგილის მოკლე დახასიათება

5.1. აფხაზეთი

კურორტი აგუძერა

ადმინისტრაციული მდებარეობა – გულრიფშის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო, სამხრეთ-აღმოსავლეთით სოხუმიდან. სიმაღლე ზღვის დონიდან – 10 მ. რელიეფი – ბორცვიანი ვაკე.

კლიმატი – ზღვისპირა, ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,3°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,2°C. ნალექების წლიური ტემპერატურაა – 1786 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2120 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული მცენარეულობა, ციტრუსის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ტერენკური, ბანაობა ზღვაში და სხვ.).

კურორტი ავადხარა

ადმინისტრაციული მდებარეობა – გუდაუთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა რიწის ტბიდან 17 კმ-ის დაშორებით, კავკასიონის ქედის მთავარ (წყალგამყოფ) ფერდობზე, მდინარე ავადხარას ხეობაში. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1600 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ზედა სარტყელი), ზამთარი ხანგრძლივი, ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-6,7^{\circ}\text{C}$. ზაფხული მოკლე, ზომიერად გრილი. ყველაზე თბილი ივლისის საშუალო ტემპერატურაა $13,8^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 2480 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 80 %. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი.

ფლორა – წიწვოვანი ტყეები, სუბალპური ზონა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა; ნახშირმჟავა, ბორიანი, რკინიანი, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $5,9-17,7$ გ/დმ³ და ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-კალციუმიანი (მაგნიუმიან-კალციუმიანი) მინერალური წყლები საერთო მინერალიზაციით $0,4-7,2$ გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დალევა).

კურორტი ახალი ათონი

ადმინისტრაციული მდებარეობა - გუდაუთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - შავი ზღვის სანაპირო ზოლი და ივერიის მთის კალთები. სიმაღლე ზღვის დონიდან 7 - 80 მ.

კლიმატი – ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $6,4^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $23,8^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1598 მმ. ჰაერის წლიური

ფარდობითი ტენიანობა - 70%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2130 საათი. ზაფხულში ზღვის წყლის ტემპერატურაა 22°C - 26°C.

ფლორა – სუბტროპიკული მცენარეულობა, ციტრუსის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატი; ზღვის წყალი; კარსტული გამოქვაბული.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ტერენკური, ბანაობა ზღვაში), სპელეოთერაპია.

კურორტი ახალი კინდლი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ოჩამჩირის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო ზოლი, სოხუმიდან 32 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 40 მ. რელიეფი – ბორცვიანი ვაკე.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5°C. ზაფხული ძალიან თბილი, აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1309 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები, ხეხილის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა და ჰიპერთერმული, აზოტიანი, სუსტად სულფიდური, კაჟიანი, ქლორიდული, ნატრიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6-2,2 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში), მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი ბესლეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა – სოხუმის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე ბესლეთის ხეობა, სოხუმიდან 5კმ-ის დაშორებით. სიმაღლე ზღვის დონიდან - 120 მ. რელიეფი – ბორცვებიანი ვაკე.

კლიმატი – ზღვისპირა, ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,7°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,5°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1488 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა; თერმული მინერალური წყლები (35,5°C – 42°C): მეთანიანი, სულფიდური, ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 11 - 29 გ/დმ³ და აზოტიანი, სულფიდური, ქლორიდულ-სულფატური და ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-სულფატური, მაგნიუმიანი-კალციუმიანი (და კალციუმიანი-ნატრიუმიანი) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,2-1,7 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ბიჭვინთა

ადმინისტრაციული მდებარეობა – გაგრის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო ზოლი. ბიჭვინთის კონცხი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 7 მ. რელიეფი – ვაკე, შემოფარგლული გაგრისა და ბზიფის ქედებით, მთავარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებით.

კლიმატი – ზღვისპირა, სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,2°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 24°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა -1500 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი.

ფლორა – ფიჭვის რელიქტური ტყე, სუბტროპიკული ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი, საპროფელის და ტორფის ტალახი, სულფიდური მინერალური წყლები.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში), მინერალური წყლის და ტალახის აბაზანები.

კურორტი გაგრა

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქალაქი, რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – გაგრის ქედის ფერდობები და შავი ზღვის ვიწრო ზოლი, სოხუმიდან 96 კმ-ის დაშორებით. სიმაღლე ზღვის დონიდან – 10 მ. რელიეფი – სანაპირო ზოლს კვეთავენ მდინარეების ჟოკვარას და ციხერვის ხეობები.

კლიმატი – ზღვისპირა, სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,2°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1335 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1830 საათი. ზღვის წყლის ტემპერატურა ზაფხულში 22-26°C.

ფლორა – მთის ფერდობებზე შერეული (წიწვოვანი, მუხა, რცხილა, წიფელა და სხვ.) ტყეები. ზღვის სანაპირო ზოლში სუბტროპიკული (პალმა, მაგნოლია, დაფნა, ბანანი, კიპარისი და სხვ.) მცენარეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი, თერმული (43°C), აზოტიანი, სულფიდური, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიანი-მაგნიუმიანი-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,6 გ/დმ³ და თერმული, აზოტიანი, სულფიდური, სულფატურ-

მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები საერთო მინერალიზაციით 0,8-2,1 გ/დმ³; კურორტზე მოიპოვება აგრეთვე საპროპელური და ტორფიანი ტალახის მნიშვნელოვანი მარაგი.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში), მინერალური წყლის და სამკურნალო ტალახის აბაზანები.

კურორტი განთიადი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გაგრის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო ზოლი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 40 მ. რელიეფი – დაბლობი.

კლიმატი – ზღვისპირა, სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,6⁰C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21,8⁰C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა -1550მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები, ხეხილის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6 - 2,0 გ/დმ³ და აზოტიანი, ჰიდროკარბო-ნატულ-სულფატური, ნატრიუმიან-მაგნიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,1 - 2,4 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში), მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი გუდაუთა

ადმინისტრაციული მდებარეობა – რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპიროს შემადგენელი ყურე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 25 მ. რელიეფი – ბორცვიანი პლატო.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,6°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 24,2°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1460 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები, ხეხილის ბაღები, ციტრუსოვანი პლანტაციები, წიწვოვანი ხეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.).

კურორტი გულრიფში

ადმინისტრაციული მდებარეობა – რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპიროდან 5 კმ-ის დაშორებით, სოხუმიდან 12 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 120 მ. რელიეფი – ბორცვიანი ვაკე.

კლიმატი – ზღვისპირა, ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,2°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,2°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1410 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები, ხეხილის ბაღები, ციტრუსოვანი პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა.

მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური კლიმატოთერაპია (ჰაერისა და ზღვის აბაზანები).

კურორტი გუმისთა

ადმინისტრაციული მდებარეობა – სოხუმის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე გუმისთას ნაპირი, სოფ. ქვემო ეშერა, შავი ზღვის სანაპირო ზოლი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 70 მ. რელიეფი – ბორცვიანი ვაკე.

კლიმატი – ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული, ზღვისპირა. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,2°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,0°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1486 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები, ხეხილის ბაღები, ციტრუსოვანი პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ეშერა

ადმინისტრაციული მდებარეობა – სოხუმის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო ზოლი, სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 10 მ. რელიეფი – ბორცვიანი ვაკე.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,7°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,9°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1488 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2000 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები, ხეხილის ბაღები, ციტრუსოვანი პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა და სუბტერმული (22°C), სულფატურ-ქლორიდული, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,4-1,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.), მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი კინდლი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ოჩამჩირის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავიზღვისპირა დაბლობი, რაიონული ცენტრიდან 20 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 40 მ. რელიეფი – დაბლობი.

კლიმატი ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1000-1200 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები, ხეხილის ბაღები, ციტრუსოვანი პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა და ჰიპერთერმული (73°C), ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმის-კალციუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6-1,9 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ლესელიძე

ადმინისტრაციული მდებარეობა – გაგრის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო ზოლი, მდინარე ფსოუს ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან – 5 მ. რელიეფი – დაბლობი.

კლიმატი – ზღვისპირა, სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,5°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,2°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1550 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1830 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა; ზღვის წყალი და ჰიდროკარბონატული, ქლორიდული, ნატრიუმ-კალციუმ-მანგიუმ-მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,3-1,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.), მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი მიუსერა

ადმინისტრაციული მდებარეობა – გუდაუთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე მიუსერას შესართავი შავ ზღვაში, მაღალი ციცაბო ზღვის ნაპირით. სიმაღლე ზღვის დონიდან – 12 მ. რელიეფი – ტყიანი გორაკები.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,6°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,2°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1550 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – შერეული, ჭარბობს ფოთლოვანი ტყეები, სუბტროპიკული ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ოქროს ნაპირი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გუდაუთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომელიც ჩრდილოეთით თანდათან გადადის ბზიფის ქედის ფერდობებში. სიმაღლე ზღვის დონიდან – 10 მ. რელიეფი – ამალღებული პლატო.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,2°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,0°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1482 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2050 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული (პალმა, მაგნოლია დასხვ.) ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.).

კურორტი რიწა

ადმინისტრაციული მდებარეობა – გუდაუთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – კავკასიონის მთავარი (წყალგამყოფი) ქედის სამხრეთი ფერდობი, რიწის ტბის ნაპირი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 950 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – დაბალი მთის. ზამთარი რბილი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1°C. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20,0°C.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 2200 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 79%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი.

ფლორა – წიწვოვანი (კავკასიური ფიჭვი, სოჭი) მცენარეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: დაბალი მთის, ზომიერად ნოტიო, რბილი ჰავა.

მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური (ჰაერისა და მზის აბაზანე-ბი) კლიმატოთერაპია.

კურორტი სოხუმი

ადმინისტრაციული მდებარეობა – აფხაზეთის დედაქალაქი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის ფართო ყურე, მდინარეების ბესლეთკას, სოხუმკას ხეობები, სამი მხრიდან შემოფარგლული მთის მასივებით. სიმაღლე ზღვის დონიდან – 3 მ. რელიეფი – ზღვის ნაპირი, გორაკები.

კლიმატი – ზღვისპირა, ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძალიან რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,8°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,8°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1550 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 70%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2120 საათი. ზაფხულში ზღვის წყალი თბება 26-27°C - მდე.

ფლორა – სუბტროპიკული ფოთლოვანი (პალმა, მაგნოლია, ევკალიპტი, დაფნა), აგრეთვე სუბტროპიკული წიწვოვანი (კიპარისი, კედარი, ფიჭვი და სხვ.), ხეხილის და ციტრუსის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანეები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ტყვარჩელი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქ. ტყვარჩელის გარეუბანი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე ღალიძგას ხეობა, 40 კმ-ის დაშორებით ოჩამჩირიდან.

სიმაღლე ზღვის დონიდან – 350-390 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – დაბლობის, ზომიერად ნოტიო ჰავა. ზამთარი რბილი, თოვლის საფარი აღინიშნება დეკემბრის ბოლოდან მარტამდე. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $2,1^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $20,7^{\circ}\text{C}$. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 1950 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2000 საათი.

ფლორა – ფოთლოვანი (ბუჩა, წყავი, კიპარისი, მუხა) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: თერმული (32°C - 39°C), აზოტიანი, ქლორიდულ-სულფატური, კალციუმიანი-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,6 გ/დმ³, კაჟმჟავას (55 - 62 მგ/დმ³), რადონის (2-3 ნანოკიური/ლ) და უმნიშვნელო რაოდენობით გოგირდწყალბადის შემცველობით.

მკურნალობის სახეობა: მინერალური წყლის აბაზანები.

5.2. აღმოსავლეთ საქართველოს კურორტები და საკურორტო ადგილები

5.2.1. კახეთის კურორტები და საკურორტო ადგილები

კურორტი არხილოსკალო

ადმინისტრაციული მდებარეობა – დედოფლისწყაროს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – ივრის ზეგანის (შირაქის ველი) აღმოსავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 670 მ. რელიეფი – ვაკე-ბორცვიანი.

კლიმატი – მშრალი, სუბტროპიკული. ზამთარი ზომიერად ცივი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,0^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძლიერ თბილი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 544 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2300 საათი.

ფლორა – ტყეველიანი და ველიანი ლანდშაფტი, ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: დაბალი მთის და ველის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ახტალა

ადმინისტრაციული მდებარეობა – გურჯაანის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – ალაზნის ველი, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის ძირი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 410-430 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – ზომიერად კონტინენტური. ზამთარი რბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0,9°C. ზაფხული ძლიერ თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 741 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100-2200 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი ტყეები, ბალ-ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ფსევდო-ვულკანური წარმოშობის ტალახი.

მკურნალობის სახეობები: ტალახის აბაზანები (ზოგადი და ადგილობრივი), ვაგინალური და რექტალური ტამპონები; პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი გომბორი

ადმინისტრაციული მდებარეობა - საგარეჯოს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ცივ-გომბორის ქედის სამხრეთი ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1165 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი) ჰავა, ზომიერად ნოტიო. ზამთარი ზომიერად ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -3°C. ზაფხული გრილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 19°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 850-950 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2300 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ზინობიანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ყვარლის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. ალაზნის ხეობა, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდის ძირი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 450 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ზომიერად ტენიანი. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 1°C . ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $23-25^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 600-800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2300 საათი.

ფლორა - მუხნარი, თხმელიანი, ბალ-ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა, სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $0,9$ გ/დმ³ და ქლორიდულ-ნატრიუმიანი, ბორის მჟავისა და იოდის შემცველი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $8-9$ გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი თეთრი წყლები

ადმინისტრაციული მდებარეობა - თელავის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი, მდ. თურდოს სათავეებში (მდ. ალაზნის შენაკადი). სიმაღლე ზღვის დონიდან - 1300-1350 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -3°C . ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 19°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 860 მმ. ჰაერის

საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 66%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2200 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (კავკასიური ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,7-0,8 გ/დმ³, რომლებიც შეიცავენ 15-16 მგ/დმ³ სულფიდურ შენაერთებს.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი თორღვას აბანო

ადმინისტრაციული მდებარეობა - თელავის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - დიდი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის სამხრეთი ფერდობი, მდ. სტორის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1800-1850 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი, მდგრადი, არამაღალი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5°C. ზაფხული ზომიერად თბილი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 14,8°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1400 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 55%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2400-2500 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (კავკასიური ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-კარბონატულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, გოგირდწყალბადის, კაჟმჟავას შემცველობით, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ლაგოდეხი

ადმინისტრაციული მდებარეობა - რაიონული ცენტრი კახეთში. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. ლაგოდეხის-ხევის ველი, კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობის ძირი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 460 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - დაბალი მთის, ზომიერად ტენიანი. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $0,9^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $24,1^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1076 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2300 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი ტყეები, ბალ-ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, ქლორიდული, ნატრიუმის მინერალური წყლები, თავისუფალი გოგირდწყალბადის 16 მგ/დმ^3 შემცველობით, საერთო მინერალიზაციით $0,44 \text{ გ/დმ}^3$.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი უჯარმა

ადმინისტრაციული მდებარეობა - საგარეჯოს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - იორის მთების ზეგანი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 960 მ. რელიეფი - მთაგორიანი, ვაკე-ზეგანების მონაცვლეობით.

კლიმატი - აღმოსავლეთ საქართველოს დაბალმთიანი, შედარებით დაბალტენიანი, ტემპერატურის ცვალებადობის დიდი ამპლიტუდით. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0°C . ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 63%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900-2000 საათი.

ფლორა – ველის მცენარეები, ბალ-ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ჰიპერთერმული კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმის მინერალური წყლები, ბრომის, იოდის, კაჟმჟავას, მეტაბორის მჟავის და სხვ. მაღალი შემცველობით, საერთო მინერალიზაციით 8,0-10,0 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ცივი კოდა

ადმინისტრაციული მდებარეობა – საგარეჯოს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – ცივ-გომბორის ქედის სამხრეთი ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1450-1500 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-4,5^{\circ}\text{C}$, მდგრადი თოვლის საფარით დეკემბრიდან აპრილამდე. ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 900 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2300 საათი.

ფლორა – წიწვოვანი (კავკასიური ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი შაქრიანი (მუნის წყარო)

ადმინისტრაციული მდებარეობა – ყვარლის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდ. ალაზნის ხეობა, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდის ძირი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 350 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – ზომიერად ტენიანი. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 1°C . ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად ტენიანი. აგვისტოს

საშუალო ტემპერატურაა 23-25°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 600-800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2300 საათი.

ფლორა – ფოთლოვანი ტყეები, ბალ-ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: აზოტიანი, სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,56 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობა: მინერალური წყლის აბაზანები.

5.2.2. ქართლის კურორტები და საკურორტო ადგილები

საკურორტო ადგილი აგარაკი-აბანო

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქარელის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდ. ლოპანის-წყლის კალაპოტი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 680 მ. რელიეფი – ვაკე-ბორცვიანი.

კლიმატი – დაბალი მთის, ზომიერად მშრალი. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1,2°C. ზაფხული თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20,2°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 400-500 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – ველის მცენარეულობა, ხეხილის ბაღები, ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და გოგირდ-წყალბადიანი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმთან-ნატრიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,7 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ბაზალეთის ტბა

ადმინისტრაციული მდებარეობა – დუშეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის დასავლეთი ნაწილის მთისწინა ფერდობები, გუდამაყრისა და ლომისის ქედების ძირი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 900 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ზომიერად ცივი. დეკემბრის შუა რიცხვებიდან მარტის შუა რიცხვებამდე აღინიშნება თოვლის მდგრადი საფარი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1,5^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $20,5^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 600-800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 62%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – ფოთლოვანი (მუხა, რცხილა) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, ბანაობა ტბაში.

საკურორტო ადგილი ბიისი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გორის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე ტანის (მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1080 მ, რაიონული ცენტრიდან 24 კმ-ის მანძილზე. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – ზომიერად ნოტიო. ზამთარი ზომიერად ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული ხანგრძლივი და თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $22,3^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 503 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – მუხნარ-ჯაგრცხილნარი და ჯაგეკლიანი მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმისანი, სუსტი ტუტე (pH-7,9) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ბოლნისი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქვემო ქართლი, რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე მაშავერას ხეობა, თბილისიდან 64 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 560 მ. რელიეფი – ვაკე-ბორცვიანი.

კლიმატი – ზომიერად ნოტიო. ზამთარი რბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0,3°C. ზაფხული ხანგრძლივი და თბილი. ივლისის საშუალო ტემპერატურაა 23,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 512 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 67%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1700 საათი.

ფლორა – ველის მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ბოლნისის მიდამოებში არსებული ჰიდროკარბონატულ-სულფატური (და სულფატურ-ჰიდროკარბონატული) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,4-7,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი გორიჯვარი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გორის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთის მთისწინეთი, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 600-650 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – დაბალი მთის, ზომიერად მშრალი. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძლიერ თბილი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $22,3^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 498 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2300 საათი.

ფლორა – ბალახოვანი მცენარეები, ხეხილის ბაღები, ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,9 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი დმანისი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქვემო ქართლი, რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – საქართველოს სამხრეთ მთიანეთი, მდინარე მაშავერას ორივე ნაპირი, თბილისიდან 90 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1250 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – ზომიერად ნოტიო. ზამთარი ზომიერად ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,7^{\circ}\text{C}$. დეკემბრის შუა რიცხვებიდან მარტის ბოლომდე აღინიშნება თოვლის საფარი. ზაფხული ხანგრძლივი და ზომიერად თბილი. ივლისის საშუალო ტემპერატურაა $18,2^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 698 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 73%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1760 საათი.

ფლორა – შერეული (წიფელი, მუხა, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და დმანისის მიდამოებში არსებული სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, სუსტი ტუტე (pH-7,9) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ვაჟას წყარო

ადმინისტრაციული მდებარეობა – დუშეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – დიდი კავკასიონის შუამთის ზონა, დაბა ჩარგალთან. სიმაღლე ზღვის დონიდან – 820-840 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – დაბალი მთის. ზამთარი ცივი, საკმაოდ თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-4,7^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $18,6^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 1000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – შერეული (მუხა, რცხილა, სოჭი, ნაძვი, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა, ნახშირმჟავა, კაჟიანი, ბორიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმთან-რკინიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,2-27,2 გ/დმ³ და ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმთან-კალციუმის (და კალციუმთან-ნატრიუმის), რკინიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,5-11,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქ. თბილისი. გეოგრაფიული მდებარეობა – თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სხვადასხვა მხრიდან ესაზღვრება მდ. მტკვარი, თაბორის შემადგენელი – კრწანისი, თბილისის ბოტანიკური ბაღი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 420 მ. რელიეფი – თბილისის ქვაბურის ნაწილი. შედის თბილისის კურორტების ჯგუფში.

კლიმატი – რბილი, კონტინენტური, ზომიერად მშრალი. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1°C . ზაფხული ცხელი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 24°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 554 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 66%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2112 საათი.

ფლორა – კურორტი შემოსაზღვრულია პარკებით, ბაღებით, სკვერებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად მინერალიზებული, თერმული ($37-47^{\circ}\text{C}$) სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონ-ნატული და ჰიდროკარბონატულ-კარბონატულ-ქლორიდული ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,3-0,4 გ/დმ³, გოგირდწყალბადის რაოდენობით 10-20 გ/დმ³. აღნიშნულ კურორტზე ფართოდ გამოიყენება ახტალისა და კუმისის სამკურნალო ტალახები.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, შესხურება, ჰიდროთერაპია; ტალახის აბაზანები, აპლიკაციები, ტამპონები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი თეთრი წყარო

ადმინისტრაციული მდებარეობა – რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1200 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის. ზამთარი ზომიერად ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1-2^{\circ}\text{C}$. ზაფხული ზომიერად მშრალი, თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $19,6^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 740 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 67%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – შერეული ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი კიკეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გარდაბნის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1100 მ. რელიეფი – ბორცვებიანი პლატო.

კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -2°C . ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 18°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 600-650 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2000 საათი.

ფლორა – შერეული (ნაძვი, სოჭი, მუხა, წიფელი და სხვ.) მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი კობი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ყაზბეგის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირი, სტეფანწმინდიდან 20 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1970 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – ზომიერად ნოტიო, საშუალომთის (ზედა სარტყელი). ზამთარი შედარებით მშრალი, ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -8°C . ნოემბრის შუა რიცხვებიდან აპრილის ბოლომდე აღინიშნება თოვლის საფარი. ზაფხული გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $13,9^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 1040 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 69%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1750 საათი.

ფლორა – სუბალპური მდელოების მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ბორიანი, რკინიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-

ნატრიუმის (და ნატრიუმ-კალციუმის) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,5-1,9 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები – მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი კოჯორი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გარდაბნის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის ფერდობები. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1338-1350 მ. რელიეფი – მთის პლატო.

კლიმატი – ზომიერად მშრალი, საშუალო მთის ტყიანი ზონის. ზამთარი ზომიერად ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -2,6°C. თოვლის საფარი არ არის მაღალი, დევს დეკემბრიდან თებერვლის ბოლომდე. ზაფხული მშრალი, ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 745 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური (ჰაერისა და მზის აბაზანები) კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი კუმისი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გარდაბნის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – ქ. თბილისიდან 20 კმ დაშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთით. სიმაღლე ზღვის დონიდან 480 მ. რელიეფი – ბორცვიანი ვაკე.

კლიმატი – რბილი, კონტინენტური, მშრალი. ზამთარი რბილი, მცირე-თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0°C. ზაფხული ცხელი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 24°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 550 მმ.

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 68%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – ველის მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და კუმისის ტბის სულფიდური ლამის ტალახი, სილიციუმის, ალუმინის, რკინის ჟანგეულების და სხვ. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობით. კუმისის ტბის წყალი წარმოადგენს ქლორიდულ-სულფატურ, მაგნიუმთან-კალციუმთან-ნატრიუმთან მინერალურ წყალს, საერთო მინერალიზაციით 15-25 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: სამკურნალო ტალახის აბაზანები და აპლიკაციები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ლისის ტბა

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქ. თბილისი. გეოგრაფიული მდებარეობა – თბილისის სამხრეთ-დასავლეთ განაპირა რაიონი, მდ. დიდმის წყლის და მდ. ვერეს შორის. სიმაღლე ზღვის დონიდან – 724 მ. რელიეფი – ბორცვიანი პლატო.

კლიმატი – რბილი, კონტინენტური, ზომიერად მშრალი. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0,6°C. ზაფხული ცხელი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 24,1°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 513 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 66%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2500 საათი.

ფლორა – ველის, წიწვოვანი (ხელოვნურად გაშენებული) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ჰიპერთერმული, სუსტად სულფიდური, ქლორიან-კარბონატული, ნატრიუმისანი, კაჟმჟავა მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,3-0,5 გ/დმ³; სამკურნალო სულფიდური ტალახის საბადო (კუმისის ტალახის ტიპის).

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, აქტიური კლიმატოთერაპია (ბანაობა ტბაში, ჰაერის და მზის აბაზანები).

კურორტი მანგლისი

ადმინისტრაციული მდებარეობა – თეთრიწყაროს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობები, მდ. ალგეთის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1204 მ. რელიეფი – ბორცვებიანი პლატო.

კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი, თოვლის საფარი მდგრადია დეკემბრიდან მარტის დასაწყისამდე. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული ზომიერად მშრალი, ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $18,4^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 690 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – წიწვოვანი, ფოთლოვანი და სტეპის ტიპის ბალახოვანი ჯიშები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ოქროყანა

ადმინისტრაციული მდებარეობა – თბილისის გარეუბანი. გეოგრაფიული მდებარეობა – მთაწმინდის აღმოსავლეთი ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 650-700 მ. რელიეფი – შედარებით სწორი.

კლიმატი – დაბალი მთის. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1°C . ზაფხული ცხელი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22°C . ნალექების საერთო წლიური რაოდენობა – 554 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 66%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2500 საათი.

ფლორა – ველის, წიწვოვანი (ხელოვნურად გაშენებული) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: დაბალი მთის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი საგურამო (ზედაზენი)

ადმინისტრაციული მდებარეობა – მცხეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდ. არაგვის ხეობა, საგურამოს ქედის კალთები. სიმაღლე ზღვის დონიდან – 600 მ. რელიეფი – ბორცვიანი.

კლიმატი – დაბალი მთის. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1°C . ზაფხული თბილი, მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 700 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74 %. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – შერეული ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: დაბალი მთის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი სიონი

ადმინისტრაციული მდებარეობა: ყაზბეგის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდინარე თერგის ხეობა, დიდი კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი, სტეფანწმინდიდან 4 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან 1850-1900 მ. რელიეფი მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლის მდგრადი საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-5,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $14,4^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 759 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200-2250 საათი.

ფლორა: უმეტესად წარმოდგენილია წიწვიანი (სოჭი, ნაძვი, ფიჭვი) ტყეებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი

მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6 - 2 გ/დმ³, რომლებიც შეიცავენ რკინასა და კაჟმჟავას დიდი რაოდენობით.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დაღევა).

კურორტი სტეფანწმინდა

ადმინისტრაციული მდებარეობა – დაბა, ყაზბეგის რაიონის ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდ. თერგის ზემო დინების მარჯვენა ნაპირი, დიდი კავკასიონის ცენტრალური ნაწილი, ყაზბეგის მთის ძირი, სიმაღლე ზღვის დონიდან - 1744 მ. რელიეფი მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი, მდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5,2°C. ზაფხული გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 14,4°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 786 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2232 საათი.

ფლორა – ალპური მდელოების მცენარეულობა, ალაგ-ალაგ წიწვიანი (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) კორომებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,5-2 გ/დმ³, რომლებიც განლაგებულია მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, სტეფანწმინდის ცენტრიდან 2 კმ-ში, დასახლებულ პუნქტ პანშეთში.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დაღევა).

კურორტი სურამი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ხაშურის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – ლიხის ქედის სამხრეთ კალთის ძირი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 750 მ. რელიეფი – გორაკებიანი.

კლიმატი – ზომიერად კონტინენტური. ზამთარი ცივი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -9°C . ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $20,2^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა წელიწადში – 781მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 70%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2300 საათი.

ფლორა – მთების კალთები დაფარულია შერეული (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, მუხა, წიფელა და სხვ.) ტყეებით.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $0,6$ გ/დმ³, 68 მგ/დმ³ კაჟმჟავას შემცველობით.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი ფასანაური

ადმინისტრაციული მდებარეობა – დუშეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობი, მდ. თეთრი არაგვის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1050 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, საკმაოდ თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-4,1^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $18,6^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 1000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – შერეული (მუხა, წიფელი, რცხილა, სოჭი, ნაძვი, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის («ესენტუკის» ტიპის) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $3-15$ გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები - პასიური კლიმატოთერაპია მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დაღევა).

საკურორტო ადგილი წავკისი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გარდაბნის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთის განშტოების კალთა. თბილისიდან 15 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 940 მ. რელიეფი – ბორცვებიანი პლატო.

კლიმატი – ზომიერად მშრალი. ზამთარი ზომიერად ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1,2^{\circ}\text{C}$. დეკემბრის შუა რიცხვებიდან თებერვლის ბოლომდე აღინიშნება თოვლის არამდგრადი საფარი. ზაფხული თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $21,5^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 750 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა -55% . მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – ჯაგეკლიანი მცენარეულობა და მეჩხერი (მეძვი, კვრინჩხი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: დაბალი მთის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი წოდორეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა – მცხეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი კალთა. მცხეთიდან 30 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 800 მ. რელიეფი – ბორცვებიანი პლატო.

კლიმატი – ზომიერად კონტინენტური. ზამთარი ზომიერად ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1,5^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი და მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $23,6^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 664 მმ. ჰაერის საშუალო

წლიური ფარდობითი ტენიანობა – 67%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1850 საათი.

ფლორა – ჯაგეკლიანი მცენარეულობა (ძეძვი, შავჭალა, ქართული ნუში და სხვ.) ტყის ელემენტებით (მუხნარ-რცხილნარი, პანტა, მაჟალო, შინდი და სხვ.).

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: დაბალი მთის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი წყნეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა – გარდაბნის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 800-1100 მ. რელიეფი – ტერასული.

კლიმატი – დაბალი და საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -2°C . ზაფხული ზომიერად მშრალი, თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 550-650 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 67%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2100 საათი.

ფლორა – შერეული (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, მუხა, წიფელი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: დაბალი და საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა: პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ხოვლე

ადმინისტრაციული მდებარეობა – კასპის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შიდა ქართლის დაბლობი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 780 მ. რელიეფი – ვაკე-ბორცვიანი.

კლიმატი – დაბალი მთის, ზომიერად მშრალი ჰავა. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი,

ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20,5°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 400-600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2400 საათი.

ფლორა – ველის მცენარეულობა, ხეხილის ბაღები, ვენახები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,8გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

5.3. აჭარის კურორტები და საკურორტო ადგილები

კურორტი ბათუმი

ადმინისტრაციული მდებარეობა – აჭარის დედაქალაქი. გეოგრაფიული მდებარეობა – კახაბრის დაბლობი, რომელსაც აღმოსავლეთიდან ეკვრის შავშეთისა და მესხეთის ქედები, თბილისიდან 350 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 5 მ. რელიეფი – ვაკე-ბორცვიანი.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,5°C. ზაფხული ძლიერ თბილი და ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2718 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 81%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1958 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული (მაგნოლია, ევკალიპტი, დაფნა, ბამბუკი და სხვა) მცენარეულობა. გარეუბნებში ხარობს ციტრუსოვანი (მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი) პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ბეშუმი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ხულოს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – არსიანის ქედის აღმოსავლეთი ფერდობი, აჭარის მთიანეთი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1850-1900 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ზედა სარტყელი), ზომიერად მშრალი. ზამთარი ცივი, უხვთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5°C . ზაფხული ზომიერად თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 1100 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2000 საათი.

ფლორა – წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი - საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა. მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი გომარდული

ადმინისტრაციული მდებარეობა - შუახევის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდინარეების აჭარის წყლისა და ვანის წყლის (ნაღვარევის წყლის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფის ჩრდილოეთი კალთა. შუახევიდან 23 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1120 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი) ზომიერად ნოტიო. ზამთარი ზომიერად რბილი, უხვთოვლიანი, დეკემბრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე მდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $1,3^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $19,9^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 65%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900 საათი.

ფლორა - წიწვოვანი ტყეები და ხეხილის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები - საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი გუნდაური

ადმინისტრაციული მდებარეობა - ქედის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. მერისის (აჭარის წყლის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირი, შავშეთის ქედის ჩრდილოეთი კალთის ძირი. ქედიდან 11 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 560 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის სუბტროპიკული, ზომიერად ნოტიო. ზამთარი ზომიერად რბილი, უხვთოვლიანი, დეკემბრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე არამდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,1°C. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21,5°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1500-1600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800 საათი.

ფლორა - ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები და ხეხილის ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტი მინერალიზაციის სულფატურ-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,0-1,5 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ვანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - შუახევის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთის ქედის განშტოების ნაცარა-ტინტეს სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთა, მდ. ბარათაულის წყლის (მდ. ჭვანისწყლის მარცხენა შენაკადი) ხეობა,

შუახევიდან 24 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1440 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი), ზომიერად ნოტიო. ზამთარი ზომიერად ცივი, უხვთოვლიანი, დეკემბრის ბოლოდან მარტის შუა რიცხვებამდე. მდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-1,3^{\circ}\text{C}$. ზაფხული გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $19,9^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 1350 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი.

ფლორა – ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და მინერალური წყალი «ბაბანური», რომელიც წარმოადგენს კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმთან, ტუტე ($\text{pH}-9,66$) წყალს, საერთო მინერალიზაციით 0,3-0,4 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დაღევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი კოკოტაური

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქედის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდ. აჭარისწყლის ხეობა, ბათუმიდან 25 კმ-ის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. სიმაღლე ზღვის დონიდან – 680 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – დაბალი მთის, სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $3,1^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $21,5^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 1500 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი.

ფლორა – ფართოფოთლოვანი (წაბლი, წიფელი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმთან-მაგნიუმთან-კალციუმთან (და მაგნიუმთან-კალციუმთან) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,4-3,2 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი მახინჯაური

ადმინისტრაციული მდებარეობა – ხელვაჩაურის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - შავი ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლი, კარა-დარესა და მწვანე კონცხს შორის მოთავსებული ველი, ქ. ბათუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 15 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,7°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2750 მმ. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 81%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1900 საათი.

ფლორა – სხვადასხვა ხეხილი (ციტრუსოვანი) და დეკორატიულ-სუბტროპიკული ჯიშები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი და სუბთერმული (ტემპერატურა 23°C - 26°C), სუსტად სულფი-დური, კარბონატულ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,2 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.), მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი მწვანე კონცხი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ხელვაჩაურის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლი, მესხეთის ქედის ფერდობები, ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით. სიმაღლე ზღვის დონიდან – 90 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,5°C. ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21,1°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2897 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 80%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 1815 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული მცენარეულობა. კურორტს ამშვენებს მსოფლიო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღი.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა - თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ქობულეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქალაქის ტიპის რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის სანაპირო ზოლი, აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობები, ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 21 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 5 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,8°C. ზაფხული ძლიერ თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 2514 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 81%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული, დეკორატიული მცენარეულობა, ჩაის პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა - თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.).

კურორტი ციხისძირი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ქობულეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – შავი ზღვის ვიწრო სანაპირო ზოლი, მოსაზღვრე მაღლობების (მცირე კავკასიონის განშტოებები) კალთები, რომლებიც ეშვებიან ზღვაში და ქმნიან კონცხს, ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 19 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან – 50 მ. რელიეფი – მთაგორიანი.

კლიმატი – ზღვისპირა, ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 6,2°C. ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 2732 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2200-2300 საათი.

ფლორა – სუბტროპიკული, დეკორატიული მცენარეულობა, ციტრუსის ბაღები და ჩაის პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი.

მკურნალობის სახეობა - თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ზღვის წყლის აბაზანები, ტერენკური და სხვ.).

5.4. დასავლეთ საქართველოს კურორტები და საკურორტო ადგილები

5.4.1. გურიის კურორტები და საკურორტო ადგილები

კურორტი ბახმარო

ადმინისტრაციული მდებარეობა – ჩოხატაურის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის (მცირე კავკასიონის სისტემა) ფერდობები, მდ. ბახვისწყლის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1913-1990 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ზედა სარტყელი) და ზღვის ჰავის შეხამება. ზამთარი ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-5,5^{\circ}\text{C}$. თოვლის საფარი ძალიან მაღალი (ზოგიერთ წლებში 4-5 მ-ს აღწევს), რჩება 6 თვემდე. ზაფხული ზომიერად გრილი და ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $13,4^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1500-1600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 73%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2050-2200 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, სოჭი) ტყეები, რომლებიც ფერდობებზე ზემოთ იცვლება სუბალპური მდელოებით.

ბუნებრივი სამკურალო ფაქტორი: ზღვის ჰავასთან შეხამებული საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური (ჰაერისა და მზის აბაზანები) კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი გომის მთა

ადმინისტრაციული მდებარეობა – ოზურგეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის (მცირე კავკასიონის სისტემა) ჩრდილოეთის ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1900 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი, უხვთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5°C . ზაფხული ზომიერად გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 13°C . ნალექების წლიური რაოდენობა – 1600-1700 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2000-2060 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და წიწვის არომატიტით გაჯერებული ჰაერი.

მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი გრიგოლეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ლანჩხუთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 4 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,2⁰C. ზაფხული ძლიერ თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,2⁰C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1700-1800 მმ. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 79%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1980-2100 საათი.

ფლორა - ხეხილის ნარგავები, ციტრუსების ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი, პლაჟის ქვიშა, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით მაგნიტური რკინის ნაწილაკებს.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და ზღვის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.), მაგნეტიტური ქვიშის აბაზანები.

კურორტი ნაბეღლავი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ჩოხატაურის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთის ქედის (მცირე კავკასიონის სისტემა) მთისწინეთი, მდ. გუბაზოულის (მდ. სუფსის შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 470-490 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - კლიმატის თავისებურება განპირობებულია კურორტის სუბტროპიკული სარტყლის ტყის ზონაში განლაგებით და შავი ზღვის სიახლოვით.

ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,6°C. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20,2°C. ნალექების რაოდენობა წელიწადში – 1438 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 საათი.

ფლორა - შერეული (მუხა, წიფელი, რცხილა, ნაძვი, ფიჭვი) ტყეები და ციტრუსების ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის (ბორჯომის ტიპის) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 7,5-8,0 გ/დმ³, შეიცავენ კაჟმჟავას, ბრომს და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ნასაკირალი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ოზურგეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – კოლხეთის დაბლობის ქვემო ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 200 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,3°C. ზაფხული ძალიან თბილი და ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21,8°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1880 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 საათი.

ფლორა - ციტრუსებისა და ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3,8 - 7,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა).

საკურორტო ადგილი სუფსა

ადმინისტრაციული მდებარეობა – ლანჩხუთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – კოლხეთის დაბლობის ქვემო ნაწილი, მდ. სუფსის ნაპირი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 7 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – ზღვის ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, თბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,5°C. ზაფხული ცხელი და ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 2192 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 82%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900 საათი.

ფლორა – ზღვისპირა ქვიშნარი მცენარეულობა, ციტრუსების ბაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ჰავა და მეთანიანი, ქლორიდულ-ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 76-86 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი ურეკი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ოზურგეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - შავი ზღვის სანაპირო ზოლი, მდ. სუფსის შესართავიდან 4 კმ სამხრეთით, კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 2-10 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი – სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,8°C. ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 2000-2100 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2000 საათი.

ფლორა - სუბტროპიკული (პალმა, ევკალიპტი, ხეხილის ბაღები და სხვ.) მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა და ზღვის წყალი, პლაჟის ქვიშა, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით მაგნეტიტური რკინის ნაწილაკებს.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.), მაგნეტიტური ქვიშის აბაზანები.

საკურორტო ადგილი შეკვეთილი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ოზურგეთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან – 2-6 მ. რელიეფი -- ვაკე.

კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,8°C. ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 2096 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში -- 2000 საათი.

ფლორა -- ფიჭვნარი.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ზღვის წყალი და პლაჟის ქვიშა.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური), ქვიშის აბაზანები.

5.4.2. იმერეთის კურორტები და საკურორტო ადგილები

კურორტო ამაღლება

ადმინისტრაციული მდებარეობა - ვანის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - იმერეთის დაბლობი, მდ. რიონის მარცხენა ნაპირი. სიმაღლე ზღვის დონიდან –

80 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,1°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,1°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1600-1800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100 - 2200 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (მუხა, რცხილა, ვერხვი, ივანი და სხვ.) ტყეები, ხეხილის ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: თერმული (ტემპერატურა 40°C ÷ 41°C), ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 10,3 გ/დმ³, რომელიც შეიცავს გაზრდილი რაოდენობით ჰიდროკარბონატს, კალციუმს და კაჟმჟავას.

მკურნალობის სახეობა: მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი გორმაღალა

ადმინისტრაციული მდებარეობა - სამტრედიის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - იმერეთის დაბლობი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 200 მ. რელიეფი - სუსტად ტალღოვანი.

კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ძლიერ რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,1°C. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,2°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1525-1600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

ფლორა - მარადმწვანე ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: სუსტად სულფიდური, ჰიდრო-კარბონატულ-სულფატური, მაგნიუმის-კალციუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,7-2,0 გ/დმ³ და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატულ-

ქლორიდული, კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,8-1,0 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი ზეკარი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბაღდათის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის ჩრდილოეთი ფერდობი (მცირე კავკასიონის სისტემა), მდ. ხანისწყლის (მდ. რიონის შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 750-780 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - კლიმატის თავისებურება აიხსნება კოლხეთის დაბლობის სიახლოვით და შავი ზღვიდან მომავალი ჰაერის თბილი, ტენიანი მასების მოქმედებით. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1⁰C. ზაფხული თბილი, ზომიერად ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21⁰C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1800-1900 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1300-1400 საათი.

ფლორა - ფართოფოთლოვანი (მუხა, წიფელი) და წიწვიანი (ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდურ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,5 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია

საკურორტო ადგილი ზვარე

ადმინისტრაციული მდებარეობა - ხარაგაულის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ლიხის (სურამის) ქედის დასავლეთი ფერდობი, მდ. ზვარულას (მდ. ჩხერიმელას შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 650-700 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - სუბტროპიკული სარტყლის ტყის ზონის. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0°C. ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 1300 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2200-2300 საათი.

ფლორა - შერეული (მუხა, წიფელი, ნაძვი, სოჭი და სხვ.) ტყე.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 4-6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი კვალითი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ზესტაფონის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. ყვირილას ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 260-360 მ. რელიეფი - გორაკ-ბორცვიანი.

კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,7°C. ზაფხული თბილი, ზომიერად ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,9°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 1150-1250 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 73%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2276-2388 საათი.

ფლორა — ფართოფოთლოვანი ხეების (მუხა, წიფელი, რცხილა და სხვ.) ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: სუსტად სულფიდური, ჰიდრო-კარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,3-0,5 გ/დმ³ და აზოტიანი, სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატულ-სულფატური, მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6-2,0 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი კვერეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა - საჩხერის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა -- რაჭის ქედის ფერდობი, მდ. ჩიხურას ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 570-600 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - სუბტროპიკული სარტყლის ტყის ზონა. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3°C. ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1100-1200 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900-2000 საათი.

ფლორა - შერეული (მუხა, წიფელი, ნაძვი, სოჭი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის სუბტროპიკული სარტყლის ტყის ზონის ჰავა და აზოტიანი, სუსტად სულფიდური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყალი, საერთო მინერალიზაციით 0,5-0,9 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი კურსები

ადმინისტრაციული მდებარეობა - ტყიბულის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - კავკასიონის ქედის მთის წინა კალთები, მდ. წყალწითელას (მდ. რიონის შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 350 მ. რელიეფი - გორაკ-ბორცვიანი.

კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5°C. ზაფხული ძლიერ თბილი, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1200 მმ. ჰაერის საშუალო

წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 საათი.

ფლორა - შერეული (მუხა, წიფელი, ნაძვი, სოჭი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: აზოტიანი, სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,6 გ/დმ³; და აზოტიანი, სუსტად სულფიდური, სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული და ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,5-0,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი ნუნისი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ხარაგაულის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ლიხის (სურამის) ქედის მთისწინეთი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 750-800 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -0,3°C. ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1150-1200 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 73%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2200 - 2300 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა) და წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის სუბტროპიკული ჰავა და აზოტიანი, მეთანიანი, სუსტად სულფიდური, კაჟიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-კარბონატული, ნატრიუმის (და კალციუმთან-ნატრიუმთან) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,2-0,4 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი საირმე

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბაღდათის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთის (აჭარა - იმერეთის) ქედის ჩრდილოეთი კალთა, მდინარე წაბლისწყლის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1100 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - სუბტროპიკული სარტყლის საშუალო მთის (ქვედა სარტყელი) ტყიანი ზონის. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -3°C . ზაფხული ზომიერად თბილი, ზომიერად ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $17,8^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1000-1100 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 80%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1273-1459 საათი.

ფლორა - ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი (მუხა, წიფელი, ნაძვი, სოჭი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა; ნახშირმჟავა, კაჟიანი, ბორიანი, რკინიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $3,7-9,9$ გ/დმ³ და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-მაგნიუმიანი, კაჟიანი, რკინიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $1,4-3,0$ გ/დმ³ (გამოიყენება სასმელად). საირმის ცენტრიდან 5 კმ-ში მდებარეობს ადგილი უდაბნო, რომელშიც მოიპოვება აზოტიან-მეთანიან, სუსტად სულფიდური, კარბონატულ-ჰიდრიკარბონატულ, სულფატურ, კალციუმიან, მაგნიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $0,2-0,4$ გ/დმ³ (გამოიყენება აბაზანებისთვის).

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი სამტრედია

ადმინისტრაციული მდებარეობა - სამტრედიის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - იმერეთის დაბლობი, მდინარეებს რიონსა და ცხენისწყალს შორის.

სიმაღლე ზღვის დონიდან - 25 მ. რელიეფი - ვაკე-დაბლობი.

კლიმატი - ზღვის ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $4,7^{\circ}\text{C}$. ზაფხული ცხელი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 1530 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 85%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

ფლორა - მარადმწვანე მცენარეულობა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ჰიპერთერმული (ტემპერატურა $65^{\circ}\text{C} \div 67^{\circ}\text{C}$), სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,5-3 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი სიმონეთი

ადმინისტრაციული მდებარეობა - თერჯოლის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 25 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - უახლოვდება ტენიან სუბტროპიკულს. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $2,5^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი, ზომიერად ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 1200-1400 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 73 %. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2300-2400 საათი.

ფლორა - ხეხილისა და დეკორატიული ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: თერმული (ტემპერატურა $38^{\circ}\text{C} \div 39^{\circ}\text{C}$), აზოტიანი, სუსტად სულფიდური, ქლორიან-ნატრიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 8,1-8,3 გ/დმ³; და აზოტიანი, სუსტად სულფიდური,

ჰიდროკარბონატული, ნატრიუმთან-კალციუმთან-მაგნიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,7 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა).

საკურორტო ადგილი სულორი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ვანის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 180-200 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი – ტენიანი, სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5°C. ზაფხული ძალიან თბილი, ტენიანი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 1350 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 74 %. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

ფლორა - ფართოფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა) ტყეები. ხეხილის ბაღები და ციტრუსების პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: აზოტიანი, სუსტად სულფიდური, კაჟიანი, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,3-0,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

საკურორტო ადგილი ცხრაჯვარი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ტყიბულის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ნაქერალას ქედის სამხრეთ ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1350 მ. რელიეფი - გორაკ-ბორცვებიანი.

კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4,8°C. ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 18,5°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 1400 მმ. ჰაერის

საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1700-1800 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (წიფელი, წაბლი და სხვ.) და წიწვოვანი (ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა, კარსტული გამოქვაბულები.

მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი წყალტუბო

ადმინისტრაციული მდებარეობა - წყალტუბოს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – მდ. წყალტუბოსწყლის (გუბისწყლის მარცხენა შენაკადი) ნაპირები. სიმაღლე ზღვის დონიდან – 95 - 120 მ. რელიეფი – ვაკე.

კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,3°C. ზაფხული ძალიან თბილი, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,8°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1700-1800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 73%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2000-2050 საათი.

ფლორა - მარადმწვანე ბუჩქნარი და ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: სუსტად რადიოაქტიური (40-100 ბკ/მ³), რადონული, აზოტიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-სულფატური, ნატრიუმთან-კალციუმთან-მაგნიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,7-0,9 გ/დმ³, ტემპერატურით 35°C ÷ 37°C; კარსტული გამოქვაბულები.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და ინჰალაციები, სპელეოთერაპია.

საკურორტო ადგილი ჭოკიანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ვანის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. კვინისწყლის მარცხენა ნაპირი, რაიონული ცენტრიდან 15 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 120-140 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0,3°C. ზაფხული ხანგრძლივი და თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 21,5°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1812 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2010 საათი.

ფლორა - ფართოფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6-2,4 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა).

5.4.3. ლეჩხუმის კურორტები და საკურორტო ადგილები

საკურორტო ადგილი ახალჭალა

ადმინისტრაციული მდებარეობა - ცაგერის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. ჯანოულას (მდ. ცხენისწყლის შენაკადი) ზედა წელი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1730-1800 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი, უხვთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -6°C. ზაფხული ზომიერად თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 15,4°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 2000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

ფლორა - წიწვოვანი და ფოთლოვანი (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, მუხნარ-რცხილნარი, წიფლნარი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის-კალციუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით - 2,5 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დაღვევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ლაშიჭალა

ადმინისტრაციული მდებარეობა - ცაგერის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ლეჩხუმის ქედის (მთავარი კავკასიონის სისტემა) სამხრეთ ფერდობი, მდ. ლაჯანურას (მდ. რიონის შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 800-900 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 2°C. ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1800-2000 მმ. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900-2000 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (წიფელი, მუხა და სხვ.) და წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმის-კალციუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1-5 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დაღვევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ლაძგვერია

ადმინისტრაციული მდებარეობა - ცაგერის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. ცხენისწყლის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 420 მ. რელიეფი - გორაკ-ბორცვიანი.

კლიმატი - დაბალი მთის სუბტროპიკული ტენიანი ჰავა. ზამთარი ზომიერად ცივი, თოვლის საფარი არამდგრადი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1°C . ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 1400 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (კუნელი, კვიდო, თხილი, ბზა, ბამგი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და აზოტიანი, სულფატური, ალუმინიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,2-1,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ძულური

ადმინისტრაციული მდებარეობა - ცაგერის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ლეჩხუმის ქედის სამხრეთი ფერდობი, მდინარე ძულურას მარჯვენა ნაპირი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1430-1450 მ. რელიეფი - კლდოვანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, უხვთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4°C . ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 16°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 2000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2000 საათი.

ფლორა -- წიწვოვანი და ფოთლოვანი (ნამვი, სოჭი, ფიჭვი, მუხნარ-რცხილნარი, წიფლნარი, ჯაგ-რცხილნარი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-მაგნიუმიან-რკინიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,8-1,3 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

5.4.4. რაჭის კურორტები და საკურორტო ადგილები

კურორტი ბუგეული

ადმინისტრაციული მდებარეობა - ამბროლაურის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა – რაჭის ქედის (დიდი კავკასიონის სისტემა) მთისწინეთი, მდ. რიონის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 560 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -0,3°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 22°C. ნალექების წლიური რაოდენობა – 1075 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900-2000 საათი.

ფლორა – ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა და სხვ.) ტყეები, ხეხილის ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიანი ან ნატრიუმიან-მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,7-0,9 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი სორტუანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ონის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - რაჭის ქედის (დიდი კავკასიონის სისტემა) ძირი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 750 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის. ზამთარი რბილი, თითქმის უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -1°C . ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $20,4^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1050 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1850 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა, ნეკერჩხალი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის («ესენტუკის» ტიპის) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3-11 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დაღევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი უწერა

ადმინისტრაციული მდებარეობა - ონის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - დიდი კავკასიონის მთავარი (წყალგამყოფი) ქედის სამხრეთი ფერდობი, მდინარე რიონის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1150 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5°C . ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 1495 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 72%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 საათი.

ფლორა - შერეული (ნაძვი, სოჭი, მუხა, წიფელი, რცხილა და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და სამი ტიპის მინერალური წყალი: ნახშირმჟავა, რკინიანი, ბორიანი, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის (და კალციუმის) მინერალური წყლები, საერთო

მინერალიზაციით 1,4 - 2,0 გ/დმ³; ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმის (ან კალციუმის-ნატრიუმის) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,2 გ/დმ³-დან 27,0 გ/დმ³-მდე; ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმ-კალციუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,8-2,0 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი შოვი

ადმინისტრაციული მდებარეობა – ონის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - დიდი კავკასიონის მთავარი (წყალგამყოფი) ქედის სამხრეთი ფერდობი, მდინარეების ბუბასა და ჭანჭარის (მდ. რიონის შენაკადები) ზედა წელი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1600 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლის მდგრადი საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5,8°C. ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 15,7°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1050-1100 მმ. საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა, ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, კალციუმის-ნატრიუმის რკინის შემცველი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,0-2,4 გ/დმ³ და აზოტიანი, ჰიდროკარბონატული, კალციუმის-მაგნიუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,7-0,9 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ხიდიკარი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ამბროლაურის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - რაჭის ქედის (დიდი კავკასიონის სისტემა) მთისწინეთი, მდ. რიონის მარცხენა ნაპირი, ამბროლაურიდან 4 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 680 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, მცირე-თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-0,3^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძალიან თბილი. ზომიერად ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $22,1^{\circ}\text{C}$. ნალექების რაოდენობა წელიწადში - 1000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1900-2000 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა და სხვ.) ტყეები, ხეხილის ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატული (და სულფატურ-ჰიდროკარბონატული), მაგნიუმთან-ნატრიუმთან-კალციუმთან (და ნატრიუმთან) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,8 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

5.4.5. სამეგრელოს კურორტები და საკურორტო ადგილები

კურორტი ანაკლია

ადმინისტრაციული მდებარეობა - ზუგდიდის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - შავი ზღვის სანაპირო ზოლი, კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 3 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ზღვის ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $5,4^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძლიერ თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $22,9^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1400-1680 მმ. ჰაერის საშუალო

წლიური ფარდობითი ტენიანობა - 70%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

ფლორა - ციტრუსების ბაღები, ხეხილის ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ჰაერი, ზღვის წყალი, პლაჟის ქვიშა.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.), ქვიშის აბაზანები.

კურორტი ლეზარდე

ადმინისტრაციული მდებარეობა - მარტვილის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - სამეგრელოს ქედის სამხრეთი ფერდობის განშტოება, მდ. ტეხურას (მდ. რიონის მარჯვენა შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1500-1600 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4°C . მდგრადი თოვლის საფარია ნოემბრიდან მაისამდე. ზაფხული ზომიერად თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $15,4^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 2000-2050 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2150-2000 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, კალციუმიან-ნატრიუმიანი (ან ნატრიუმიან-კალციუმიანი) (ნარზანის ტიპის) და რკინის შემცველი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი მალთაყვა

ადმინისტრაციული მდებარეობა - ფოთის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - შავი ზღვის სანაპირო ზოლი, კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1-2 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ნოტიო, სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,7°C. ზაფხული ძლიერ თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23,5°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1780-1850 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100-2180 საათი.

ფლორა - სუბტროპიკული (პალმები, ციტრუსის პლანტაციები, ხეხილის ბაღები) მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა რბილი ნოტიო ჰავა, ზღვა და პლაჟი.

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და ზღვის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, ტერენკური და სხვ.), ქვიშის აბაზანები.

კურორტი მენჯი

ადმინისტრაციული მდებარეობა - სენაკის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი, მდ. ცივის (მდ. რიონის მარჯვენა შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 29 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი რბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 5,2°C. ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1480 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 73%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2160-2200 საათი.

ფლორა - ხეხილის (უმეტესად ციტრუსების) ბაღები და დეკორატიული ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: მეთანიანი, სულფიდური, კაჟიანი, ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 6,0-14,0

გ/დმ³ და აზოტიანი, სულფიდური, ქლორიდულ-ნატრიუმისანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 5,2-7,4 გ/დმ³. აღნიშნული მინერალური წყლების ტემპერატურაა 27°C±70°C.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

საკურორტო ადგილი მუხური

ადმინისტრაციული მდებარეობა - ჩხოროწყუს რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ოდიშის ვაკე, მდ. ხობის ნაპირი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 260 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი თბილი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,5°C. ზაფხული თბილი, ხანგრძლივი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1400-1600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 74%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1700-1800 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (მუხა, რცხილა, ძელქვა) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი: მუხურიდან 4 კმ-ის მანძილზე მდებარეობს მინერალური წყლის «ლუგელას» საბადო. «ლუგელა» ბუნებრივი მედიკამენტი და წარმოადგენს კალციუმის ქლორიდის 9,5%-იან ხსნარს. მინერალური წყლის საერთო მინერალიზაციაა 45-60 გ/დმ³ და ტემპერატურა - 12°C.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის მიღება (დალევა).

კურორტი ნოქალაქევი

ადმინისტრაციული მდებარეობა - სენაკის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 150 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,9°C. ზაფხული ძლიერ თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა

22,6°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1600-1800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 73%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100-2200 საათი.

ფლორა - ციტრუსოვანი, დეკორატიული და სხვა ნარგავები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: სუსტად სულფიდური, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, კალციუმთან-ნატრიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,4-0,6 გ/დმ³ და აზოტიანი, კაჟიანი, სულფიდური, სულფატური (და სულფატურ-ჰიდროკარბონატული), ნატრიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3,2-3,6 გ/დმ³, რომელთა ტემპერატურაა 80°C.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი სქური

ადმინისტრაციული მდებარეობა - წალენჯიხის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ეგრისის ქედის (მთავარი კავკასიონის სისტემა) მთისწინეთი, რომელსაც სამხრეთიდან კოლხეთის დაბლობი ეკვრის (მდ. ჭანისწყლის ხეობა). სიმაღლე ზღვის დონიდან - 450-500 მ. რელიეფი - პლატოსებრი ვაკე.

კლიმატი - სუბტროპიკული სარტყლის დაბალი მთის ზონა. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4,6°C. ზაფხული ძალიან თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 23°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1800-2000 მმ. წლიური საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 74%. მზის ნალექების ხანგრძლივობა წელიწადში - 1943-2316 საათი.

ფლორა - ფოთლოვანი (მუხა, რცხილა, ივანი, წიფელი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და ქლორიდულ-სულფატურ, კალციუმთან-ნატრიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,7 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები და მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ცაიში

ადმინისტრაციული მდებარეობა - ზუგდიდის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, მდ. ჯუმის (მდ. ჩხოლმი-ინგურის შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 120-150 მ. რელიეფი - ვაკე.

კლიმატი - სუბტროპიკული. ზამთარი რბილი, უთოვლო. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $4,9^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძალიან თბილი, ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $22,7^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 1616-1720 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2300-2400 საათი.

ფლორა - ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ორი ტიპის მინერალური წყალი: სულფიდური, ქლორიდული, ნატრიუმის, თავისუფალი გოგირდწყალბადის 20-26 მგ/დმ³-ის შემცველი, საერთო მინერალიზაციით 3-12,5 გ/დმ³ (ტემპერატურა $81^{\circ}\text{C} \pm 82^{\circ}\text{C}$) და აზოტიანი, კაჟიანი, ქლორიდულ-სულფატურ-ნატრიუმის-კალციუმის მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6-2 გ/დმ³ და 60-70 მგ/დმ³ კაჟმჟავას შემცველობით.

მკურნალობის სახეობა - მინერალური წყლის აბაზანები.

5.4.6. სვანეთის კურორტები და საკურორტო ადგილები

საკურორტო ადგილი ლასკადურა

ადმინისტრაციული მდებარეობა - ლენტეხის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. ლასკადურას (ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) ხეობა.

სიმაღლე ზღვის დონიდან - 1120-1200 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის ქვედა სარტყლის. ზამთარი ზომიერად ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,5^{\circ}\text{C}$. ზაფხული ზომიერად გრილი და

ნოტიო. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 19,8°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 1250-1390 მმ. ჰაერის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა - 1200-1300 საათი.

ფლორა - ფართოფოთლოვანი (წიფელი, წაბლი, მუხა, ცაცხვი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ტყიანი ზონის ჰავა და ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული, ნატრიუმთან-მაგნიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 2,0-2,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი მესტია

ადმინისტრაციული მდებარეობა - ზემო სვანეთი, რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესტიის ქვაბული, მდინარეების მესტიაჭალისა და მულხრის ნაპირები. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1500-1550 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, უხვთოვლიანი. ნოემბრის ბოლოდან აპრილის შუა რიცხვებამდე აღინიშნება მდგრადი თოვლის საფარი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -6°C. ზაფხული ხანმოკლე, გრილი. ივლისის საშუალო ტემპერატურაა 16,4°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 960 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 საათი.

ფლორა - გავრცელებულია წიფლნარ-რცხილნარი და ფრაგმენტებად წაბლნარი, მარადმწვანე ბუჩქნარი.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული (და ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული) კალციუმთან-ნატრიუმთან (და კალციუმთან) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,7-2,5 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი მუაში

ადმინისტრაციული მდებარეობა - ლენტეხის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - სვანეთის ქედის სამხრეთი ფერდობი (დიდი კავკასიონის სისტემა), მდ. ცხენისწყლის (მდ. რიონის მარჯვენა შენაკადი) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1250-1300 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4°C -ს. ზაფხული ზომიერად თბილი და მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $17,9^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 2000 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 78%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 საათი.

ფლორა – წიწვოვანი (ნაძვი, სოჭი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ორი წყაროს (მუაშის, წურნაშის) წყალი: ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-კალციუმიანი, რკინიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,8-2,5 გ/დმ³ (მუაში) და ნახშირმჟავა, რკინიანი, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,8-2,0 გ/დმ³ (წურნაში).

მკურნალობის სახეობები: მუაშის მინერალური წყლის მიღება (დალევა) და წურნაშის მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

5.5. სამხრეთ საქართველოს კურორტები

და საკურორტო ადგილები

კურორტი აბასთუმანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ადიგენის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის სამხრეთი ფერდობი, მდ. ოცხეს (აბასთუმანკა) ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1250-1450 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -6°C . თოვლის საფარი მდგრადი, შუა დეკემბრიდან მარტის თვის მეორე დეკადის ბოლომდე. ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 16°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 688 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1967 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის რბილი ჰავა და თერმული, კაჟიანი, სულფატურ-ქლორიდულ, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,6 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი ასპინძა

ადმინისტრაციული მდებარეობა - რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა - თრიალეთის ქედის ფერდობი, მდ. მტკვრის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1050-1060 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი და მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $20,3^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 520 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 64%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და თერმული, სუსტადსულფიდური, სულფატურ-ქლორიდული, ნატრიუმიან-

კალციუმიანი მინერალური წყლები კაჟმჟავას (40-45 მგ/დმ³) შემცველობით, საერთო მინერალიზაციით 0,8-1,0 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ახალდაბა

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მტკვრის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 790 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -2,1°C. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20,1°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 613 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 75%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100 საათი.

ფლორა - წიწვოვანი და ფართოფოთლოვანი ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის კლიმატი და თერმული, აზოტოვანი, კარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 0,2-0,26 გ/დმ³, რომელთა შემადგენლობაში შედის 62 მგ/დმ³ კაჟმჟავა, 5 მგ/დმ³ გოგირდი.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის აბაზანები.

კურორტი ახალციხე

ადმინისტრაციული მდებარეობა - რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედის სამხრეთ ფერდობი, მდ. ფოცხოვოს წყლის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 980 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - ზომიერად მშრალი დაბალი მთის. ზამთარი ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -3,8°C. ზაფხული თბილი, ზომიერად

მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20,4°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 400-600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 69%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000-2100 საათი.

ფლორა - ველის მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და თერმული (38°C), ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, მაგნიუმთან-ნატრიუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 9 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ბაკურიანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1700 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -5,6°C. თოვლის საფარი რჩება 4-5 თვის განმავლობაში. ზაფხული ზომიერად გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 14°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 საათი.

ფლორა - მუქწიწვოვანი ჯიშების (ნაძვი, სოჭი) ტყის მასივები, ალპური მდელოები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი - საშუალო მთის ზედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური (ჰაერისა და მზის აბაზანები) კლიმატოთერაპია.

კურორტი ბორჯომი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ქალაქი, რაიონული ცენტრი. გეოგრაფიული მდებარეობა - მესხეთისა და თრიალეთის ქედების (მცირე კავკასიონი)

ფერდობებს შორის, მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების ბორჯომულასა და გუჯარეთის წყლის ხეობაში. სიმაღლე ზღვის დონიდან - 800-1000 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - სუბტროპიკული ზონის დაბალმთიანი ტყის ზონა. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. მდგრადი თოვლის საფარი აღინიშნება დეკემბრის ბოლოდან მარტის პირველ დეკადამდე. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,1^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $20,1^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 653 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 1800-1900 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი) და ფოთლოვანი (მუხა, წიფელა, რცხილა, არყის ხე და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა; ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 5,0-7,5 გ/დმ³ და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, ბორიანი (და კაჟმჟავა-ბორიანი) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 5,6-6,4 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დალევა), მინერალური წყლის აბაზანები, გამორეცხვები და ინჰალაციები.

საკურორტო ადგილი დაბა

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - თრიალეთის ქედის მთისწინეთი, მდ. გუჯარეთის წყლის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 806 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის, სუბტროპიკული მცენარეულობით მდიდარი ტყის ზონა. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 20°C . ნალექების წლიური

რაოდენობა - 653 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი - დაბალი მთის ჰავა.

მკურნალობის სახეობები: პასიური და აქტიური (ჰაერისა და მზის აბაზანები) კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი დვირი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. მტკვრის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 950 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - დაბალი მთის. ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,8^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $17,5^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა - 2100საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: დაბალი მთის ჰავა და სუსტად სულფიდური, ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $0,29\text{გ/დმ}^3$.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის აბაზანები.

საკურორტო ადგილი ვარდევანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. გუჯარეთის წყლის შუა წელის მიდამო, წალვერიდან 15კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1450 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, მდგრადი თოვლის საფარით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4°C . ზაფხული გრილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 16°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 800 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2200 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი) ტყეები და იალაღები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა-რკინიანი, ჰიდროკარბონატული მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით $3,2$ გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დაღევა).

კურორტი ვარძია

ადმინისტრაციული მდებარეობა - ასპინძის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - ერუშეთის ქედის (მცირე კავკასიონი) ფერდობები, მდ. მტკვრის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1100 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი, მცირეთოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,8^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 19°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 500 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 64%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100 საათი.

ფლორა - ველის მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და თერმული (46°C), ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 12 გ/დმ³, კაჟმჟავას (62 მგ/დმ³), ფტორის ($1,8$ მგ/დმ³), ბრომის (5 მგ/დმ³-მდე) შემცველობით.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დაღევა), მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

კურორტი ლიბანი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1370 მ. რელიეფი - წიწვოვანი ტყეებით დაფარული პლატო.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-4,5^{\circ}\text{C}$. ზაფხული ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $16,2^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 826 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2200საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3,5-4,5 გ/დმ³, კაჟმჟავას (150 მგ/დმ³) და მცირე რაოდენობით დარიშხანის, ფოსფორის შემცველობით.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის მიღება (დალევა).

საკურორტო ადგილი მაჭარწყალი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მდ. გუჯარეთის წყლის ხეობა, წაღვერიდან 14 კმ-ის მანძილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1350-1450 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4°C . ზაფხული ზომიერად თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 18°C . ნალექების წლიური რაოდენობა - 800 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2200 საათი.

ფლორა - წიწვოვანი ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ, ნატრიუმთან-კალციუმთან მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 7 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: პასიური კლიმატოთერაპია, მინერალური წყლის მიღება (დალევა).

საკურორტო ადგილი მზეთამზე

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1200 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ცივი, თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4,0°C. ზაფხული ზომიერად მშრალი და ზომიერად თბილი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა 17,5°C. ნალექების წლიური რაოდენობა - 670 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2100 საათი.

ფლორა - წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი - საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა.

მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი მიტარბი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ბორჯომის რაიონი, მოიცავს ორ სოფელს (დიდი და პატარა მიტარბი). გეოგრაფიული მდებარეობა - ბორჯომის ხეობა, მდ. მიტარბულას ხეობა. დიდი მიტარბის სიმაღლე ზღვის დონიდან - 1480 მ. პატარა მიტარბის სიმაღლე ზღვის დონიდან - 1300 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი), გარდამავალი კონტინენტურ-სუბტროპიკულიდან ზღვის სუბტროპიკულზე. დიდ მიტარბში ზამთარი ზომიერად ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -2,9°C, პატარა მიტარბში ზამთარი ცივია.

იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-3,1^{\circ}\text{C}$. ორივე სოფელში ზამთრის პერიოდში აღინიშნება მდგრადი თოვლის საფარი. ზაფხული გრილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა დიდ მიტარბში 18°C , პატარა მიტარბში $18,2^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა – 800 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა – 77%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში – 2050-2100 საათი.

ფლორა – შერეული (ნაძვი, სოჭი, წიფელი და სხვ.) ტყეები.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, კალციუმიან-ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 3,8-4,2 გ/დმ³.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ნაქალაქევი

ადმინისტრაციული მდებარეობა - ასპინძის რაიონი. გეოგრაფიული მდებარეობა - მცირე კავკასიონის მთის ფერდობები, მდ. მტკვრის ხეობა. სიმაღლე ზღვის დონიდან - 1100-1150 მ. რელიეფი - მთაგორიანი.

კლიმატი - საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ზამთარი ზომიერად ცივი, მცირე თოვლიანი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $-2,2^{\circ}\text{C}$. ზაფხული თბილი, ზომიერად მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $20,3^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა - 400-600 მმ. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა - 64%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში - 2000 საათი.

ფლორა - ველის მცენარეულობა.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: საშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავა და ნახშირმჟავა, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული («ესენტუკის» ტიპის) მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 4,0 გ/დმ³-დან 11 გ/დმ³-მდე.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის მიღება (დალევა), მინერალური წყლის აბაზანები, პასიური კლიმატოთერაპია.

საკურორტო ადგილი ნეძვი

